თქვენი
# მამული
...თუ მამულს თავი არ ანაცვალე!

ქართველ ემიგრანტთა პატრიოტული გამოცემა ამერიკაში

N თარსი, 2ათას5

თქვენო აღმატებულებავ,
ბატონო პრეზიდენტო,

უწინარესად, ულრმეს მადლობას გწირავთ, რომ წყვეტილობით, მაგრამ სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველოს დასდეთ უდიდესი პატივი თქვენი ვიზიტით. ამ ისტორიულ ჟესტს ჩვენ ალვიქვამთ თქვენი დიადი სახელმწიფოსა და მისი ლიდერის მიერ კავკასიის გულის - საქართველოს მნიშვნელობის, ფუნქციისა და მისიის გაცნობიერებად, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქართველო დაეხსნება მეზობელი იმპერიის მიერ თავსმოხვეულ გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, მორალურ პარადოქსებს და დასავლეთის, თქვენი შემწეობით დამკვიდრებულ მსოფლიოს ახალ ღირებულებათა სისტემაში ღირსეულ, განუმეორებელ, თვითმყოფად და უნიკალურ ადგილს მოიპოვებს.

ჩვენი ქვეყანა დაიქანცა. მას ედავებიან იმას, რაც უდავო და აპრიორია. ჩვენი ქვეყნის აწ უკვე დაფლეთილ ტერიტორიაზე, ქართველთა და აფხაზთა როგორც ავტოქტონთა, ასევე მისი ყველა მოქალაქის უფლებები ირღვეოდა და ირღვევა რუსეთის სხვადასხვაგვარი მოდიფიკაციის იმპერიის რეციდივების უზნეო ზეგავლენით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა იმპერიებისთვის დამახასიათებელი პრიმიტიული ფორმულით ფსევდოავტონომიური წარმონაქმნები მოახვია თავს ჩვენს ქვეყანას. დემოკრატიული ღირებულებების ერთგული დღევანდელი საქართველო მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ეთნოსს სთავაზობს თვითმყოფადობისა და კულტურის განვითარების ყველაზე ფართო არჩევანს, ხოლო აფხაზებსა და ოსებს დღევანდელი ხელისუფლების მიერ ექმნებათ საშური პირობები, გააკეთონ სამართლიანი არჩევანი ფსევდო და ჭეშმარიტ ავტონომიებს შორის.

ბატონო პრეზიდენტო,

თქვენ იმაშიც დაგვეთანხმებით, რომ სამარცხვინოა, ტრაგიკულზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენს დღევანდელ სახელმწიფოს ჰყავდეს ასეულ ათასობით შიდა მიგრანტი, დევნილი და ლტოლვილი. თქვენი სახელმწიფოს უპირატესი დამსახურებაა, რომ მათი უდიდესი ნაწილი ფიზიკურად გადარჩა, მაგრამ მათთვის სიცოცხლეზე ზეაღმატებული ღირებულებისაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რომლის რეალიზება უთქვენოდ, უბრალოდ, უპერსპექტივოდ გვეჩვენება.

ბატონო პრეზიდენტო, კიდევ ერთხელ გწირავთ მადლობას, რომ საქართველო არასდროს მიგიტოვებიათ განსაცდელში. ამიტომ ღრმად გვწამს, რომ მოურეველი განსაცდელი, თქვენი შემწეობით, ღლენიადაგ შეგვიმცირდება.





<< რედაქცია EDITORIAL >>

Your Excellency, Mr. President

We would first and foremost like to thank you for your visit that is honorable to Georgia whose statehood is three thousand years old. This historic step makes it clear that your great country and you, its leader, understand the significance, function, and mission of Georgia that is in the heart of the Caucasus. This provides grounds for hope that Georgia will be able to escape the geographic, political, and moral paradoxes imposed by the neighboring empire and will occupy a deserved, unique, and distinctive place in the system of new values established in the world thanks to your country`s efforts.

Our country is tired. There is much controversy over what cannot be contested. The rights of the Georgians and Abkhazians, indigenous peoples on our country`s territory that has been torn to pieces, as well as the rights of all its citizens are being and have always been violated under the influence of the Russian Empire of different modifications.

It is common knowledge that Bolshevik Russia, just like other empires, used a primitive formula to impose pseudo-autonomies on our country. Today`s Georgia that is faithful to democratic values offers all ethnic groups residing on its territory a wide choice for the development of their unique identities and cultures. As regards the Abkhazians and Ossetians, the current authorities are creating for them enviable conditions for making a fair choice between the pseudo and true autonomies.

Mr. President,

You will perhaps agree if we say that it is shameful, if not tragic, that our country now has hundreds of thousands of internal migrants, displaced persons, and refugees. It is your country that is to be credited for the fact that most of them have survived. However, the restoration of this country`s territorial integrity is more precious for them than their lives and we believe that this aim is unachievable without your assistance.

Once more, we would like to express our gratitude for never leaving Georgia in trouble. This is why we hope that this country will have to face fewer insurmountable problems in the future.

მომავალ

# ნომერში




## კახა ჩიტაია ცეკვავს ვალსს

ანუ

## რეკვიემი რესტორან „ნაციონალში"

რედაქტორის რეპორტაჟი სააღდგომო ბანკეტიდან

## ფაშიზმისაგან ჩერჩილს დავუხსნივართ!



### ინტერვიუ ჩერჩილის შვილიშვილთან

- ჩერჩილი რომ არ ყოფილიყო, დიდი ბრიტანეთი ჯერ კიდევ 1940 წლის ზაფხულში დანებდებოდა ფაშისტებს. და მაშინ ჰიტლერი მთელ ძალებს სსრ კავშირის წინააღმდეგ დაძრავდა, და, შესაძლოა, წითელ არმიას ვერც კი გაეწია მედგარი წინააღმდეგობა. ჩემი აზრით, ჩერჩილის პირადი ვაჟკაცობა და გამბედაობა რომ არა, დასავლეთი ევროპის ყველა ქვეყნის და საბჭოთა კავშირის თავზეც სვასტიკიანი დროშა იფრიალებდა.

## სტუმრად სააკაშვილებთან



ძალიან გვინდა, ძაღლი რომ გვყავდეს, მაგრამ ასეთი საცხოვრებელი პირობები არ გვაქვს. სამოთახიან ბინაში ვცხოვრობთ, ეს სულ 60 კვადრატული მეტრია. ამიტომ სანდრას ყველა მცდელობა, რომ სახლში მოიყვანოს ძაღლი, ჩემგან აღკვეთილ იქნა და სწორედ ეს მიმაჩნია ამ წლის მთავარ მიღწევად.

### გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

როცა დაგვიკავშირდა სტამბის დირექცია და გვაცნობა, რომ მე-9 გვერდზე შეპირებული ხატის დაბეჭდვა გაცილებით მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე მათ მიაჩნდათ. არადა ჩვენი სურვილი იყო, რომ დღეს თქვენს ოჯახში წმიდა ნინოს უნიკალური ხატის ფერადი რეპროდუქცია შემობრძანებულიყო.

ისე გვეჩქარებოდა ამ ხატის თქვენთან შემობრძანება, რომ ანდაზამ „მოჩქარეს მოუგვიანდესო", თავი შეგვახსენა.

მიიღეთ ჩვენი ბოდიში და დაპირებაც, რომ ხატს გაზეთის მომავალ ნომერთან ერთად მიიღებთ.

# სენსაცია

## სახარების ახალი რედაქცია

## თითოეული ქართველისათვის გასაგებ ენაზე კანონიკური ტექსტის სრული დაცვით

გაზეთი „მამული" ბედნიერია, რომ მომავალი ნომრიდან წარმოგიდგინოთ წყარო ჩვენი ცხოვრებისა - სახარება, რომელიც ათასწლეულთა მანძილზე მრავალჯერ თარგმნილა, გადაწერილა და პირველყოფილი იერიც დაჰკარგვია. უფრო მეტიც, ძველქართულად აჟღერებული მაცხოვრის ცხოვრების ქრონოლოგია ბევრი თანამედროვესავით, სამწუხაროდ, გაუგებარია, ხოლო ახალქართულად თარგმნილი ტექსტი ზოგჯერ იმდენად ბუნდოვანი და დამახინჯებული გახლავთ, რომ შეუძლებელი ხდება მთელი საკვანძო დებულებების სწორი აღქმა.

ჩვენს ხელთაა ერთადერთი და უნიკალური თანამედროვე რედაქცია ოთხთავისა, რომელზედაც უკვე ოცდაათი წელიწადია მუშაობს ყოფილი მიტროპოლიტი, მდაბალი გაიოზ კერატიშვილი, საქართველოს ეკლესიის მეორე პირი 1978 წლამდე და ამავე წელს შევარდნაძის რეჟიმის მიერ უსამართლოდ და განუკითხავად 15 წლით თავისუფლებააღკვეთილი. სწორედ დაღესტნის შრომა-გასწორების კოლონიაში იხვეწებოდა თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის უძველესი ქართული მარგალიტებით შემკული ახალი რედაქცია ქართული ოთხთავისა. მოგვიანებით ეს ფუნდამენტური ნაშრომი კიდევ მრავალგზის იქნა შედარებულ-შეჯერებული სახარების სხვადასხვა გამოცემასთან. გაიოზ კერატიშვილმა სცადა, მისეული ვარიანტი მაქსიმალურად იდენტური ყოფილიყო სახარების კანონიკური ტექსტისა, ამასთან აღდგენილიყო მასში ის აუცილებელი ნიუანსები, რომლებიც საღმრთო წიგნში დაშიფრულ ჭეშმარიტებას ქართულ ყალიბში ჩამოასხამდა და ყველასათვის გასაგებს გახდიდა.

სიყვარული და შიში უფლისა, აი, უდიადესი მიზანი, რომელიც ყველა მოკვდავს აძლევს შანსს, გაიგოს კართან მომდგარი მაცხოვრის კაკუნი, ლოცვით ხელაპყრობილი მიეგებოს და ფართოდ გახსნილი ბჭენი სულისანი მიაგებოს.

მაშ ასე, კიდევ ერთხელ მოვისმინოთ, რას გვეუბნება სახარება მეორედ მოსვლის ზღურბლზე, რათა უფლის მადლით გაბრწყინდეს ჩვენი ხელახალი დაბადება!

**მამულისა და ასავალ-დასავალის**
ერთობლივი პროექტი



## ჩაი ლიმონით და ორცხობილა

### გულახდილი საუბარი სალომე ზურაბიშვილთან

სსრკ-ს მაშინდელი პირველი მდივანი ხრუშჩოვი პარიზში ჩადიოდა. ეშინოდათ, ვინმეს ბომბი არ ესროლა. ერთ დილით, ლევან ზურაბიშვილი და რამდენიმე „საშიში" ქართველი პარიზს გაარიდეს და ცოტა ხნით, კორსიკაზე გადაასახლეს. შვილები, პატარა სალომე და ოთარი დაბღვერილები უყურებდნენ, როგორ მიჰყავდათ მამიკო. იმავე დილას დედამ ბავშვები სკოლაში წაიყვანა. სკოლა მოშორებით იყო და ავტობუსით უნდა ემგზავრათ. ავტობუსებზე საბჭოთა დროშები იყო დამაგრებული. ბავშვებმა ეს რომ დაინახეს, არ ავალთო - გამოაცხადეს. დედამ უთხრა, ხრუშჩოვის გულისთვის ტაქსში ფულს არ დავხარჯავ, თვალებზე ხელები ავიფაროთ და ისე ვიმგზავროთო...

დღეს ეს პატარა სალომე, პატარა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია და იმ დროს ქართველ ემიგრანტთა შვილი ამ პოსტზე ვერც იოცნებებდა.

## ეს ფოტო იბეჭდება პირველად



რომ წამოვიზარდე, გალაკტიონს დავუახლოვდი. ერთხელ ზემელთან შემხვდა, ბელინსკის ქუჩაზე წავედით, სარდაფში. იქ ჩვენი ფეხბურთელები ქეიფობდნენ, მატჩი ჰქონდათ მოგებული და... უკითხა გალაკტიონმა ლექსები... ამაზე დიდი ჯილდო რა იქნებოდა, – მოდიოდა და მოდიოდა სადღეგრძელოები, მერე მხრებში ამოვუდექით და ბარბაცით მივიყვანეთ სახლამდე. სულ ჩემთან დადიოდა სურათების გადასაღებად... ერთი მისი ფოტო მაქვს, ჯერ არსად დაბეჭდილა. რომ დაკარგა, ის ლენინის ორდენი უკეთია და ხელში „პაპიროზი%უჭირავს. ასეთი იყო სინამდვილეში...



## რასპუტინის ქუთაისელი სასიძო

პეტერბურგში მუდმივად მცხოვრები სიმონიკა არასდროს ივიწყებდა მშობლიურ კერას. იგი დროდადრო ჩამოდიოდა ქუთაისში და აუცილებლად მოინახულებდა ნათესავებსაც. თან ჩამოჰქონდა საჩუქრები და ბევრ საინტერესო ამბავსაც ყვებოდა სასახლის კარის ცხოვრებაზე. ეს ულამაზესი ვაჟკაცი ნიკოლოზ II-ის ოჯახში ხშირად ხვდებოდა რასპუტინის ქალიშვილს მატრონას, რომელსაც ძლიერ შეჰყვარებია სიმონიკა. იმპერატორის ოჯახს ხელი შეუწყვია და სიმონიკა მისი ოფიციალური საქმრო გახდა, მაგრამ რასპუტინის მკვლელობამ ხელი შეუშალა ამ ქორწინებას.

# იგი მოკლეს!



პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გარდაცვალების საქმეში სკანდალური დეტალები ჩნდება. ვიდრე ოფიციალური გამოძიება დუმს, ჟვანია-უსუპოვის საეჭვო გარდაცვალების ირგვლივ უპასუხო კითხვებს სტუდია ''რეპორტიორის'' დირექტორი, ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე პასუხობს.

ჟვანია-უსუპოვის გარდაცვალებიდან ოთხი თვე გავიდა. ინციდენტი თავიდანვე უბედურ შემთხვევად მოინათლა, მაგრამ ოფიციალური გამოძიება საქმის დახურულად გამოცხადებას არ ჩქარობს. რატომ? გამოძიებას ამის უამრავი მიზეზი აქვს. ყველაზე ლოგიკური მიზეზი კი, ალბათ, დამოუკიდებლად შექმნილი საგამოძიებო ჯგუფების ამ საქმისადმი დაინტერესებაა. არაა გამორიცხული, დამოუკიდებლად გამოძიებულმა დასკვნამ სახელისუფლებო გამოძიება ჩიხში შეიყვანოს.

ჟვანია-უსუპოვის ''ნიკალათი'' მოწამვლის ოფიციალურ ვერსიაზე საზოგადოებისთვის მომხდარისთანავეა ცნობილი. ქართველ სამართალდამცველებს აზრი ვერც ამერიკელმა ექსპერტებმა შეაცვლევინეს. საზოგადოება კი დაარწმუნეს, რომ ამერიკელებს ისინი არაფრით ჩამოუვარდებიან.

### დამოუკიდებელი გამოძიების სკანდალური მასალები

ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძის სტუდიის მიერ გამოძიებული საქმე, რომელიც ტელეკომპანია ''202''-ით უკვე აჩვენეს, ოფიციალური გამოძიებისაგან რადიკალურად განსხვავებულია. თუმცა, როგორც ჟურნალისტი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს: ''ნაჩვენები ფილმი, უხეშად რომ ვთქვათ, იმის 20%-იც არაა, რაც ჩვენ ცნობები მოგვეპოვება ამ ფაქტთან დაკავშირებით. გამოძიება გრძელდება, საზოგადოება სხვა მასალებს მოგვიანებით ნახავს''.

კომახიძის მიერ გამოძიებული მასალებით, ჟვანიას სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე მოვლენები შემდეგნაირად ვითარდება:

2005 წლის 2 თებერვალს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, სახელმწიფო კანცელარია დღის ბოლოს, დაახლოებით, 22 საათსა და 55 წუთზე დატოვა.

ამ დროს რაულ უსუპოვი ვარკეთილში, ავტოსადგომზე შევიდა. ავტოსადგომის დარაჯი, რომელიც უსუპოვს კარგად იცნობდა, იხსენებს, რომ იმ ღამით რაულს მართლაც დაურეკეს, რამდენიმე წამი ილაპარაკა, საუბრის შემდეგ კი სადღაც გაემგზავრა და დაიბარა, რომ ერთ-ორ საათში დაბრუნდებოდა. ზარი, რომლის შემდეგაც უსუპოვმა ავტოსადგომი დატოვა, ზურაბ ჟვანიას ნომრიდან იყო დაფიქსირებული.

უსუპოვის მანქანა 1 საათის განმავლობაში ვარკეთილიდან საბურთალოს ქუჩისკენ მიდიოდა. ჟვანიას ავტომანქანამ რუსთაველი, კოსტავას ქუჩა გაიარა და დაახლოებით 11 საათზე შარტავას ქუჩაზე მდებარე ბინაში მივიდა. 35 წუთში კი ისიც საბურთალოს ქუჩისკენ გაემგზავრა.

გამოძიებისას ჟურნალისტი ჯეოსელისა და მაგთის ანძების განლაგების მიხედვით სატელეფონო ზარების ამონაბეჭდების მონაცემებს ეყრდნობა. ასევე გამოყენებულია ფარული ჩანაწერიც, რომელშიც ჟვანიას დაცვის წევრი მიხეილ ძაძამია იმ საღამოს მოვლენებზე მისეულ ვერსიას ავითარებს.

ფარულ ჩანაწერში ძაძამია ამბობს: ''დავსხედით, იმ მარშრუტით წავედით, იქიდან მოვტრიალდით, სუპერმარკეტში შევედით, თან ტელეფონზე ლაპარაკობდა...'' ძაძამია ამბობს, რომ ჟვანია კონსპირაციულ ბინაში ესკორტის გარეშე წაიყვანა, გზაში სურსათი და კონიაკი შეიძინა, მანქანას ნელა მართავდა, რადგან ჟვანია ტელეფონზე ლაპარაკობდა. ხოლო როცა სახლთან მივიდნენ, ჟვანიამ დაავალა, რომ უსუპოვისთვის დაერეკა. 23 საათი და 59 წუთი იყო.

''მითხრა, გადაურეკე, სად არისო, დავურეკე და მითხრა მოვდივარო. სახლის კუთხეში ვიდექი, მითხრა, მალე მოვალო'', - ამბობს ძაძამია.

მისივე თქმით, ისინი საბურთალოს 53-ში კონსპირაციულ ბინაში შევიდნენ. სინათლე აანთო, გამათბობელი ჩართო, ამ დროს უსუპოვმა კარზე დააკაკუნა. კარი ჟვანიამ გააღო და ძაძამიას უთხრა, წადი და როცა დაგირეკავ, მაშინ მოდიო.

კომახიძე ლოგიკურად ასკვნის, რომ ძაძამია ამ დროს ჟვანიასთან ერთად საბურთალოს 53-ში ვერ იქნებოდა. ვერც სინათლეს და ვერც გამათბობელს ვერ აანთებდა, რადგან 23 საათსა და 59 წუთზე ძაძამიას ტელეფონმა დიღუბის ანძასთან სიახლოვეს დარეკა.

როგორც ირკვევა, პრემიერ-მინისტრის დაცვის წევრი შემთხვევის ადგილზე სავარაუდოდ, მხოლოდ 3 საათზე დაბრუნდა და მისივე თქმით, ჟვანიასთან დაკავშირებას ცდილობდა.

ძაძამიას მონაყოლი: '' მას მერე, რაც კარი არ გამიღეს, შევამტვრიე. აქეთა კუთხის ფანჯარაზე ფარდა რომ გადავწიე, დავინახე, ზურა აქეთა კუთხის კრესლოში იყო, კუთხისკენ. ზურა არ რეაგირებდა. დავურეკე კობას და ვუთხარი, არ რეაგირებს-მეთქი, მითხრა, მოვდივარო (კობა ხარშილაძე, ვისაც ძაძამიამ დაურეკა, პრემიერ-მინისტრის დაცვის უფროსი იყო. იგი ზარის მიღებისთანავე საბურთალოს ქუჩისკენ გაემგზავრა). ტელეფონი დამიჯდა. იქ არის სტაკანკა, იქ შევიტანე ტელეფონი დასატენად''.

ავტოსადგომი, სადაც ძაძამია ტელეფონის დასატენად წავიდა, შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 200 მეტრითაა დაშორებული. გზად გაზის წნევის მარეგულირებელი ჯიხური მდებარეობს. პრემიერის სიკვდილის დღეს ჯიხურის საკეტი გატეხილი იყო. ამ ოთახში, პრემიერ-მინისტრთან დაცვამ მხოლოდ 4 საათზე შეაღწია.

ძაძამია ამბობს: ''კობა შეძვრა, გამოვწიეთ ჟალუზი. მე გარეთ ველოდებოდი, 4-5 წუთის მერე კობამ გამიღო კარები. ზურა იწვა''.

ძაძამია ამბობს, რომ პრემიერ-მინისტრი და უსუპოვი უკვე გარდაცვლილები იყვნენ. იქვე იყო გაშლილი სუფრა და ნარდი. კობას მითითებით ძაძამიამ გაზის გამათბობელი გადაკეტა.

''მე ვერ დავინახე, გაზი ენთო თუ არა, გაზის ფშიტინი მესმოდა და გადავკეტე'', - ამბობს ძაძამია. თუმცა, დამოუკიდებული გამოძიებით დადგენილია, რომ თბილგაზის საავარიო სამსახურმა ამ უბანზე გაზი ერთი საათით ადრე გადაკეტა. ამის მიზეზი საბურთალოს ქუჩიდან თბილგაზში გაზის წნევის მომატების შესახებ შესული შეტყობინებაა, რომელიც ღამის სამის ნახევარზე შევიდა. თბილგაზის ჟურნალის მიხედვით, 2 საათსა და 35 წუთზე საავარიო ჯგუფი უბანზე გაემართა. 2 საათსა და 55 წუთზე კი გაზი გადაკეტილი იყო.

''თბილგაზის'' თანამშრომელი ნოდარ სუხაშვილი, რომელმაც გაზი უშუალოდ გადაკეტა, ამბობს, რომ ჯიხურის საკეტი გატეხილი დახვდა.

''თბილგაზი'' ადასტურებს, რომ წნევამ იმ ღამეს მარტო ამ უბანზე მოიმატა, რაც მხოლოდ გატეხილი საკეტის მიღმა მდებარე წნევის რეგულატორის ამოქმედებით იყო შესაძლებელი. ასე რომ, თუ გაზი 2:55 საათზე გადაიკეტა, დაცვის წარმომადგენლებმა კი ბინაში 4 საათისთვის შეაღწიეს, შეუძლებელია, ვინმეს ოთახში გაზის ხმა გაეგო.

### ქართულად ნათარგმნები ამერიკული დასკვნა

მომხდარის შემდეგ ამერიკელებმა გამოიკვლიეს, თუ რა გავლენა შეეძლო მოეხდინა ლუმელის გაუმართაობას ჰაერში ჟანგბადისა და ნახშირბადის კონცენტრაციაზე, რაც წინასწარი გამოძიების აზრით, სიკვდილის მიზეზი გახდა.

ექსპერტებმა 12 საათზე ნიკალა ჩართეს და ექსპერიმენტი დაიწყო, რომელიც ოთხსაათნახევარი გაგრძელა. სპეციალური მოწყობილობებით ისინი ჰაერში ჟანგბადის შემცველობას ზომავდნენ. ექსპერიმენტის დაწყებისას ჟანგბადის დონემ 20,5 პროცენტი შეადგინა, ოთხსაათნახევრის შემდეგ კი 18,4 პროცენტამდე დაიწია. ოთხსაათნახევარში გამათბობელი გამორთეს და ნორმალური კონცენტრაცია მომენტალურად აღდგა.

თუ რა ფიზიოლოგიურ გავლენას მოახდენდა ჟანგბადის შემცველობის კლება 20,5%-დან 18,4 %-მდე, ექსპერტებმა ამერიკის სტანდარტიზაციის ეროვნული ინსტიტუტის პარამეტრები გამოიყენეს.

ამ სტანდარტების მიხედვით: 20,9 % ნორმალური რაოდენობაა. 19 % იწვევს გარკვეულ, თუმცა, შეუმჩნეველ ფიზიოლოგიურ ზეგავლენას. 16%-ზე შენელებული აზროვნებაა და მოდუნებულია ყურადღება, ასევე, გაუარესებულია კოორდინაცია. 14% უჩვეულო დაღლილობას და მოდუნებას იწვევს 12,5% დროს ძალზე გართულებულია აზროვნება და კოორდინაცია, იწყება გულისრევა. 10%-ის ქვევით - კონვულსიები და სიკვდილი. ანუ რა პერიოდიც ჟვანიამ და უსუპოვმა ბინაში დაჰყვეს, აპარატურამ 18,8 % აჩვენა, რაც სიკვდილის მიზეზი არ შეიძლებოდა გამხდარიყო. ეს მხოლოდ მსუბუქ ფიზიოლოგიურ მოშლილობას გამოიწვევდა.

ნახშირბადის მონოქსიდი, რომელიც ქართველმა ექსპერტებმა სიკვდილის მიზეზად დაასახელეს, გამოძიების ფედერალური ბიუროს მომდევნო კვლევის საგანი გახდა. ნახშირბადის მონოქსიდი ქიმიური ნივთიერებაა, რომელიც მოწამვლით გამოწვეული უბედური შემთხვევების ყველაზე გავრცელებულ მიზეზად ითვლება.

ნახშირბადის მონოქსიდის კონცენტრაციის გასაზომად ექსპერტებმა მოცულობითი საზომი ერთეული - პიპიემი (parts per milion) გამოიყენეს. ამერიკული სტანდარტებით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის სახიფათო ზღვარი 1200 პიპიემია. ექსპერიმენტი ამჯერადაც ოთხსაათნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა და ოთახში სიცოცხლისთვის სახიფათო ზღვარზე 200-ჯერ ნაკლები კონცენტრაცია დაფიქსირდა.

FBI-ის ბიუროს ლაბორატორიის მიერ ჩატარებულმა სისხლის ანალიზმა აჩვენა, რომ ჟვანიას სისხლის ნახშირბად-ჰემოგლობინით გაჯერების დონე 72 პროცენტი, უსუპოვის კი - 74 პროცენტი იყო. ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ლაზარევის ცნობარის მიხედვით, 3 საათის განმავლობაში რომ სისხლი ნახშირბად-ჰემოგლობინით თუნდაც 60 პროცენტზე გაჯერდეს, ჰაერში ნახშირბადის მონოქსიდის კონცენტრაცია 1000 პიპიემზე მეტი უნდა ყოფილიყო.

შემთხვევის ადგილზე ჩატარებული ექსპერიმენტის დროს კი მხოლოდ 6 პიპიემს მიაღწია. თუ როგორ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ჟვანიას და უსუპოვის სისხლში ამ რაოდენობის ნახშირბად-ჰემოგლობინი, გამოძიება ინტერნეტ გვერდებზე გამოქვეყნებულ წყაროებს ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც, რუსეთის სპეცსამსახურებს შეიარაღებაში ჰქონდათ ქიმიური შენაერთი, სახელწოდებით რკინის პენტაკარბონილი. ესაა ღია მოყვითალო ხსნარი და მძიმე მომწამვლელი ეფექტი აქვს ორგანიზმში, როგორც საყლაპავი, ასევე ინექციის გზით მოხვედრისას. ამასთან, პრაქტიკულად არ განსხვავდება ნახშირბადის მონოქსიდით გაგუდულისგან.

FBI-ის ექსპერტთა მოსაზრებათა წინააღმდეგობრიობის მიუხედავად კი დასკვნა ასეთი იყო: ''გამოძიების ფედერალური ბიუროს ლაბორატორია აღნიშნავს, რომ თბილისში ჩატარებული ექსპერტიზის დროს, ნახშირბადის მონოქსიდის კონცენტრაციას არ მიუღწევია და არ გადაუჭარბებია სი ელ და აი დი ეიჰ ელ სტანდარტებისთვის''.

ერთი სიტყვით, ინგლისურ ვარიანტში მითითებულია, რომ არ გადაუჭარბებია, ქართულში კი - წერია, რომ გადააჭარბა.

### სისხლჩაქცევა და ნაჭდევი

დამოუკიდებელი გამოძიების უდიდეს ინტერესს იწვევს ჟვანიას ქვედა ტუჩის მარცხენა ნახევარში მდებარე სისხლჩაქცევა და ნაჭდევი. ექსპერტიზით, ნაჭდევი განვითარებული უნდა იყოს სიკვდილის დადგომის შემდეგ, ახლო პერიოდში.

თუმცა ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი ამბობს, რომ დასკვნაში ასეთი ჩანაწერის არსებობა ტენდენციურობაზე მიანიშნებს, რადგან სისხლჩაქცევა შეიძლება განვითარდეს როგორც სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის შემდეგ მოკლე დროშიც, მაგრამ, რადგან ექსპერტიზა ყოველგვარი დამატებითი გარემოებების გარეშე დაზიანებას სიკვდილის შემდეგ დროს მიაკუთვნებს, იგულისხმება, რომ არსებობს დირექტივა და არასასურველია დაზიანების სიკვდილამდელი პერიოდით დათარიღება...

ჟვანიას და უსუპოვის სისხლში ნახშირბად-ჰემოგლობინის მაღალი პროცენტის მიზეზი გაზის გამათბობელი რომ არ იყო, ძლიერდება მონათხრობით, რომლის მიხედვითაც უსუპოვს მკერდის არეში ნანემსარები ჰქონდა. მონათხრობის ავტორები კი არიან პირები, რომლებმაც უსუპოვის გვამი უშუალოდ დაათვალიერეს.

მთავარი კი, რაზეც დამოუკიდებელი გამოძიებისთვის უბედური შემთხვევა საეჭვო ხდება, ესაა თითის ანაბეჭდები - ბინაში, სადაც გამოძიების ვერსიით, პრემიერ-მინისტრმა უკანასკნელი ღამე გაატარა, სადაც ივახშმა და ცოტაოდენი სასმელიც მიირთვა, გამოძიების მიერ ამოღებულ არც ერთ ნივთზე, არც ერთ საგანზე ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის თითის ანაბეჭდები არ აღმოჩნდა.

რა გავლენას იქონიებს დამოუკიდებელი გამოძიება ჟვანია-უსუპოვის საქმეზე, ეს მოკლე დროში გამოჩნდება. თავად ვახტანგ კომახიძე კი აცხადებს: ''არ ვიცი, რა რეაგირება მოჰყვება. ეს მათი მოსაფიქრებელი და მოსამოქმედებელია. პასუხი კი ნამდვილად სჭირდება''.

**ლალი როზომაშვილი**



### პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლა თავისუფლების მოედანზე

# ამერიკა დაიცავს საქართველოს ერთიანობას

ჩემო ძვირფასებო, ჩემო თანამემამულენო,

დღეს, ჩვენ ერთად ვწერთ საქართველოს ისტორიას. ამ ქალაქის კედლებს, ჩვენი ქალაქის კედლებს ძალიან ბევრი რამ ახსოვთ. ჩვენი ამაყი, ჩვენი უსაზღვროდ ლამაზი სამშობლო საუკუნეების განმავლობაში იყო მრავალი დამყრობლის სათარეშო არენა. არ დარჩენილა მსოფლიოში არც ერთი იმპერია, რომელსაც არ მოეტანა აქ სისხლი, ნგრევა, მცდელობა ქართველი ერის განადგურებისა. ამ კედლებს ახსოვთ რომაელები, ბიზანტიელები, ოსმალები, სპარსელები, მონღოლები, რუსები - ვერავინ ვერ გაგვანადგურა. ჩვენ დღეს აქ ვდგავართ, ამაყად ვდგავართ და ვდგავართ თავისუფლები. ჩვენი ისტორიის განმავლობაში არაერთი დიდი სახელმწიფოს ლიდერი ჩამოსულა, ჩამოსულა როგორც დამპყრობელი, ჩამოსულა როგორც დამმონებელი, ჩამოსულა იმისათვის, რომ კიდევ მეტად დაენგრია, კიდევ მეტად დაემცირებინა, კიდევ მეტი შეურაცხყოფა მიეყენებინა ჩვენი ერისთვის. მათი აქ ჩამოსვლა იყო მხოლოდ სისხლის და ნგრევის მომტანი. დღეს პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ჩვენს გვერდით თქვენს წინაშე დგას სახელმწიფოს ლიდერი, რომელიც არის მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო და დგას როგორც მეგობარი, როგორც პარტნიორი, როგორც მოკავშირე, როგორც თანამებრძოლი, როგორც ადამიანი, ვისი ჩამოსვლა გვახარებს თითოეულ ჩვენგანს და ვისი მისალმებაც საამაყოა ჩემთვის, როგორც ქვეყნის პრეზიდენტისთვის, მოგესალმებით ბატონო პრეზიდენტო.

ბატონო პრეზიდენტო,

რამდენიმე დღის წინ თქვენ იყავით ჰოლანდიაში, რათა მოგენახულებინათ ამერიკელი ჯარისკაცების სასაფლაო. თქვენამდე ორი დღით ადრე მე ვიყავი ტექსელზე, ჰოლანდიაში. ძალიან ბევრმა არ იცის მსოფლიოში, რომ მეორე მსოფლიო ომის ბოლო ბრძოლა ევროპაში იბრძოლეს ქართველებმა. 620 მათგანი გმირულად დაეცა ევროპისა და მთელი მსოფლიოს თავისუფლებისთვის და ისინი გამოვიდნენ გამარჯვებულნი. ჩვენმა ხალხმა შესაძლებელზე მეტი გააკეთა ევროპის გათავისუფლებისთვის. ჩვენი ფილოსოფოსი, მოაზროვნე და სასულიერო მოღვაწე გრიგოლ ფერაძე, რომელიც გაექცა ბოლშევიკებს პოლონეთში და რომელიც ჩასვეს ოსვენციმში იმის გამო, რომ იცავდა ებრაელ ბავშვებს დაპატიმრებისგან, ებრაელი ბავშვის ნაცვლად შევიდა გაზის კამერაში და დაიღუპა გმირულად ამ ბავშვის და მთელი ევროპის თავისუფლებისთვის. და ბოლოს, შეიძლება ამ დღეებში ამაზე ბევრი არ გახსენებიათ სხვაგან, მაგრამ რაიხსტაგზე, გერმანულ რაიხსტაგზე, ჰიტლერის რაიხსტაგზე დროშა აღმართა მელიტონ ქანთარიამ, ქართველმა, ჩვენმა თანამემამულემ და ჩვენ ამით ყველანი ძალიან ვამაყობთ. ქართველები ყველგან ვიბრძოდით თავისუფლებისთვის, მაგრამ საქართველოს ამ ბრძოლების შედეგად თავისუფლება არ მოუპოვებია.

თუმცა, ჩვენ აქ არ შევკრებილვართ წარსულზე სასაუბროდ. დღეს ჯორჯ ბუშის აქ ყოფნა არის დასტური იმისა, რა შეუძლია ერთიანობას, რა შეუძლია თავისუფლებისთვის ერთიან სწრაფვას, ჩვენს ერთსულოვნებას, ჩვენს ერთ მუშტად შეკრულ ხელისუფლებას. პირველად საქართველოს ჰყავს მთავრობა, რომელიც უსმენს ხალხს, რომელიც უსმენს ხალხს ნაცვლად იმისა, რომ კარნახობდეს მას თავის ნებას, ეს არის მთავრობა, რომელიც სცემს თქვენ აზრს პატივს, ეს არის მთავრობა, რომელიც ემსახურება ხალხს იმის ნაცვლად, რომ ძარცვავდეს და აჩანაგებდეს მას და, რაც მთავარია, ეს არის მთავრობა, რომელიც ანგარიშვალდებულია თითეული თქვენგანის წინაშე, სრულად აქვს გაცნობიერებული პასუხისმგებლობა ჩვენი შვილების მომავლის წინაშე. უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც ჩვენი ახალგაზრდები მიდიოდნენ საქართველოდან, რადგან აქ არანაირი პერსპექტივა არ იყო. შარშანდელი წელი იყო პირველი წელი, როცა მეტი ქართველი დაბრუნდა საქართველოში, ვიდრე მიატოვეს საქართველოს ფარგლები. წარმატებული შვილები, წარმატებული ქართველები ბრუნდებიან თავისი ქვეყნის დასახმარებლად თავისი სამშობლოს ასაღორძინებლად. წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც კორუმპირებული, გაზულუქებული მოხელეები სისხლს წოვდნენ ჩვენს ხალხს. წარსულს ჩაბარდა აჭარაში ტირანიის დრო. წარსულს ჩაბარდა ადამიანების უფლებების დარღვევის დრო. წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც ჩვენ ვცხოვრობდით სახელმწიფოში, რომელსაც არ შეეძლო დაეცვა თავისი თავი, ჰქონოდა საკუთარი საზღვრები, არ შეეძლო დაეცვა საკუთარი ხალხი. მაგრამ მე მინდა გითხრათ ერთი რამ, ყველას ერთად გვაკისრია პასუხისმგებლობა ჩვენი სამშობლოს წინაშე, ყველას ერთად გვაქვს პასუხისმგებლობა დემოკრატიის გავრცელების წინაშე მთელს მსოფლიოში, დაწყებული ბელორუსიიდან, რომლის ხალხი იმსახურებს თავისუფლებას და ჩვენ ვიდეგით უკრაინელი ხალხის გვერდით, ჩვენ ვიდეგით სხვა ხალხის გვერდით - დაწყებული ჩრდილოეთ კორეიდან, კუბიდან და ეს არის დემოკრატიის მხარდაჭერა. საქართველო იქნება ამერიკის მთავარი პარტნიორი ყოფილ საბჭოთა სივრცეში და ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის გავრცელების საქმეში. ეს არის ჩვენი შემოთავაზება თქვენთვის, ბატონო პრეზიდენტო.

ბატონო პრეზიდენტო,

ჩვენ ვიზიარებთ თქვენს რწმენას, რომ დემოკრატიული ცვლილებების ნაყოფები აღმოცენდება ახლო აღმოსავლეთში და ნიშნად იმისა, რომ ერაყშიც იქნება დემოკრატია, რომ ერაყშიც არიან თითზე მელანწასმული ხალხი, არის ისეთივე ამაღელვებელი საყურებელი, როგორც ვარდებით ხელში გამოსული ხალხი. მე მინდა მივესალმო იმ ქართველებს, ვინც ამერიკელების გვერდით მხარდამხარ მსახურობენ ერაყში ისინი აქ არიან წარმოდგენილნი და მე მინდა ყველამ ერთად მივესალმოთ ჩვენ თანამემამულეებს, რომლითაც ჩვენ ძალიან ვამაყობთ. ჩვენ ქართველები სიამაყით გეუბნებით თქვენ ამერიკელებს: ჩვენ მუდმივად თქვენს გვერდით ვიქნებით თავისუფლებისათვის, დემოკრატიისთვის და უსაფრთხოებისთვის ბრძოლის საქმეში. თავისუფლების დაცვა, საქართველოს მრავალ-ეთნიკური კულტურა არის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სიძლიერე. დღეს ჩვენ მთელი მსოფლიოს დასანახად კიდევ ერთხელ ვუწვდით ძმობის, მეგობრობის ხელს ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს და დებს. ჩვენ არ გვინდა ომი, ჩვენ გვინდა მშვიდობა ერთიანი საქართველოს ფარგლებში. მე მინდა მათთან ერთად მათი ღირსების, მათი იდენტურობის დაცვა და ერთად ბრძოლა ჩვენი ქვეყნისთვის.

მე მინდა მივმართო ამერიკას, მე მინდა (დღეს მთელი მსოფლიო უყურებს) მთელი მსოფლიოს გასაგონად გითხრათ: მაშინ, როდესაც 1990-წლების დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებლობა ახალი მოპოვებული იყო, როდესაც ხალხს ფიზიკურად შიოდა, პური ცხვებოდა ამერიკული ხორბლით, რომელსაც ამერიკა გვაძლევდა უსასყიდლოდ. მე მინდა მადლობა გითხრათ, პატონო პრეზიდენტო, მაშინ ამ დახმარებისთვის. როდესაც სამი წლის წინ საქართველოს ტერიტორია დაიბომბა და ჩვენი მშვიდობიანი მოსახლეობა დაიღუპა, ამერიკა იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც აიმაღლა ხმა საქართველოს დასაცავად და უთხრა ყველა ჩვენს მეზობელს, რომ წითელი ხაზი გადის კავკასიის ქედზე, იმის იქით არავის არაფერი ესაქმება, ეს არის დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა. მე მინდა მადლობა გითხრათ, ბატონო პრეზიდენტო და ამერიკელებო, ამისათვის. როდესაც ჩვენ ყველანი გამოვედით ამ მოედანზე ჩვენი თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად, ამერიკა იყო პირველი ქვეყანა, ვინც გვერდით დაუდგა ქართველებს თავისუფლებისთვის ბრძოლის საქმეში და ჩვენ გვინდა მადლობა გითხრათ ამისათვის, ბატონო პრეზიდენტო. მაგრამ საქართველოსთვის ჯერ კიდევ ძალიან მნიშვნელოვანია ამერიკის დახმარება. მიუხედავად ვარდების რევოლუციის წარმატებისა საქართველოში, არის მხარეები, სადაც ადამიანებს წართმეული აქვთ თავისუფლება. ჩვენ უნდა დავამთავროთ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეთა იზოლაციაში ყოფნა, მივცეთ მათ თანაბარი შესაძლებლობა განვითარდნენ თავისუფლების, დემოკრატიის, ერთიანობის პირობებში. ჩვენ დღეს ამერიკის პრეზიდენტმა, როგორც არც ერთი სხვა სახელმწიფოს ლიდერმა, ხმამაღლა კიდევ ერთხელ მთელი მსოფლიოს გასაგონად თქვა, რომ საქართველო იქნება ერთიანი და ამერიკა დაიცავს საქართველოს ერთიანობასა და მთლიანობას. მე წელან მოგახსენეთ, რომ ჩვენ გვჭირდება უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები ჩვენი დემოკრატიის, ჩვენი თავისუფლების შესანარჩუნებლად. ამისათვის საქართველომ მყარად თქვა, მთელმა ქართველმა ხალხმა მყარად თქვა, რომ საქართველო უნდა გახდეს ნატო-ს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი და პრეზიდენტმა ბუშმა დღეს კიდევ ერთხელ გამოხატა ღია მხარდაჭერა საქართველოს ნატოში გაწევრიანებისათვის. რა თქმა უნდა, ჩვენ კიდევ გრძელი გზა უნდა გავიაროთ დემოკრატიული რეფორმების კუთხით, ჩვენ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

ბატონო პრეზიდენტო,

გასულ ზამთარს (ეს იყო პირველი ზამთარი ჩვენი დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ) მე მქონდა შესაძლებლობა მესმინა თქვენი მეორე საინაუგურაციო გამოსვლისთვის. მე მახსოვს თქვენი სიტყვები - "ყველამ, ვინც ცხოვრობს ტირანიაში და უიმედობაში, უნდა იცოდეს, აშშ არ დახუჭავს თვალს თქვენს შევიწროებაზე, არ აპატიებს მათ, ვინც გჩაგრავთ თქვენ, თქვენ, რომლებიც აღსდგებით თქვენი თავისუფლებისთვის, ჩვენ ამერიკელები მუდამ დავდგებით თქვენს გვერდით." იმ საღამოს მე მეგონა, რომ თქვენ პირადად მე მომმართავდით, ჩვენს ხალხს მომართავდით, ჩვენს თავისუფლებაზე საუბრობდით, ჩვენს წარმატებაზე ლაპარაკობდით, ჩვენ დემოკრატიას იცავდით, ისევე როგორც ყველა მეზობელი ხალხის დემოკრატიას და თქვენ თქვენი სიტყვა დღეს შეასრულეთ. დღეს მთელი მსოფლიოს დასანახად ამერიკა, რომელიც იდგა ჩვენს გვერდით რევოლუციის დროს, დგას დღეს მრავალი თბილისელის, მრავალი ქართველის წინაშე და დღეს აქ არის 150 000-ზე მეტი ადამიანი. დღეს, თქვენ დგახართ აქ ჩვენს გვერდით, როგორც სიტყვის კაცი და როგორც ჩვენი მეგობარი. მე მინდა თავისუფლების მოედანზე მთელი ერის სახელით მივესალმო მსოფლიოს ლიდერს, რომელსაც როგორც არავის, უდიდესი წვლილი მიუძღვის თავისუფლებისთვის ბრძოლის საქმეში. მივესალმო მას, როგორც ჩვენს დიდ მხარდამჭერს და ჩვენს დიდ მეგობარს, როგორც თავისუფლებისთვის მებრძოლს - Welcome to Georgia Mr. President.

გასული წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა დააწესა წმინდა გიორგის სახელობის ორდენი საქართველოსთვის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებებისთვის. ჩვენ ამ პერიოდის განმავლობაში ეს ორდენი არავისთვის გადაგვიცია, თუმცა, რა თქმა უნდა, არ ვიცოდით შარშან, რომ პრეზიდენტი ბუში აქ ჩამოვიდოდა. მე მინდა საქართველოს თავისუფლების განმტკიცებაში, საქართველოს დემოკრატიის განმტკიცებაში, მთელს პოსტსაბჭოთა სივრცესა და ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიისთვის ბრძოლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ამ ახალი ქართული ორდენის პირველ მიმღებად, წმინდა გიორგი ორდენის კავალერად გამოვაცხადო აშშ-ის პრეზიდენტი ბატონ ჯორჯ ბუში და თქვენი სახელით გადავცე მას ეს ორდენი.



# მათ ვერ შესძლეს ქართული სულის განადგურება

დიდი მადლობა დახვედრისათვის!

თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეები, ლორა და მე ამ მხარეში ვიმყოფებოდით და თქვენთან ჩამოსვლაც გადავწყვიტეთ, რათა გვეთქვა - გამარჯობა!

გადავწყვიტეთ იმ ხალხის გვერდით დგომა, რომელმაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში უდიდესი სულისკვეთება და გამბედაობა გამოიჩინა.

თქვენ ლიდერები ხართ. ლორა და მე ვამაყობთ, რომ ქართველი ხალხის გვერდზე, სწორედ იმ ადგილას ვდგავართ, რომელმაც საამაყო სახელი, თავისუფლების მოედანი დაიმსახურა.

როდესაც 16 წლის წინათ, აქ ქართველი ხალხი შეიკრიბა, ამ მოედანს სხვა სახელი ჰქონდა.

ლენინის ცივი გამოხედვის ქვეშ ათასობით ქართველი ლოცულობდა ღელავდა და მოითხოვდა დამოუკიდებლობას.

საბჭოთა არმიამ გაჟლიტა პროტესტის დღე, მაგრამ მათ ვერ შესძლეს ქართული სულის განადგურება.

მომდევნო წელს ქართველები დაბრუნდნენ ამ მოედანზე და ლენინის ძეგლი ჩამოაგდეს.

1991 წლის 9 აპრილს თქვენ მსოფლიოს გამოუცხადეთ, რომ საბჭოთა საქართველო აღარ არსებობს და თავისუფალი საქართველოს დაბადება ამცნეთ!

იმ ისტორიულ დღეს თქვენ დამოუკიდებლობა აღიდგინეთ, მაგრამ იმედიანი დასაწყისი, რომელიც თქვენ წამოიწყეთ, არ ასრულდა.

18 თვის წინათ, ქართველები ამ მოედანს ისევ დაუბრუნდნენ, რათა 1989 წელს წამოწყებული საქმე, ღირსეულად დაესრულებინათ.

თქვენ აქ ვარდებით შეიკრიბეთ და რწმენით შეიარაღებულებმა თავისუფლება მოითხოვეთ.

თქვენი მოქმედებების შედეგად საქართველო დღეს თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომელიც ამ რეგიონში და მთელს მსოფლიოში სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს.

ეს გზა არ არის იოლი, მაგრამ თქვენ არ მოგიწევთ ამ გზის მარტო გავლა!

ამერიკელები პატივს სცემენ თქვენს მამაც არჩევანს, თავისუფლების მოპოვებისათვის.

თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს შენებისას ამერიკელი ხალხი თქვენს გვერდითაა!

თქვენ აშენებთ თავისუფალ მომავალს თქვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის და იგივე მიზნების განხორციელებაში სხვა ქვეყნებსაც ეხმარებით.

როდესაც ავღანელი ხალხი საკუთარი ქვეყნის პირველ პრეზიდენტს ირჩევდა, ქართველი ჯარისკაცები იქ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ.

როდესაც ერაყში ტერორისტული ძალადობა გამძაფრდა, საქართველომ თავისი გამბედაობა აჩვენა - ერაყში თქვენი ჯარის რაოდენობა ხუთჯერ გაზარდეთ.

ერაყელები, ამერიკელები და თქვენი კოალიციური მოკავშირეები ამისათვის მადლობელი არიან.

თქვენი უდიდესი წვლილი შეგაქვთ თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი თქვენივე მაგალითია.

ბოლო თვეების განმავლობაში მთელი მსოფლიო გაოცებულია იმედისმომცემი ცვლილებებით, რომელიც მიმდინარეობს ბაღდადიდან ბეირუთამდე და ბეირუთიდან ბიშკეკამდე, მაგრამ სანამ ერაყში იასამნისფერი რევოლუცია მოხდებოდა, ტიტების რევოლუცია ყირგიზეთში და ნარინჯისფერი რევოლუცია უკრაინაში, მანამდე საქართველოში ვარდების რევოლუცია მოხდა.

თქვენი სულისკვეთება ატყობინებს მთელს მსოფლიოს, რომ თავისუფლება იქნება ყოველი ერისა და მსოფლიოში ყველა ადამიანის მომავალი.

თავისუფალი საზოგადოების შენება თაობების სამსახურია. თითქმის 15 წელი დაჭირდა ბრძოლას, სანამ ამ ქვეყანაში თავისუფლება და სამართლიანობა მოიკიდებდა ფეხს.

წელიწადნახევრის წინათ, ამ მოედანზე გამოსულ ბევრ სტუდენტს და უბრალო ადამიანს - უმეტესად ახალგაზრდებს, 1989 წლის საპროტესტო აქციები ნაკლებად ემახსოვრებოდათ, მაგრამ მათ თავიანთი მშობლების დაწყებული საქმე დაასრულეს.

ამჟამად კავკასიის, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩვენ იგივეს ვხედავთ - თავისუფლების წყურვილს, რომელიც ახალგაზრდების გულის წადილია.

ისინი თავისუფლებას მოითხოვენ და მოიპოვებენ კიდევაც მას.

როგორც თავისუფალ ქვეყნებს, ამერიკასა და საქართველოს დიდი პასუხისმგებლობა გააჩნია და ჩვენს მოვალეობებს ერთად შევასრულებთ.

თავისუფალი საზოგადოებები მშვიდობიან საზოგადოებებს წარმოადგენენ. მილიონობით ადამიანებისათვის აქ განცდილი თავისუფლების მინიჭებით ჩვენ წინ წავწევთ თავისუფლებისა და მშვიდობის მოპოვების საფუძველს.

ჩვენი მოვალეობებიც თავისუფლებისათვის გლობალურ ბრძოლაში იწყება, თუმცა მშვიდობიან რევოლუციებს რეპრესიული რეჟიმების ჩამოგდება შეუძლია, ჭეშმარიტ ამოცანას კი, თავისუფალი ინსტიტუტების განვითარება წარმოადგენს.

ეს რთული საქმეა და თქვენ ამას ღირსეულად, გაბედულად ართმევთ თავს!

ეკონომიკური რეფორმის განსახორციელებლად და კორუფციის აღმოსაფხვრელად საკმაოდ რთული ნაბიჯები გადადგით.

თქვენ დემოკრატიულ საზოგადოებას აშენებთ, სადაც უმცირესობების უფლებები დაცულია.

თავისუფალი პრესა ყვავის, ქვეყანა მიესალმება ძლიერ ოპოზიციას და ერთობა თავისუფლებით მიიღწევა.

ამ ახალ საქართველოში კანონის უზენაესობა გაიმარჯვებს და თავისუფლება თითოეული მოქალაქის უფლება იქნება!

ეს იყო თქვენი აწგარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ჟვანიას ოცნება, რომელმაც ოდესღაც თქვა, შემთხვევით არ მომხდარა, რომ ჩვენ ორი ძალზე მნიშვნელოვანი იდეა ავირჩიეთ. ეს იდეა ''თავისუფლება და პასუხისმგებლობა'' ჩვენს ლოზუნგად იქცა. დღეს ჩვენ ქედს ვიხრით ამ უდიდესი ქართველი პატრიოტის წინაშე, რომელიც გლობალური დემოკრატიული რევოლუციის დიდი ლიდერი გახდა!

თავისუფალი და პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული საზოგადოების შენებით მის ხსოვნას თქვენ პატივს მიაგებთ და მის მემკვიდრეობას აგრძელებთ!

თქვენს ქვეყანაში თავისუფალი საზოგადოების შენებით, ის კავშირები, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს აერთიანებს, უფრო გაღრმავდება.

ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს სურვილს შეუერთდეს ევროპის ინსტიტუტებს და მხარს ვუჭერთ ნატო-სთან თქვენს მჭიდრო თანამშრომლობას.

საქართველოს ლიდერებმა იციან, რომ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება აუცილებელია თქვენი ტრანს-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისათვის.

ამავე დროს, საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ყველა ქვეყანა უნდა სცეს პატივი.

ისტორიულ ეპოქაში, სადაც თავისუფლება შავი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ მიიწევს, სპარსეთის ყურეში და უფრო შორსაც, როდესაც მთელ მსოფლიოში ხედავთ თავიანთი ქვეყნების დროშებით მოფრიალე თავისუფალი ხალხის მოედნებზე შეკრებებს, რომლებიც ღმერთის მიერ მინიჭებულ უფლებას მოითხოვს, ამ დროს, თქვენ უკვე შეგიძლიათ მიღწეულით იამაყოთ.

ეს თქვენით არის გამოწვეული და თქვენი წარმატების მაგალითზე მათაც დიდი იმედი ეძლევათ!

ჭეშმარიტი თავისუფლების შენებისას უნდა იცოდეთ, რომ ქართულ მიწაში თქვენს მიერ დათესილი თავისუფლების თესლი მთელს მსოფლიოში ღვივდება!

მე აქ ჩამოვედი, რათა თქვენი გამბედაობისთვის მადლობა გადაგიხადოთ! ამერიკელი ხალხი აფასებს თქვენს მეგობრობას და მოხიბლულია თქვენი სიმტკიცით!

ყველა ამერიკელის სახელით გიხდით მადლობას! ღმერთმა დაგლოცოთ! საქართველოს გაუმარჯოს!

# ...They could not crush the Georgian spirit

Mr. President, thank you for that introduction. Citizens of a free Georgia, Laura and I were in the neighborhood - we thought we`d swing by and say gamarjoba.

I am proud to stand beside a President who has shown such spirit, determination, and leadership in the cause of freedom. And Laura and I are proud to stand with the courageous people of Georgia, in this place that has earned a proud name - Freedom Square.

When Georgians gathered here 16 years ago, this square had a different name. Under Lenin`s steely gaze, thousands of Georgians prayed and sang, and demanded their independence. The Soviet army crushed that day of protest, but they could not crush the spirit of the Georgian people.

The following year, Georgians returned to this square and pulled down the statue of Lenin. And on April 9th, 1991, you declared to the world that Soviet Georgia was no more, and that the independent nation of Georgia was born. On that historic day, you reclaimed your sovereignty, but the hopeful start you made was not fulfilled. So 18 months ago, Georgians returned to this square to complete the task you began in 1989. You gathered here armed with nothing but roses and the power of your convictions, and you claimed your liberty. And because you acted, Georgia is today both sovereign and free, and a beacon of liberty for this region and the world.

The path of freedom you have chosen is not easy, but you will not travel it alone. Americans respect your courageous choice for liberty. And as you build a free and democratic Georgia, the American people will stand with you.

You are building a free future for your children and grandchildren, and you are helping other nations to do the same. When the Afghan people defied terrorists to vote in that nation`s first free presidential elections, Georgian soldiers were there to provide security. And last year - and last year, when terrorist violence in Iraq was escalating, Georgia showed her courage. You increased your troop commitment in Iraq fivefold. The Iraqi people are grateful, and so are your American and coalition allies.

You are making many important contributions to freedom`s cause, but your most important contribution is your example. In recent months, the world has marveled at the hopeful changes taking place from Baghdad to Beirut to Bishkek. But before there was a Purple Revolution in Iraq, or an Orange Revolution in Ukraine, or a Cedar Revolution in Lebanon, there was the Rose Revolution in Georgia.

Your courage is inspiring democratic reformers and sending a message that echos across the world: Freedom will be the future of every nation and every people on Earth.

Building a free society is the work of generations. It took nearly 15 years of struggle before liberty and justice fully took root in this country. Many of the students and workers who gathered here on this square 18 months ago were too young to remember the protests of 1989, but they took up freedom`s cause and finished the work that their parents had begun.

Now, across the Caucasus, in Central Asia and the broader Middle East, we see the same desire for liberty burning in the hearts of young people. They are demanding their freedom - and they will have it.

As free nations, the United States and Georgia have great responsibilities, and together, we will do our duty. Free societies are peaceful societies. And by extending liberty to millions who have not known it, we will advance the cause of freedom, and we will advance the cause of peace.

In this global struggle for liberty, our duties begin at home. While peaceful revolutions can bring down repressive regimes, the real changes and the real challenge is to build up free institutions in their place. This is difficult work, and you are undertaking it with dignity and determination. You have taken tough steps to reform your economy and to crack down on corruption. You are building a democratic society where the rights of minorities are respected, where a free press flourishes, a vigorous opposition is welcome, and unity is achieved through peace. In this new Georgia, the rule of law will prevail, and freedom will be the birthright of every citizen.

This was a dream of your late Prime Minister Zhvania who once said, „It is not by mere chance that we have adopted two very important ideas as our watch words: freedom and responsibility„. Today, we pay tribute to this Georgian patriot who became a great leader of the global democratic revolution. In building a free and responsible society, you honor his memory and you carry on his legacy.

As you build free institutions at home, the ties that bind our nations will grow deeper, as well. We respect Georgia`s desire to join the institutions of Europe. We encourage your closer cooperation with NATO. Georgia`s leaders know that the peaceful resolution of conflict is essential to your integration into the transatlantic community. At the same time, the sovereignty and territorial integrity of Georgia must be respected - the territorial and sovereignty of Georgia must be respected by all nations.

We are living in historic times when freedom is advancing, from the Black Sea to the Caspian, and to the Persian Gulf and beyond. As you watch free people gathering in squares like this across the world, waving their nations` flags and demanding their God-given rights, you can take pride in this fact: They have been inspired by your example and they take hope in your success.

As you build freedom in this country, you must know that the seeds of liberty you are planting in Georgian soil are flowering across the globe. I have come here to thank you for your courage. The American people value your friendship, and admire your determination. On behalf of all Americans, thank you,

God bless you. Sakartvelos gaumarjos.

ბატონო პრეზიდენტო, ამ ისტორიულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, მინდა მოგესალმოთ.

როგორც მითხრეს საქართველოს ქუჩებში თქვენს დასახვედრად 150 ათასამდე ადამიანია შეკრებილი.

მსურს მოგახსენოთ, რომ საქართველოს ისტორიაში ეს უპრეცენდენტო შემთხვევაა და თქვენი ვიზიტის მნიშვნელობაზე მეტყველებს.

გუშინ აეროპორტთან სწორედ ის ხალხი ნახეთ, რომელიც ქუჩაში თქვენს დასახვედრად გამოვიდა.

ეს ჩრდილოეთ კორეა არ არის. ჩვენ არ შეგვიძლია მოსახლეობა მოვატყუოთ და მცდარი ინფორმაცია მივაწოდოთ.

ეს პირადად ჩემთვის ძალზე ამაღელვებელი იყო.

ამ შენობასთან 18 თვის წინათ, დემოკრატიისა და მისი პრინციპების დასაცავად 180 ათასი ადამიანი შეიკრიბა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, უსაფრთხოების სფეროში გაწეული დახმარებებისა და დემოკრატიის განვითარების მხრივ, საქართველოს მიმართ არც ერთ ქვეყანას ისეთი მხარდაჭერა არ გამოუხატავს, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ამ თვალსაზრისით ქართველები ამერიკელების მიმართ მადლიერებას მუდმივად გამოხატავენ.

მსურს მივესალმო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს!

ამერიკასა და საქართველოს შორის პარტნიორობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, აქედან გამომდინარე, ჩვენი ურთიერთობა, მილსადენების პროექტებსა და სხვა სტრატეგიულ საკითხებზე უფრო მნიშვნელოვანია.

ეს თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების გაზიარებასა და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებას შეეხება.

პრეზიდენტი ბუში ის პიროვნებაა, რომელიც ამ საკითხს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და მისი აქტიური მხარდამჭერია.

პრეზიდენტი ბუში საქართველოს იმიტომ ეწვია, რომ ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა - თავისუფლებისმოყვარე ადამიანს ტირანიის პირობებში არსებობა არ შეუძლია.

ორივემ ვიცით, რომ თავისუფლება მათგან უნდა დავიცვათ, ვისაც მისი შეზღუდვა სურს.

ჩვენი ერთობა კი, გვაძლიერებს და იმედს გვაძლევს, რომ უფრო მეტ შედეგს მივაღწიოთ.

სწორედ ამიტომ 800 ქართველი ჯარისკაცი მოკავშირეთა ძალებს ეხმარება, ერაყში იბრძვის იმ ძალის დასამარცხებლად, რომელთა მთავარი მიზანი ხალხის დამონება, დაშინება და ხოცვაა.

ამიტომ არიან ქართველები ავღანეთში ნატოს მისიით.

აქედან გამომდინარე, ძალიან ვაფასებთ იმას, რომ ამერიკა, უკრაინის მსგავსად, საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციას მხარს უჭერს.

ამერიკის შეერთებული შტატები ასევე მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მის სუვერენიტეტს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში.

ჩვენ ვაფასებთ ამ მხარდაჭერას და უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობთ.

ჩვენ ვაპირებთ, რომ მშვიდობიანად გადავწყვიტოთ პრობლემები, რომლებიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტებთან - ამ რეგიონების მოსახლეობასა და ტერიტორიებთან არის დაკავშირებული.

**საქართველო ძალიან ამაყია, რომ თქვენ ამ პატარა მიწაზე ჩამობრძანდით!**

*მიხეილ სააკაშვილი*

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დემოკრატიული პროცესები, მიმდინარე რეფორმები უფრო ფართომასშტაბიანი გავხადოთ, რათა საქართველოში ცხოვრება უკეთესი გახდეს.

ამას გარდა მივისწრაფვით, რომ ყველა მეზობელ ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობა დავამკვიდროთ და დარწმუნებული ვართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით ყველა ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს გადავწყვეტთ.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ბრწყინვალე ლიდერი ბრძანდებით!

საქართველო ძალიან ამაყია, რომ თქვენ ამ პატარა მიწაზე ჩამობრძანდით!

ქართველებს გვწამს, რომ სტუმარი ღვთისაა და თქვენ ყველაზე ძვირფასი სტუმარი ხართ!

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ჯორჯ ბუშის სიტყვა გამართულ პრესკონფერენციაზე

# თქვენ გყავთ მეგობრები ამერიკაში!

მოგესალმებით!

ბატონო პრეზიდენტო, უპირველეს ყოვლისა მადლობელი ვარ თქვენი სტუმართმოყვარეობისთვის.

ქართული ცეკვა და სიმღერა გასაოცარი და თვალწარმტაცი იყო, ქართული სამზარეული კი - უგემრიელესი.

დიდი მადლობა მსურს გადავუხადო მათ, ვინც ეს ყველაფერი გააკეთა.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ძალზე გულახდილი საუბარი მქონდა. გულახდილია პრეზიდენტი სააკაშვილიც და ეს მე ძალიან მომწონს.

მას უყვარს დემოკრატია და თავისუფლება, უყვარს ქართველი ხალხი.

თანამედროვე ისტორიაში ვარდების რევოლუცია მნიშვნელოვანი მომენტი იყო.

ვარდების რევოლუციამ თავისუფალ საზოგადოებაში ცხოვრება მთელ მსოფლიოს მოანდომა.

ამგვარი სიმამაცე აღნიშვნის ღირსი და დასაფასებელია. ხალხის სურვილია გაიზარდოს მშვიდობიან ქვეყანაში. ვაფასებ იმ რეფორმებსაც, რომლებიც თქვენ განახორციელეთ.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ მოკლე პერიოდის განმავლობაში ბევრი რამის გაკეთება შეძლო. საქართველოს პრეზიდენტმა იცის, რომ გასაკეთებელი და სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. დემოკრატია უფრო მეტად უნდა განვითარდეს და კანონის უზენაესობა უნდა დამკვიდრდეს.

აუცილებელია თავისუფალი მასმედიის არსებობა.

პრეზიდენტი სააკაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით უკმაყოფილებას გამოთქვამდა და ეს კარგია, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ თავისუფლები ხართ. ჩვენს მასმედიაზე უკმაყოფილო მეც ხშირად ვარ, მაგრამ საზოგადოების წინაშე ამას არ ვაცხადებ.

თქვენი სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან შეხვედრას მოუთმენლად ველი.

ამ ხალხს შევახსენებ, რომ მათ გვერდით ისეთი ჭეშმარიტი დემოკრატიული საზოგადოებაა, რომელიც ეროვნულ უმცირესობებს პატივს სცემს.

საქართველო მრავალფეროვანი და დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანაა, სადაც დემოკრატია აუცილებლად განვითარდება უფრო მეტად.

ჩვენ ნატო-სთან დაკავშირებულ საკითხებზეც ვისაუბრეთ. პრეზიდენტმა ნათლად გამოხატა, რომ საქართველოს ამ ორგანიზაციასთან ინტეგრაცია სურს. ამას ჩვენც მოუთმენლად ველით!

ამერიკასა და საქართველოს ალიანსი ორივე ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენ სტრატეგიული ურთიერთობა გვაქვს.

ჩვენ გვსურს, რომ ქართველმა ხალხმა მიზნებს მიაღწიოს.

მადლობას ვუხდით საქართველოს პრეზიდენტს და ქვეყნის მოსახლეობას იმისათვის, რომ ერაყსა და ავღანეთში ჯარი დანაყოფები გაგზავნა.

შეხვედრისას სხვადასხვა რეგიონული პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის საკითხსაც შევეხეთ.

იმედი მაქვს, რომ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ამ პრობლემის მშვიდობიანად მოგვარებას შევძლებთ.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი დახმარებით, ამ თვალსაზრისით საქართველო მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევს.

მე მოუთმენლად ველოდი ამ ვიზიტს და ახლა, მოუთმენლად ველი თავისუფლების მოედანზე გასვლას.

ეს ჩემი ქვეყნის ერთგვარ სავიზიტო ბარათად წამოვიდგინოთ, რადგან მოედანს თავისუფლების სახელი აქვს.

მინდა კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა საქართველოს და ვუთხრა, რომ თქვენ გყავთ მეგობრები ამერიკაში!



## 2005 წლის 10 მაისი

## კითხვა-პასუხი პარლამენტის შენობაში გამართულ პრეზიდენტთა პრესკონფერენციაზე

**კორ:** - შეკითხვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან მექნება - თუ გქონდათ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან საუბარი საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ? მას შემდეგ რაც თქვენ მოსკოვი დატოვეთ, რუსეთის პრესა აცხადებს, რომ ეს ორ ქვეყანას შორის განსახილველი საკითხია და აშშ არ აპირებს მოითხოვოს სტამბოლის გადაწყვეტილების შესრულება. როგორ ფიქრობთ, ეს მართლაც საშინაო და ორ ქვეყანას შორის გადასაწყვეტი საკითხია, თუ მიგაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში, საერთაშორის თანამეგობრობის ზემოქმედება უფრო ეფექტიანი იქნება?

**ჯ. ბუში:** - შეკითხვა რუსეთის ბაზების გაყვანას შეეხებოდა. ამის შესახებ პრეზიდენტ პუტინთან ვისაუბრეთ. მან იცოდა, რომ მე საქართველოში ჩამოვდიოდი და ვთქვი, რომ მოუთმენლად ველოდებოდი ჩემს მეგობარ, სააკაშვილთან სტუმრობას. დარწმუნებული ვიყავი, რომ სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი აუცილებლად წამოიჭრებოდა. ვიცი რომ არსებობს 1998 წლის სტამბულის შეთანხმება. პრეზიდენტ პუტინთან რუსეთის ბაზებზე საუბრისას, მან მითხრა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, პოზიტიურად არის განწყობილი. პრეზიდენტ პუტინმა თავად შემახსენა სტამბოლის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც რუსეთი იღებს ვალდებულებას, რომ რუსული ბაზები საქართველოს ტერიტორიიდან გარკვეულ ვადებში გაიყვანოს.

**კორ:** - როგორი დამოკიდებულება აქვს ამერიკას ისეთ სეპარატისტულ რეჟიმთან დაკავშირებით, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნისგან გამოყოფა სურს.

**ჯ. ბუში:** - დემოკრატია მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა დამყარდეს, ხოლო რაც შეეხება სეპარატისტულ რეგიონებს, ეს საკითხი გამჭვირვალე მიდგომით უნდა მოგვარდეს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ავტონომიასა და თვითმართველობას, მაგრამ ქვეყნის დანაწევრებას მხარს ვერ დავუჭერთ. ამერიკა ყოველთვის დემოკრატიისა და თავისუფლების მომხრეა. საქართველოს პრეზიდენტთან დგომა ამ საკითხის მიმართ ჩვენი დამოკიდებულების ერთგვარი მესიჯია. ჩვენ შეგვიძლია ყველანაირი დახმარება გავუწიოთ პარტნიორებს, რათა საქართველოს საზოგადოების მომავალი თაობები თავისუფალ ქვეყანაში გაიზარდონ. სააკაშვილი ჩემი პარტნიორია, რომელსაც დემოკრატიის გამარჯვების მტკიცედ სწამს და ამ მხრივ ვაფასებ მის წვლილს! კიდევ ერთი მსურს დავამატო - მე აბსოლიტურად ვუჭერ მხარს ძლიერ თვითმართველობის ინსტიტუტებს, ვიცი თუ რას ნიშნავს ეს და რამდენად სერიოზულია ადამიანებმა საკუთარი იდენტურობა გაითავისონ. რაც შეეხება აფხაზეთს - ეს არ არის დემოკრატია, როდესაც მოსახლეობის ერთი ნაწილი ცალკე ცხოვრებას წყვეტს. ხოლო როდესაც საქმეში იარაღი ერთვება, მშვიდობიან მოლაპარაკებაზე საუბარი შეუძლებელია.

**კორ:** - თქვენ საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების შესახებ და ამერიკის როლის გააქტიურებაზე საუბრობთ. კონკრეტულად, რითი შეიძლება ამ საკითხში ამერიკა საქართველოს დაეხმაროს, რადგან საქართველოს ხელისუფლებას უკვე არჩეული აქვს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზა? კონკრეტულად რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას ამერიკამ? ფიქრობთ თუ არა, რომ ამ კონფლიქტების მთავარი პრობლემა არის მესამე ძალა და ეს ძალა რუსეთია?

**ჯ. ბუში:** - შეკითხვა ეხებოდა იმას, თუ რა სახის დახმარება შეიძლება შევთავაზოთ საქართველოს ამ პრობლემების მოსაგვარებლად. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მთავრობას აბსოლუტურად მისაღები სტრატეგია აქვს და თუ ბატონ პრეზიდენტს ექნება სურვილი კონკრეტული საკითხები ერთად განვიხილოთ, ამისთვის ყოველთვის მზად ვარ. მაინც ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ საქართველოს მთავრობა წყვეტს იმ პრობლემებს, რომლებიც სეპარატისტულ რეგიონებთან არის დაკავშირებული და ჩვენს გადაწყვეტილებებს თავს ვერ მოგახვევთ. ჩვენ ვმუშაობთ ადგილობრვ სახელისუფლებო სტრუქტურებთან, გაეროსთან და შეგვიძლია მაქსიმალურად შეგიწყოთ ხელი პრობლემების მშვიდობიან გადაწყვეტაში. ბატონმა პრეზიდენტმა ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ საქართველო ავტონომიურ სეპარატისტულ რეგიონებს აბსოლუტურად გაფართოებულ უფლებებს პირდება. რაც შეეხება დახმარებას, საქართველოს პრეზიდენტს ყოველთვის შეეძლება დამირეკოს ნებისმიერ პრობლემაზე და მე მას დავეხმარები.

**კორ:** - თუ შეახსენეთ ბატონ პუტინს, რომ რუსეთის საზღვრებთან დემოკრატიული პროცესების განვითარებით, იგი დაინტერესებული უნდა იყოს?

**ჯ. ბუში:** - რამდენიმე დღის წინათ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავის უკანასკნელ გამოსვლაში ამ საკითხებზე ისაუბრა. მისი გამოსვლა კონსტრუქციული იყო და ხაზი გაუსვა დემოკრატიის აუცილებლობას მისი ქვეყნისთვის. დემოკრატია მშვიდობიანი ქვეყნების პრიორიტეტი გახლავთ. როდესაც გაქვთ მშვიდობიანი ქვეყანა და მშვიდობიანი მეზობლები გყავთ - ეს არის ეს რუსეთისთვისაც სასარგებლოა. საქართველო დღესდღეობით დემოკრატიული, მშვიდობიანი ქვეყანაა. პრეზიდენტი აქტიურად მელაპარაკებოდა ეკონომიკურ წინსვლაზე, მრეწველობისა და მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივებზე. ადამიანებმა უნდა შეძლონ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და როდესაც თქვენ ყურადღებას ამაზე ამახვილებთ, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანას მშვიდობიანი მეზობლები ჰყავდეს. ალბათ, რუსეთი აუცილებლად გააცნობიერებს იმას, რომ დემოკრატიული ქვეყნის მეზობლობა უმნიშვნელოვანესია. აქედან გამომდინარე, ყველა ის საკითხი, რომელიც ორ ქვეყანას აწუხებს მშვიდობიანად გადაწყდება. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა მოვახსენო ბატონ პრეზიდენტს მასპინძლობისთვის და იმ მაგალითისთვის, თუ რისი მიღწევა შეიძლება, როდესაც ადამიანებს აზრის გამოხატვა თავისუფლად შეუძლიათ. დემოკრატია თავისუფალ საზოგადოებას ნიშნავს. ჩვენ - პირადად მე და ბატონი პრეზიდენტი ჩვენი შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის მშვიდობიანი სამყაროს, მშვიდობიანი მსოფლიოს შექმნისათვის ვიბრძვით. ძალიან დიდი მადლობა ამისათვის, ბატონო პრეზიდენტო!

# დიდი პრეზიდენტი და აღტაცებული ხალხი

უჩვეულო, ჯერ არნახული და არგაგონილი ხდებოდა თბილისში - ღვთქმულ მიწად დასახული ქვეყნის პრეზიდენტი ჩამოვიდა. მისი ხელის დაქნევის, თბილი მისალმებისა და სიტყვების მოლოდინში თავისუფლების მოედანს დილაადრიანვე მიაწყდა ხალხი.

თითოეული ადამიანის შემოწმებას დიდი დრო მიჰქონდა და რიგი ზოზინით მიიწევდა წინ. ეს კი ქართველებს როდის გვყვარებია. ამიტომაც ჯიქურ გაიწია ხალხმა, ერთმანეთში აითქვიფა დიდი და პატარა. მე, პირადად, ხან ჰაერში მასავსავებინეს ხელ-ფეხი, ხან - ლამის მიწაზე მათრიეს. შემოწმება ვილას ახსოვდა, ერთი დახუვლება და... თავისუფლების მოედანზე აღმოჩნდა ზღვა ხალხი.

პლაკატები იყო ათასნაირი, ბავშვური გულუბრყვილობით ნახატი და ნაწერი. მაგალითად, ერთ მათგანზე ორი გული იყო გამოსახული (ისე, როგორც ცამეტი წლის გოგო გადაატყუპებს ორ გულს, ერთს თავის სახელს რომ წააწერს, მეორეს კი - შეყვარებულისას). აქეთ-იქიდან კი ჯორჯ ბუშისა და მიხეილ სააკაშვილის მოღიმარი სახეები იყო მიხატული.

ორ გოგონას ქართულ-ამერიკულდროშებიანი პლაკატი ეჭირა, რომელზეც "თბილისი-ნიუ-იორკი" ეწერა. ალბათ, ყურს ხშირად ხვდებოდა ნიუ-იორკი, ამიტომაც, როგორც ჩანს, სწორედ ეს ქალაქი ჩათვალეს აშშ-ს დედაქალაქად.

ლაფსუსები სხვებსაც გაეპარათ, თუმცა, სხვა რამ იყო მთავარი - პათოსი.

- ვამაყობ დღევანდელი დღით. მთელმა მსოფლიომ გაიგო, ასეთ პატარა ქვეყანას უდიდესი ქვეყნის პრეზიდენტი ესტუმრა. თანაც, ჩემი შვილი ამერიკაშია წასული სამუშაოდ, ამიტომაც იმ ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტი ჩემთვის განსაკუთრებულად საინტერესოა. შეიძლება, ქართველ ემიგრანტებს რაიმე პრივილეგიაც მიანიჭოს, როცა ნახავს, რა კარგი ხალხია ქართველები და როგორ უყვართ ჯორჯ ბუში, - თქვა ლონისძიებაზე მოსულმა ერთ-ერთმა ქალბატონმა, მედეა მაგრაქველიძემ. საერთო სიხარულს მის გვერდით მდგომი მერი ონიანიც უერთდებოდა - ქართული სტუმართმოყვარეობა უნდა დავანახოთ ბატონ ბუშსო.

მართალია, ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტისთვის თვალის მიდევნება ტელევიზორის საშუალებითაც შეეძლო ყველას, მაგრამ თავისუფლების მოედანზე თაკარა მზის ქვეშ დგომა და ჭყლეტვა არჩიეს. ამ დიდი მოვ-ლენის თანამონაწილენი უნდა ვყოფილიყავითო, - ასე ხსნიდნენ თავიანთ გადაწყვეტილებას.

ძალიან გვიყვარს ჩვენ "დიდი კაცები", ძალიან... იქნებ მეტისმეტადაც კი.

მოედანზე ძალიან ბევრი ბავშვი ჰყავდათ მოყვანილი ჯორჯ ბუშისთვის თვალის მოსაკრავად.

- იცი, ვინ არის ბუში. - ვეკითხები პატარა გიორგის.

- დიდი პრეზიდენტია.



პრეზიდენტების გამოსვლამდე ლოდინი კონცერტს უნდა შეევსო. ხანგრძლივი კონცერტი გამოვიდა - მართალია, ჩვენი ესტრადის ელიტად მიჩნეული ნაწილი გამოვიდა მხოლოდ, მაგრამ ეს ელიტაც მეტისმეტად მრავალრიცხოვანია ჩვენში.

რაკი ხალხის დიდი ნაწილი გაუკონტროლებლად მოხვდა მოედანზე, ღონისძიების ჩაშლის საფრთხე შეიქმნა. მადლობა ღმერთს, პრეზიდენტებს განრიგი არ შეუცვლიათ.

როგორც კი ამერიკის ჰიმნი გაისმა, ხალხს დაღლილობა გადაავიწყდა. მხურვალე ტაში ააყოლეს ჰიმნს. ქართულთან ერთად უამრავი ამერიკული დროშა ირხეოდა.

მიხეილ სააკაშვილისა და ჯორჯ ბუშის სიტყვებმა აღტაცების ტალღად გადაუარა ხალხს (თუმცა, ტექნიკური ხარვეზის გამო, მთელი რვა წუთის განმავლობაში ბატონი მიხეილ სააკაშვილის ხმა მხოლოდ მასთან ახლოს მდგომ ადამიანებს ესმოდათ).

მიხეილ სააკაშვილმა საპატიო ჯილდო გადასცა სტუმარს. ჯორჯ ბუში წმინდა გიორგის ორდენის პირველი კავალერი გახდა.

ისევ აჟღერდა ამერიკის შეერთებული შტატების ჰიმნი, მას კი საქართველოს ჰიმნი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ... რბილად რომ ვთქვათ, კურიოზის მოწმენი გავხდით - რამდენჯერმე განმეორდა ერთი და იგივე აკორდები და ჰიმნიც შეწყდა.

უხერხული მდგომარეობიდან გამოსავლად ცოცხლად სიმღერა იქცა.

თავისუფლების მოედანზე შეკრებილმა ხალხმა, დიდმა თუ პატარამ ხმა ააყოლა ჰიმნს.



# ბუში შთაბეჭდილებებს კონგრესს უზიარებს

"ეს დიდებული ტურნე იყო," - ასე შეაფასა ჯორჯ ბუშმა საკუთარი ევროპული ტურნე, როდესაც ამერიკელ კონგრესმენებს მოსკოვში, ლატვიაში, ნიდერლანდებსა და საქართველოში საკუთარი ვიზიტის შთაბეჭდილებებს უზიარებდა.

ამ საუბრისას ყველაზე საინტერესო დეტალი კი მოსკოვში ჩასვლას ეხებოდა - დასავლეთში გახშირებული კრიტიკის შემდეგ აშშ-ს ლიდერმა ვლადიმირ პუტინი მეგობრად მოიხსენია.

"ფანტასტიკური შეგრძნებაა, იდგე 150 ათასი, თავისუფლების მოყვარული ადამიანის წინაშე," - ასე გაიხსენა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თბილისში ორდღიანი ვიზიტი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკა ყოველთვის ეხმარებოდა და კვლავაც დაეხმარება იმ ქვეყნებს, რომლებსაც ტირანიის საფრთხე დაემუქრებათ.

ლატვიაში ვიზიტი მან ძალზე "შთამბეჭდავ გამოცდილებად" შეაფასა, რადგან შესაძლებლობა მიეცა, თვალი ედევნებინა დემოკრატიის გზაზე ახლად დამდგარი ქვეყნისთვის და ხალხისთვის, რომელსაც თავისუფლება უყვარს.

რაც შეეხება ნიდერლანდებს, აშშ-ს ლიდერმა უდიდესი პატივისცემით მოიხსენია მისი უდიდებულესობა დედოფალი ბეატრისი; ხაზი გაუსვა შესაძლებლობას, მასთან ერთად პატივი მიეგო მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცებისათვის.

ბუშმა გაცილებით მეტი დრო დაუთმო მოსკოვში მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარებას და განაცხადა, რომ გამარჯვების აღსანიშნავ აღლუმზე იგი მეგობრის გვერდით იჯდა.

"მე მახსოვს, პატარაობისას, თუ როგორ ვაკვირდებოდი წითელ მოედანზე მიმდინარე აღლუმს; და აი, მე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ვზივარ წითელ მოედანზე და იმ ხალხის მიმართ ვამჟღავნებ პატივისცემას, რომლებიც დაიღუპნენ ფაშიზმის დამარცხებისათვის ბრძოლაში; და მე მეგობრის გვერდით ვზივარ," - აღნიშნა მან და ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი არ არის შეერთებული შტატების მტერი - ის მეგობარია, რომელთან ერთადაც მშვიდობის დასამყარებლად მუშაობს.



"რასაკვირველია, რიგ საკითხებში განსხვავებული აზრი გვაქვს, მაგრამ ჩვენ ერთიანი აზრი გვაქვს იმის თაობაზე, რომ მშვიდობისათვის ერთად უნდა ვიმუშაოთ," - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

სხვათა შორის, ბუშსა და ვლადიმირ პუტინს შორის ურთიერთობაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის პრეზიდენტების ურთიერდამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, პატივისცემას ეყრდნობა.

ჯორჯ ბუშსა და ვლადიმირ პუტინს შორის უშუალო ურთიერთობებია, - განაცხადა მან აშშ-ს პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტის კომენტირებისას და აღნიშნა, რომ ეს უშუალობა კრიტიკის შემთხვევაშიც არ ქრება. რაისის აზრით, "იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არის სირთულე და მოსაზრებებში განსხვავება, მათ შორის მაინც მეგობრული დამოკიდებულებაა".

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ტელეკომპანია "სი-ენ-ენ"-თან ინტერვიუში ასეთი რამ თქვა: "რაც უნდა დიდი იყოს აზრთა სხვადასხვაობა, რუსეთი უდიდესი ქვეყანაა, უდიდესი კულტურის მქონე და ბოლო 15 წლის განმავლობაში მას გიგანტური პროგრესი ჰქონდა".

კონდოლიზა რაისმა თავი ვალდებულად ჩათვალა, ხაზგასმით აღენიშნა, რომ მოსკოვში ვიზიტი აუცილებელი იყო, რათა ენახათ, "თუ რამდენად შორს წავიდა ეს სახელმწიფო".

თუმცა, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ტელეინტერვიუს გაცილებით "ემოციური" ნაწილი საქართველოში ვიზიტის შთაბეჭდილებების მოყოლას მიეძღვნა. "შესანიშნავი ტურნე იყო," - ასე იწყებს ქალბატონი რაისი ამერიკელი მაყურებლისთვის შთაბეჭდილებების გაზიარებას. მისი თქმით, ეს იყო მოგზაურობა, რომლის დროსაც პრეზიდენტს საშუალება მიეცა, ახალგაზრდა დემოკრატები მოენახულებინა. "ჩემთვის, როგორც სოვეტოლოგისთვის, საოცარი იყო იმ ადგილების მონახულება, რომელიც სულ რაღაც ორი ათწლეულის წინ "რკინის"ფარდის" მიღმა იმყოფებოდა. ლატვიის შემთხვევაში, რომელიც ახლა ევროკავშირისა და ნატო-ს წევრია, სადაც დემოკრატია ცოცხლად იგრძნობა; და საქართველოში... მოედანზე დგომა 150 ათასი ქართველის წინაშე, რომელიც შენი პრეზიდენტის სახელს გაიძახის და ამერიკის დროშებს აფრიალებს. უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო, ჟრუანტელმაც კი ამიტანა, როდესაც მათ ამერიკის ეროვნული ჰიმნის სიმღერა დაიწყეს ქართული აქცენტით - საოცრად ამაღელვებელი იყო იქ ყოფნა," - აი, ასეთი ემოციით სავსე მოუთხრობდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი გადაცემის წამყვანს თავის შთაბეჭდილებებს.

ლარი კინგმა სახელმწიფო მდივანს "ხელყუმბარის ისტორიაზეც" სთხოვა კომენტარის გაკეთება, რაზეც ქალბატონი რაისის პასუხი საკმაოდ მშვიდი იყო - "ამის შესახებ მოგვიანებით შევიტყვეთ. ცხადია, გამოძიება მიმდინარეობს. ვფიქრობ, საქართველოს უშიშროების სამსახური ჩვენს უწყებებთან ერთად იმუშავებს იმის გასაგებად, თუ რა მოხდა. მაგრამ ეს შემთხვევა ვერანაირად შეცვლის იმას, რაც იქ ხდებოდა; და მინდა გითხრათ, რომ ძალიან ამაღელვებელი იყო მოედანზე ყოფნა."

ნინო გომართელი

## მამული
## ასავალ დასავალი
### ერთობლივი პროექტი

გაზეთ „მამულსა" და საქართველოში გამომავალ პოპულარულ გაზეთ „ასავალ-დასავალის" რედაქციებს შორის მოხდა ურთიერთთანამშრომლობის ერთობლივი კომუნიკეს ხელმოწერა.

ამ კომუნიკეს შესახებ დაწვრილებით ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში მოგითხრობთ, მანამდე კი გაეცანით ერთობლივი პროექტის ფარგლებში მომზადებულ მასალას.

# უნდა აკეთო ის, რაც იცი, რასაც გრძნობ და რისიც გჯერა...

**აპრილის** დასაწყისში ამ უმშვენიერეს პერიოდში, როდესაც კვირტები ფეთქდება და არე-მარე საოცარ ხიბლს, ხალისსა და ოპტიმიზმს უნერგავს ყველაზე გამოუსწორებელ პესიმისტსაც კი, გაზაფხულის უშრეტი ენერგიით დამუხტული, თითქოს ბუნების ამ საოცარი ცვალებადობის კვალდაკვალ ფეხაწყობილი- ბროდვეიზე (Cantor Film Center) რამოდენიმე დღის განმავლობაში სტუდენტური ფილმების ფესტივალი მიმდინარეობდა, სადაც თავის საკურსო (სადიპლომო) ნამუშევრებს აცნობდნენ კინომოყვარულებს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სუტენტები, მათ შორის ერთი ქართველიც - ლევან კოლუაშვილი!

ფესტივალი ორ ტურად მიმდინარეობდა. პირველივე ტურში ლევანის ფილმმა „ვალი" სამი პრიზი მოიპოვა - საუკეთესო სამსახიობო ანსამბლისათვის, საუკეთესო სცენარისთვის და პროდიუსერისთვის, და ფილმი ფინალში გავიდა, ხოლო ფინალში (სადაც 55 ფილმი დარჩა) მეორე ადგილი მოიპოვა. შემდგომი ეტაპი კი იქნება გაემგზავრება ჰოლივუდში, ჩვენება ლოს-ანჟელესის სარეჟისორო წრეებში, შეხვედრები ჰოლივუდის ინდუსტრიის წარმომადგენლობასთან. ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ეს ფესტივალი საკმაოდ პრესტიჟული და საყურადღებოა. აქ სადიპლომო ნამუშევრებს ძალიან სერიოზულად უყურებენ. შედარებისთვის ავღნიშნავ, რომ პირველ ადგილზე გასული 25 წუთიან მხატვრული ფილმის ბიუჯეტი 100 000§ გახლდათ, ლევანის ფილმის ბიუჯეტი კი 1500§ შეადგენდა. ფესტივალი პრესტიჟულია იმდენად, რამდენადაც თითქმის ყველა ცნობილი ამერიკელი რეჟისორი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ამ სკოლის აღზრდილია.

ფილმი „ვალი", რომელიც ლევანმა წარადგინა, ქართველთა ყოფას ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებში. მთავარი პერსონაჟები (ნიკო აბაზაძე, ვახო კიზირია) კუთვნილ თანხას ითხოვენ ამერიკელისგან (მარკ სტოუნი), რომელმაც არ გადაუხადა შესრულებული სამუშაოს გასამრჯელო, სისტემატიურად ატყუებს მათ და ბოლოს ცუდად ხდება მანქანაში. გულშეწუხებულ ამერიკელს ნიკო ჯიბიდან ამოუღებს ფულს, ამის შემხედვარე ვახო აღშფოთდება და უკან ჩადებას ითხოვს. ნიკო ეწინააღმდეგება, ჩვენ საკუთარ თანხას ვიღებ, სხვისას ხომ არაო?... ბევრი რომ არ გავაგრძელო, თანხას ისევ ჩაუდებს ჯიბეში, მაგრამ საქმე ხომ იმ ფენომენს ეხება ამერიკაში „ბირჟაზე" დგომა რომ ჰქვია, მამაკაცთა იმ უმძიმეს შრომას, რომელიც მათგან უკიდურეს ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს. ეს არის დრამა, რომელიც სამწუხაროდ ძალიან გასაგებია ყოველი ჩვენთაგანისთვის.

**- ლევან როგორ გაჩნდა ამ ფილმის შექმნის იდეა?**

- უნივერსიტეტში სწავლა მავალებს რომ ყოველწლიურად 10 წუთიანი საკურსო მხატვრული ფილმი გადავიღო. რამოდენიმე იდეა მქონდა რაზედაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო ფილმი. ერთ-ერთი სწორედ ბირჟას ეხებოდა. პირველ კურსზე ყოფნის დროს გავაკეთე დოკუმენტური ფილმი. მაშინ გამოკვლევას ვატარებდი ქართველ ემიგრაციაზე და ამ თემით დავინტერესდი. ერთ მშვენიერ დღეს „ბირჟაზე" აღმოვჩნდი შემთხვევით. ვიზუალურად საინტერესო ადგილია. ზამთარში, სიცივეში დგას ეს ხალხი ქუჩაში, გაუპარსავი სახეებით დრამა დავინახე, ტკივილი, რომელიც არის ამ ადგილას. დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ როგორი ისტორიის მოყოლა შეიძლებოდა. შემდგომში ეს ყველაფერი მოვუყევი ჩემს მასწავლებელს, არაჩვეულებრივი პედაგოგს ბორის ფრუმინს, წარმოშობით რუსს, ამერიკაში. მან მომიწონა არჩევანი და მეც დავიწყე ბირჟაზე სიარული, ვცდილობდი გამეგო რა დინამიკაა, ისტორიებს ვგებულობდი რა ხდებოდა და ასე შემდეგ...

**- მახსოვს თქვენი განცხადება გაზეთში, საინტერესო ისტორიების მქონე ქართველები დაგვიკავშირდითო...**

- არა ეს სხვა თემას ეხებოდა, ქართული ემიგრაციის პრობლემების კვლევას,მაგრამ პრინციპში ახლოს იყო განცხადება ჩემს იდეასთან ამ ფილმთან დაკავშირებით. ვეძებდი ხალხს, რომელიც მეტყოდა და დამიხატავდა იმ სიძნელეებს, რაც მათ გადახდენიათ თავს; ამერიკული ისტორიები რომ გავაკეთო, არ იქნება ასეთი ბუნებრივი. არ იქნება ის დრამა რაც არის ჩემს ქართულ ისტორიებში. კინოში ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამერიკული ოჯახის ისტორია კარგად არ ვიცი და ამიტომ არ ვიქნები მართალი და არ გამოვა კარგი. აქ შანსი მაინც მაქვს და იქ მგონი საერთოდ არ მექნება. მე მჯერა იმისი რომ უნდა აკეთო ის, რაც იცი, რასაც გრძნობ და რისიც გჯერა, რაც შენია. რასაც აკეთებ არ უნდა იყოს ჩაკეტილი მარტო შენს ნაჭუჭში. ისეთი ისტორია უნდა შექმნა, რომ ყველასთვის გასაგები იყოს. შილერს ჰქონდა ასეთი განმარტება ხელოვნებისა: „ნაციონალური აყვანილი ზოგადსაკაცობრიომდე," ჩემთვის ეს ყველაზე გასაგებია, -ესაა ხელოვნების უნივერსალური ფორმულა.

**- პერსონაჟები როგორ შეარჩიეთ?**

- ფილმი მოვარგე ორ ჩემს მეგობარს. რაღაცა მოგონილია, რაღაც მართალი და ვეცადე პერსონაჟების ხასიათში ჩამესვა ფილმის გმირების საქციელი.

**- როგორც ხედავთ სამსახიობო ანსამბლი შესანისნავი აღმოჩნდა, პრიზიც დაიმსახურეთ. ფილმში ყველა არაპროფესიონალი მსახიობია?**

- მხოლოდ ორი ამერიკელია პროფესიონალი. ამერიკაში ქართველი პროფესიონალი მსახიობი მგონი არც არის. ძალიან მომწონს არაპროფესიონალებთან მუშაობა, გაამართლა კიდევ იმაში, რომ თავისი მიდგომა აქვთ, კმაყოფილი დავრჩი, შესანიშნავად ითამაშეს.

**- რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული გადაღების პროცესი?**

- სიძნელეები ბევრი იყო. ზამთარში, სიცივეში ვიღებდით ამ ფილმს. მეგობრებს და იმ ხალხს ვინც გადაღებაზე მოდიოდა ჩემი გულისთვის სამსახური უნდა გაეცდინა. მოგეხსენებათ ეს დიდ უხერხულობაში გაგდებს ადამიანს აქ, ამერიკაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან დამიდგნენ გვერდში და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ეთამაშათ და განესახიერებინათ ის, რაც მინდოდა. გადაღება მიმდინარეობდა კონი აილენდზე და დაემთხვა ის ცივი ზამთარი, რომელიც ბოლო 50 წლის მანილზე არ ყოფილა ამერიკის ისტორიაში, ხომ წარმოგიდგენიათ რამდენი სირთულე იქნებოდა?

**- როგორ ფიქრობთ რამ განაპირობა ფილმის წარმატება, მაშინ, როცა კონკურენტებმა საკმაოდ კარგად დაფინანსებული ფილმები წარადგინეს?**

- ალბათ განსხვავებული იყო, ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ დოკუმენტურ ფილმს ჰგავდა. დავრწმუნდი იმაშიც, რომ თურმე მარტო ფულზე და თანხაში არაა საქმე. მთავარია მოახერხო შენი სათქმელის და ტკივილის გადმოცემა, იყოს იდეა და გამოხატო სათქმელი ბოლომდე.. ასე რომ, ფილმის გამარჯვება სამსახიობო ანსამბლის ერთობამ, დრამამ, ნეო-რეალიზმმა, საერთოდ ყველა ამ ფაქტის ერთობლიობამ განაპირობა.

**- ვინ გეხმარებოდათ ფინანსურად ამ ფილმის გადაღების დროს და საერთოდ როგორ მოხვდით ამერიკაში?**

- ამერიკაში 2002 წელს ჩამოვედი. საქართველოდან რომ არ დამხმარებოდნენ, ვერაფერს ხდებოდი. ნიუ-იორკის უნივერსიტეტი ძალიან ძვირი სკოლაა - წელიწადში 35 ათასი დოლარი ჯდება. საქართველოდან ყოველ წელიწადს მეხმარებოდნენ: ბადრი პატარკაციშვილის ფონდი, ლევან გაჩეჩილაძე, დავით გამყრელიძე, მამუკა ხაზარაძე, ანტონ ინგოროყვა... ფაქტიურად ჩემი სწავლის საქმე მათ აიღეს საკუთარ თავზე, მეც ვეცადე თავი არ შემერცხვინა და მეორე წელს უნივერსიტეტმა დამინიშნა სტიპენდია, მეორე-მესამე კურსზე უნივერსიტეტის ხარჯზე

**- ლევან, თქვენ ტელეკომპანიასთვის „მზე" რამოდენიმე ფილმი გაქვთ გადაღებული...**

- ჩემი აქ ყოფნის მესამე წელს ტელეკომპანია 'მზის" სპეციალური კორესპონდენტი ვიყავი ამერიკის შეერთებულ შტატებში, 'მზე" მიხდიდა ხელფასს და აქედან ვაგზავნიდი სიუჟეტებს. შემდეგ დაიწყო საინტერესო პროექტი. ელდარ მდინარაძე არის პროდიუსერი, რომელმაც დოკუმენტური ფილმების აღდგენის მიმართულება შემოიღო საქართველოში. 'მზემ" დააფინანსა მთელი სერია გახმაურებული დოკუმენტიური ფილმებისა, რომლების გადაღებული იქნა ლაზეთში, საინგილოში. მეც შევთავაზე მსგავსი დოკუმენტური ფილმის მასალა და გადავიღე ქართველთა მიერ ეკლესიის შექმნის თაობაზე. მინდა ავღნიშნო ერთი ფაქტი, რომ მიუხედავად საქართველოს ტელევიზიის განვითარებისა, ყველაფერი მაინც რატომღაც საინფორმაციო გადაცემებისკენ მიდის, რაც ჩემი აზრით არაა სწორი. ინფორმაცია ხომ ზედაპირულია და მარტო ამ მხრივ განვითარება არაფერს ნიშნავს. საქართველოს ტელევიზიაში ყოველთვის იყო ჩავარდნა სერიოზული ჟანრების. არ არის საინტერესო გადაცემები, ტელეფილმი, რომელმაც უნდა დამაფიქროს, მითხრას, გამაგებინოს. ხომ არ შეიძლება დღე და ღამე ფანტასტიკა, ინფორმაცია, უაზრობა...ეს აღარ არსებობდა საქართველოში და 'მზემ" აღადგინა. მეც მივიღე მონაცილეობა. პირველი ფილმი გაკეთდა 'სახლი," რომელიც, როგორც უკვე მოგახსენეთ ეხება ემიგრაციის და ეკლესიის შექმნას ამერიკაში და საერთოდ ქართველ ემიგრანტთა პრობლემას.

მეორე ფილმი ახლახანს დავამთავრე, ვაშინგტონის თეატრზე გახლავთ, რომელსაც ხელმძღვნელობენ პაატა და ირინა წიქურიშვილები. ფილმი ფაქტიურად პაატას მონოლოგი და მათი ისტორიაა-თავის თავზე, შემოქმედებაზე, ამერიკაში ყოფნაზე, მუშაობაზე, გაჭირვებაზე, სიხარულზე, ტკივილზე და ა.შ.

**- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

- ჩემს თავს უფრო საქართველოში ვხედავ. აქ შეზღუდული ვარ თემებში. დიდი-დიდი ერთი- ორი ისტორია გავაკეთო. რა ემოციის გადმოცემაც მსურს, მხოლოდ საქართველოში ვხედავ, მაგრამ კინოს მხრივ იქ საშინელი მდგომარეობაა. ჯგუფების, პროდუსერების, ფინანსების გაერთიანება რომ მოხდეს, ჩამოყალიბდეს რაღაც ერთობლივი გაერთიანება - შესანიშნავი იქნებოდა. სამომავლოდ იდეაში მაქვს დოკუმენტური ფილმი ქართველ ქალებზე, რომლებიც აქ მუშაობენ მომვლელებად. ჩემი აზრით ეს გმირობაა, ესაა ქართველი ქალის საოცარი ისტორიაა, საქართველოს რეალური ავტოპორტრეტიც. არ ვიცი გამომივა თუ არა, მაგრამ იდეაში მაქვს, ჩემი აზრით ეს არაჩვეულებრივი ფილმის მასალაა.

*ლევანის ცხოვრებაში, რაღა თქმა უნდა ამერიკამდეც იყო წარმატებები. დამთავრებული აქვს რუსეთის კინო ინსტიტუტი. მისი საკურსო-სადიპლომო ფილმი რამოდენიმე კინოფესტივალზე იყო წარდგენილი და გამარჯვებული. საქართველოში ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი აქვს გადაღებული. „მეფე ლირი" მთავარი პრიზის მფლობელი გახდა პოლონეთში სოპოტის სტუდენტურ კინოფესტივალზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის საკურსო ნამუშევრებიდან, რომელსაც ყოველ წელიწადს იღებდა, დოკუმენტურმა ფილმმა „მამა და შვილი" საფრანგეთში საპატიო სიგელი დაიმსახურა. ეს წარმატება კი მნიშვნელოვანი გახლდათ იმდენად, რამდენადაც სტუდენტურ დიაპაზონს გასცდა. დღესდღეობით, ლევანი დაახლოებით შვიდამდე მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ავტორია. ამას გარდა სამი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმიც აქვს გადარებული.*

თამარ მეტრეველი



# გიხაროდენ! დღეს თქვენს ოჯახში წმიდა ნინოს უძველესი და ერთადერთი ხატი შემობრძანდება!!!



გაიოზ კერატიშვილი – კაცი, რომელმაც შთამომავლობას წმიდა ნინოს ხატი გადაურჩინა

**დიდება უფალს, რომელმაც შემაძლებინა, დღეს, 21-ე საუკუნეში, დასაბამითგან ქვეყნისა 7609 წელს, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან 1679 წლის შემდეგ, გაზეთების „მამულისა“ და „ასავალ-დასავალის“ ერთობლივი პროექტის ფურცლებზე წარმოგიდგინოთ უნიკალური, დღემდე საიდუმლოდ შთენილი ხატი, რომელზედაც აღბეჭდილია მარად ცოცხალი ნეტარი დედა, ქართველთა განმანათლებელი, ქალწული და მოციქულთა სწორი წმიდა ნინო!**

ფასდაუდებელ და მრავალმხრივ საყურადღებო ხატს, რომელიც ათასობით მართლმორწმუნის ოჯახში დაიკავებს ღირსეულ ადგილს, თან ერთვის ვრცელი წერილი მისი ისტორიის, ვაზის ჯვრის მისტერიის, ნინოწმინდის უძველესი კათედრალისა და გიორგი ლეონიძის შესანიშნავი ლექსის „ნინოწმინდის ღამის“ შესახებ, რომლის შთაგონების წყაროც სწორედ ხსენებული ხატი გახდა.

**წმიდა ნინოს ხატის ორიგინალი, რომელიც სამუდამოდ გაქრა 27 წლის წინათ, 1978 წელს, საქართველოს საპატრიარქოში გაჩენილი ხანძრის შედეგად, ჩვენამდე მოაბრძანა ყოფილმა მიტროპოლიტმა, მდაბალმა გაიოზმა (ერისკაცობაში ბიძინა კერატიშვილმა), მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორმა 1972-1978 წლებში და 1972-1977 წლების საეკლესიო კალენდრების რედაქტორ-შემდგენელმა. ეს ის მიტროპოლიტი გაიოზი გახლავთ, რომელსაც შევარდნაძის სატანისტურმა მანქანებმა** ნაყოფიერი და რეჟიმისათვის ეგზომ საშიში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის უმკაცრესი ვერდიქტი გამოუტანა და, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაწირა საქართველოს სიწმინდეებზე დამაშვრალი ერისკაცი.

და აი, 11 წლის მანძილზე დოლესტნის შრომა-გასწორების კოლონიაგამოვლილი მიტროპოლიტი, **რომელსაც სამშობლოში დაბრუნებულს საკუთარი ბინაც კი გაყიდული დახვდა (რომ აღარაფერი ვთქვათ მის უმდიდრეს ბიბლიოთეკაზე)**, მდუმარედ, ქრისტესმიერი მოთმინებით იტანდა და იტანს მსტოვართა თუ მწიგნობარ-ფარისეველთა შეკვეთილ ჯღაბნილებს ქართული პრესის ფურცლებზე. სხვათაშორის, გაჭირვების ჟამს გვემულ მიტროპოლიტს უფლის მადლი და უფლის შეწევნით ამოთქმული პოეტური სტრიქონები ედგა გვერდში - აკი, გაგვანდო კიდევაც ოცდაშვიდწლოვანი ტკივილი თავის ბრწყინვალე ლექსში „პოეტის ბედი“, რომლის შემოკლებულ ვარიანტსაც აქვე გთავაზობთ:

სად არ ვიყავ, სად არა,
და სად აღარ ვიარე,
ბლომად შემასმევინეს
ბალღამი და სიავე,
როცა ცოცხლად დამმარხეს,
მტერს რომ გულით მივენდე,
შენღა მყავდი სიცოცხლის
მხსნელი და მოიმედე.
როგორც შენა გშვენოდა,
როგორც გეკადრებოდა,
ისე ვერ გეხმიანე,
სიტყვა მეკარგებოდა, —
მტერი ვერ მოვიცილე,
ხილული თუ მალული,
ყველაფერი წარმტაცეს
სახლი, კარი, მამული...
დამიობლეს მუზა და
ლექსი — ცრემლით ნამული,
ერთი, რაც ვერ წამართვეს-
შენდამი სიყვარული.
როცა აღარ ვიქნები
და მარადჟამს გავქრები,
შენს თვალებში სიკეთის
სხივად გამოვნათდები.
ათასი წლის შემდეგაც
შენით დავიქადნები,
მოვალ, მოგეფერები,
შენთვის დავიხარჯები...
ჩემს ბედსა და იღბალზე
არვის არ ვედავები,
ვიცი, გულში ჩამიკრავ,
როცა მოგებარები!

ლექსში ამოთქმულ სევდასთან ერთად **გაიოზ კერატიშვილმა რედაქციაში გვაახლა წმიდა ნინოს უძვირფასესი ხატის ასლი, რომელიც, რომ არა მის მიერ გამოცემული 1974-1975 წლების საეკლესიო კალენდარი, სამუდამოდ გაქრებოდა ქართველთა ხილვიდან და ცნობიერებიდან.**

და აი, დგება ჟამი, როდესაც **უმორჩილესად გვინდა, ვთხოვოთ საქართველოს საპატრიარქოს,** გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება თითოეული მართლმადიდებლისათვის ეგზომ ძვირფას შენაძენზე და თავისი ლოცვა-კურთხევა არ მოაკლოს იმ ხატმწერს, რომელიც ფოტოილუსტრაციაზე დაყრდნობით წმიდა ნინოს ახალ ფერწერულ ხატებს შექმნის; აქვე საგანგებოდ გვინდა, მივმართოთ **ქართველ არქეოლოგებს,** განაახლონ ფართომასშტაბიანი კვლევები ნინოწმინდის მონასტრის ეზოში, რომლის ერთი პატარა მონაკვეთის გათხრა და შესწავლა ჯერ კიდევ 1966 წელს პოეტმა გიორგი ლეონიძემ ოფიციალურად გაიოზ კერატიშვილს დაავალა. **წინასწარი მონაცემებით, სწორედ ამ უწმინდეს სავანეში დამარხულ არს ქართველთათვის ფრიად საგულისხმო ისტორიული საგანძური, რომელიც ბევრ საიდუმლოს ახდის ფარდას**; გვაქვს პატრიოტ ქართველ ბიზნესმენთა უზომო იმედიც!

**ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდესი გამარჯვება იქნება,** თუ ნეტარი დედის, მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს ხატი ღირსეულ ადგილს დაიკავებს ახლად გახსნილ სამების ტაძარში, აგრეთვე წმიდა ნინოს სახელზე აგებულ თითოეულ ეკლესიაში და ყველა იმ ღვთის სახლში, სადაც **ლიტანიით მისული უამრავი ჩვენი მართლმორწმუნე თანამემამულე აღავლენს ლოცვას ქართველთა განმანათლებლის წმინდა სახებასთან.**

ვბეჭდავთ რა პირველ ფერად ილუსტრაციას, უდიდეს **მადლობას ვუხდით ყოფილ მიტროპოლიტს, მდაბალ გაიოზს** ხატის რეპროდუქციის **ჩვენამდე მობრძანებისათვის.** აქვე გთავაზობთ მის უაღრესად საყურადღებო გამოკვლევას, რომელსაც ქართველი და არამართო ქართველი საზოგადოება, ვფიქრობთ, გაასმაგებული ინტერესით გაეცნობა.

**ვაზის ჯვარის, როგორც ფენომენის ზესაიდუმლო კვანძი გახსნილია, სახეზეა მოვლენა, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია მსოფლიოში.**

**მაშ, შეგვეწიოს მადლი მოციქულთა სწორი წმიდა ნინოსი და ძლიერება მისი ხელით შექმნილი ჯვარი ვაზისა!**

**ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!**

**ამინ!**

**ლაშა ნადარეიშვილი**

## ყოფილი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი)

# ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო, მისი უძველესი ქართული ხატება და ვაზის ჯვრის მისტერია

*ბედნიერია ერი, რომელსაც ჰყავს ისეთი განმანათლებელი, როგორიც წმიდა ნინოა. სრულიად დამსახურებულად და სამართლიანად ქართველი ერის ცხოვრებაში მას ქრისტეს მოციქულთა სწორის და ქართველთა ნეტარი დედის სახელი დაუმკვიდრდა სამარადისოდ.*

მის შესახებ ცნობებს გვაწვდის **„ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაი ქართლისაი“** (IX) და სხვა წყაროები, რომლებშიც იგი ტყვე ქალად იხსენიება. ქართლში შემოსვლამდე წმიდა ნინოს ცხოვრების ზოგიერთ **ხიფათით** სავსე მომენტს და სიტყვა **„ტყვე“** სულხან-საბასეულ განმარტებას თუ დავეყრდნობით, ამ შემთხვევაში სიკვდილს გადარჩენილი და ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში (ქართლში) ან უცხო ქვეყნიდან ლტოლვილი და მარტოდ მოსული წმიდა ნინოს ტყვექალობა ახსნადი და გასაგები ხდება. მაგრამ აქ შეიძლება „ტყვე“ გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარებოდეს, ისევე, როგორც „მონა“, როგორც უფლის „ტყვე“, ანუ მის გზაზე შემდგარი, მისი მონა-მორჩილი და უფლის ბრძანების შემსრულებელი.

ნინო განმანათლებლის **წარმოშობით ქართველობა** - რასაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის მკვლევართა შრომებში გაესვა ხაზი - დღეისათვის გამყარებული მოსაზრებაა. კაბადოკია, საიდანაც ნინო იყო წარმოშობით, არა მარტო ქართველური მოდგმის ხალხებით იყო დასახლებული, ამასთანავე, ნინოს დროისათვის აქ ძლიერი ქრისტიანული ცენტრი არსებულა საეპისკოპოსოს სახით, რომელიც მისიონერულ მოღვაწეობას ახორციელებდა ახლომდებარე ქვეყნებსა და პროვინციებში. მეცნიერთა ერთი ნაწილის მტკიცებით, ნინოს შემოსვლა ქართლში ამ საეპისკოპოსოს მისიონერულ საქმიანობას უკავშირდება, რომელიც განსაკუთრებულად უნდა გააქტიურებულიყო მას შემდეგ, რაც რომის იმპერია ქრისტიანთა მიმართ გარკვეულ შეღავათებსა და დათმობებზე წავიდა (311 წ.). აღნიშნულ პერიოდში დიდ სამისიონერო მოღვაწეობას ეწეოდა ასევე ანტიოქიის ეკლესია, რომლის სამისიონერო არე სპარსეთს, სომხეთს, ქართლს და სხვა მრავალ ქვეყანას მოიცავდა. რაც შეეხება იერუსალიმის საყდარს, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, ამ დროისათვის მისი როლი უმნიშვნელო იყო და იგი მხოლოდ V საუკუნის დამდეგიდან იქნა ცნობილი რომის, ალექსანდრიის და ანტიოქიის მსგავსად სამოციქულო ეკლესიადო. კ. კეკელიძის აზრით, ქართული ეკლესია იერუსალიმური კი არა, კაბადოკიური წარმოშობის იყო. არსებობს ასევე მოსაზრება, რომ ნინოს ბიძა არა იერუსალიმის, არამედ კაბადოკიის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო და, შესაბამისად, აქ უნდა მიეღო მას ცნობები მცხეთისა და კვართის შესახებ. მაგრამ იმ დროის ქრისტიანულ ეკლესიათა შორის იესო ქრისტეს სახელთან დაკავშირებულ იერუსალიმის განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობა და, როგორც უფლის ძმის - იაკობის საყდარი, გვაფიქრებინებს, რომ ეკლესიათა რიგში ეს საეპისკოპოსო ყოველთვის ინარჩუნებდა თავის გავლენასა და ავტორიტეტს. ნინოს მიმართება იერუსალიმთან და მის სამყაროსთან - როგორც ქრისტიანის და ღრმად მორწმუნე პირის - თავისთავად გასაგებია. **ამ კონტექსტში იერუსალიმის ეკლესიის, როგორც ქრისტიანული სულიერების ცენტრის, მნიშვნელობა და მონაწილეობა ქართლის საეპისკოპოსოს ჩამოყალიბების პროცესში, ჩვენი აზრით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ვინაიდან მცხეთის მეორე იერუსალიმად სახელდება,** რა პერიოდსაც არ უნდა მოიცავდეს იგი, ამ ღრმა და ხანგრძლივი სულიერი კავშირის დადასტურებაა. ამასთან ერთად ქართლში ებრაელთა მოსვლის და მათი ნაწილის მცხეთაში დამკვიდრების ისტორიული ფაქტი ის მტკიცე არგუმენტია, რაც მცხეთელ ებრაელებს, კვართს, ქართლის გაქრისტიანებას, იერუსალიმს და **სვეტიცხოველს** და მის სასწაულს ერთმანეთთან აკავშირებს და აერთიანებს...



როგორც წყაროები მიგვითითებენ, რომის იმპერიის პოლიტიკური ფაქტორი ქართლში მიმდინარე პროცესების მიმართ განმსაზღვრელი და გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა.

წმიდა ნინოს შემოსვლა ქართლში 313 წლის შემდგომ წლებში უნდა მომხდარიყო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, რომის იმპერატორმა კონსტა-

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

# ყოფილი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი)

# ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო,

დასაწყისი მე-9 გვერდზე



**ტბა ფარავანზე მაცხოვრის გამოცხადება წმიდა ნინოსთან**

ნტინე დიდმა ამ წელს გამოსცა მილანის ედიქტი, რაც ქრისტიანთა დევნის შეწყვეტას და მათ მფარველობას გულისხმობდა. ასევე, ამავე წელს მოხდა მის მიერ ზეცად ჯვრის ხილვაც, რაც სახარებასთან ერთად ჯვრით ქადაგების დასაწყისს მოასწავებდა როგორც იმპერიის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მე-4 საუკუნის რეალობაში ამ ორი მოვლენის შემდეგ ხდება შესაძლებელი ქრისტიანობის ლეგალიზებული გავრცელება სხვა ქვეყნებში და, მათ შორის, სომხეთსა და საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართული წყაროების მინიშნებითაც, ნინო „ჯვრისა და ჯვარცმულის" მქადაგებლადაა მოვლენილი ქართლში და რომ ქრისტიანებს მაშინ „მოსავნი ჯვარისანი" ეწოდებოდათ.

ნიშანდობლივია ისიც, რომ წმიდა ნინოს მცხეთაში მოსვლამ და აქ ქრისტიანობის ქადაგებამ სრულიად **ლოიალური** დამოკიდებულება პოვა მაშინდელი სამეფო კარისაგან, რაც ქრისტიანობის მფარველ რომის იმპერიასა და ქართლის სამეფოს შორის მყარი ურთიერთობების დადასტურებად უნდა ჩაითვალოს. უფრო მეტიც, წყაროებიდან ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 298 წლიდან ნიზიბიაში დადებული ხელშეკრულებით რომის მეტოქე სპარსეთმა სომხეთიცა და ქართლიც რომის გავლენის სფეროდ აღიარა. ეს გავლენა, რა თქმა უნდა, იმავე სპარსეთის მხრიდან მრავალ წინააღმდეგობას აწყდებოდა, მაგრამ იგი დღითიდღე იზრდებოდა და ძლიერდებოდა, რაც ქართლის სამეფოში **იესო ქრისტეს კვართის მაძიებელ წმიდა ნინოს** მოსვლით და მისი ქადაგებითა და სასწაულებით ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებით დაგვირგვინდა.

ქალაქი **მცხეთა**, სადაც „**მეფენი მეფობენ და ღმერთები ღმერთობენ**", ნინოს მისიის მთავარ გეოგრაფიულ და სულიერ ცენტრს წარმოადგენს. იგი ერთდროულად მაცხოვრის კვართის შემნახავი და უძველესი სატახტო ქალაქია. თავად სახელწოდება **მცხეთა**, ჩვენი დაკვირვებით, უკავშირდება არა მესხებს, არამედ **მის მთავარ პოლიტიკურ ფუნქციას**, როგორც სატახტო ადგილს. ვინაიდან, ტოპონიმიდან მ-**ცხე**-თა, **მ** და **თა** აფიქსებია, ხოლო **ცხე** ფუძეა, რომელიც უძველეს ქართულში **ცხე**-დარს, ანუ **დასაჯდომს, ტახტს** ნიშნავდა და რამაც მერე შეიძინა ჯერ საწოლის და ბოლოს მიცვალებულის მნიშვნელობა (შდრ. **ცხე**-ნი, დასაჯდომი ცხოველი). მცხეთის, როგორც სატახტოს მნიშვნელობითაა წარმოებული ასევე სა-**მცხ**-ე და აფხაზეთის **ცხ**-უმი...

ქართლში და კერძოდ მცხეთაში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების თარიღზე მკვლევარებში აზრთა სხვადასხვაობაა და იგი 314-337 წლებს შორის მერყეობს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართლის მოქცევის თარიღზე, რაზედაც მდიდარი სამეცნიერ**ო ლიტერატურაა დაგროვილი, 20-მდე განსხვავებული ვერსია არსებობ**ს განსხვავებული მტკიცებულებებითა და არგუმენტაციით. როგორც აკადემიკოსი კ. კეკელიძე წერდა, „რამდენადაც საინტერესოა ეს საკითხი, იმდენად ბურუსითაა ის მოცული. თუმცა ბევრი უწერიათ და ულაპარაკიათ ამ თემაზე, მაგრამ საკითხი ჯერაც ღიად არის დარჩენილი და მის შესახებ ჩვენ დღეს იმაზე მეტი არ ვიცით, რაც ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა იცოდნენ".

ქართლის მოქცევის თარიღად ბატონი კ. კეკელიძე, განსხვავებით ივანე ჯავახიშვილისაგან %337 წ.), კიდევ უფრო გვიან პერიოდს - **355-356 წლებს ასახელებს.** როგორც ცნობილია, მეცნიერი ათვლის წერტილად და მეფე მირიანის მოქცევის ფაქტორად წყაროში დასახელებულ მზის დაბნელებასა და ასტრონომთა ბოლო დროის მონაცემებს ასახელებდა. მაგრამ ისტორიული წყაროს მონათხრობის ანაქრონიზმი იმაშია, რომ მზის დაბნელება, როგორც ასტრონომიული მოვლენა, ყველა დროსა და ეპოქაში ცნობილ მოვლენას წარმოადგენდა ადამიანებისათვის და ძნელი დასაჯერებელია, ქართლის მეფე მირიანი იმდენად გაუცნობიერებელი ყოფილიყო ასეთი მოვლენის მიმართ, რომ იგი ღვთის რისხვად აღექვა და ამის მიზეზით მიეღო ქრისტიანობა. **ამ უხერხულობას**, ეტყობა, კარგად გრძნობს მ. საბინინი და განმარტავს, რომ საეკლესიო ვერსიით და ძველ მატიანეთა გადმოცემით, მოხდა არა მზის დაბნელება, **არამედ თვალთ დაბნელება - დაბრმავებაო მირიანისა,** რაც სარწმუნო ვერსიაა იმ მხრივ, რომ აქ **სამოციქულოში აღწერილ პავლე მოციქულის თვალთდაბრმავების ანალოგიურ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე, რასაც გაკვრით მემატიანეც მიანიშნებს, ხოლო თხოთის მთა, სადაც მირიანის შინაგანი გარდაქმნა და ცვლილება მოხდა, სახარებისეული თაბორის მთის ანალოგიაა, სადაც ფერი იცვალა იესო ქრისტემ.** ამგვარი პარალელები და აქცენტები ახლად გაქრისტიანებული ერის ჰაგიოგრაფიული მწერლობისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, რაც იძლევა იმის დამატებით საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ნამდვილად არსებობდა „**ნინოს ცხოვრების**" სხვა - უძველესი რედაქცია, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ ნაწილობრივ აისახა ამ რედაქციის მონაცემები ჩვენამდე მოღწეულ „ნინოს ცხოვრების" ვარიანტებში, ოღონდ ზოგ შემთხვევაში სახეშეცვლილი ან ჰიპერბოლიზებული დეტალებით.

ამასთან ერთად, ნინოს საკითხზე მსჯელობისას თავს იჩენს ისეთი სპეციფიკური საკითხი, როგორიცაა **მისი კანონიზაცია ქართლის და სხვა ქვეყნის ეკლესიების მიერ.** ბუნებრივია, ნინო გარდაცვალებისთანავე წმინდანად და განმანათლებლად იქნა აღიარებული ქართლში, ხოლო მისი მოციქულთა დასში აღრიცხვა უნდა მომხდარიყო ვახტანგ გორგასალის მიერ ქართლის ეკლესიის თვითმწყობის, ანუ **ავტოკეფალიის მოპოვებისთანავე**, რაც, ჩვენი აზრით, გახდა საფუძველი ნინოწმინდის საეპისკოპოსოს დაარსებისა, ვინაიდან, მკვლევართა მტკიცებით, აქ **ნინოს საფლავი** არსებობდა, რომელიც შემდეგ იქნა გადასვენებული ბოდბეში. ნინოს კანონიზაციას, რამაც ორი საფეხური გაიარა, ჯერ მე-4 და მერე მე-5 საუკუნეში, შესაბამისად, უნდა მოჰყოლოდა ასევე სხვა ეკლესიათა მხრიდან ანალოგიური ღონისძიებანი - საეკლესიო კალენდარში მისი ხსენების შეტანისა და წმიდათა მოსახსენებელში მისი, როგორც მოციქულთა სწორის ჩარიცხვის თაობაზე. ეს ასეც მომხდარა, ვინაიდან ამ პერიოდის (IV-V ს.ს.) უცხოელ ისტორიკოსთა ინტერესი ქართლის გაქრისტიანებაზე, როგორც ჩანს, ახლად კანონიზირებულ ნინოს პიროვნებასაც უკავშირდება და ამ კონტექსტშია გადმოცემული მთლიანად ეს მოვლენა მათ ისტორიულ თხზულებებში. ამ ფაქტს იმდენად აქვს არსებითი მნიშვნელობა, რამდენადაც ნინოს კანონიზაცია არის არა გვიანი პერიოდის მოვლენა, არამედ IV-V საუკუნეების ქართლის ეკლესიის რეალობა. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქართული ეკლესიის სრულყოფილ ავტოკეფალიას V საუკუნიდან კიდევ რამდენიმე საუკუნე დასჭირდა და ეს პროცესი ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლამ, რაშიც თვითონ ქართული ეკლესია იყო აქტიურად ჩართული, მნიშვნელოვნად დააჩქარა.

ქართლის მოქცევა, რაზედაც, როგორც აღვნიშნეთ, აზრთა სხვადასხვაობაა დღევანდლამდე, ჩვენი აზრით, არ შეიძლება 330 წელს გადმოსცდენოდა, ვინაიდან 330 წელს იმპერატორ კონსტანტინეს მიერ სამეფო რეზიდენციის გადმოტანა ბალკანეთის ბოსფორზე ახალშენ ბიზანტიონში, რასაც კონსტანტინოპოლი ეწოდა (დღევანდელი სტამბული), მოასწავებდა რომის იმპერიის მძლავრ პოლიტიკურ და რელიგიურ გავლენას ზოგადად აღმოსავლეთში და, კერძოდ, სომხეთსა და საქართველოში. ასევე, ქალაქ **ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრება**, რომელიც ამავე იმპერატორის ინიციატივით 325 წელს ჩატარდა და რომელსაც ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე ესწრებოდა (ეთნიკურად, ალბათ, ბერძენი), **არ ნიშნავს საეპისკოპოსო ერთეულის არარსებობას ქართლში**, ვინაიდან ქართლი თუ მოსახლეობის მხრივ, ძირითადად, ერთ ეთნიკურ სივრცეს წარმოადგენდა, ბიჭვინთა ბერძენთა და ქართველთა შერეული საეპისკოპოსო იყო, რომლის მწყემსს ამ ნიშნის მიხედვით მსოფლიო კრებაზე წარმომადგენლობის **მეტი რწმუნება ეძლეოდა**. ამასთან, თუ ვიფიქრებთ, რომ ქართლის საეპისკოპოსო ახლად ფორმირებული ორგანიზაციული სტრუქტურა იყო ამ დროისათვის, ქართლის მოქცევის თარიღი **325 წელი** - რასაც მკვლევართა ერთი ნაწილი ეთანხმება - მისაღებ თარიღად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, უფრო დაწვრილებით ხსენებული საკითხის განხილვის უფლებას მკითხველის წინაშე სხვა დროისათვის ვიტოვებ.

წმიდა ნინოზე უძველესი დროიდანვე მრავალი ხოტბა და საგალობელი დაიწერა, რომელთაგან ერთ-ერთი უძველესი, რომელიც ჯერ კიდევ ვახტანგ VI-მ 1710 წელს დასტამბულ „ჟამნში" გამოაქვეყნა, ასე იკითხება: „**უნათლისმცემლე ცხოვართა განბნეულთა, ვითარცა მწყემსმან კეთილმან შეჰკრიბე და მიჰგვარე ქართველნი ღმერთსა მართალსა, დედაო წმიდაო ნინო, ევედრე შვილთა შენთათვის ქრისტესა ღმერთსა**". საინტერესოა ასევე წმიდა ნინოს მეორე, განსხვავებული ტროპარი, რომელიც დღევანდელ ღვთისმსახურებაში იკითხება და იგი ასე ჟღერს: „**სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის**". მაგრამ ნინოს სადიდებელ-საგალობელთაგან ჩვენ გამოვყოფდით კათალიკოს-პატრიარქ ნიკოლოზის მიერ (1150-1178) შედგენილ **სვეტიცხოვლის „დაუჯდომელს"** და სხვა ავტორის - **წმიდა ნინოს „დაუჯდომელს"**, რომელთა ტექსტები 1977 წლის საეკლესიო კალენდარში გამოვაქვეყნეთ. აი, როგორ მიმართავს ნიკოლოზ კათალიკოსი წმიდა ნინოს: „**ჰოი ნეტარო დედაო ნინო, მოციქულთა საქადულო და დედათა დიდებაო**"...

მკითხველს აქვე ვთავაზობთ ღრმა სულიერებით განმსჭვალულ ადგილებს მისი „**დაუჯდომელიდან**", რომლის კითხვა ნინოწმინდის უძველეს კათედრალში ნინოს ხსენებისა და ყოველი კვირის **ხუთშაბათ დღეს** შეუცვალებელ წესად იყო დამკვიდრებული. „**ყვავილსა შესხმათსა შევთხზავთ შენდამი, ქალწულებისა ყვავილო ნინო!**"... „**გიხაროდენ**, ქართველთა დედათა მწუხარებისა ცრემლთა დამშრეტელო"... „**გიხაროდენ**, რომელმან ვარსკვლავთა და მნათობთა უზენაესი ნათელი მომფინე ჩვენ"... „**გიხაროდენ**, წყაროდ მანკტარეო ჩვენდამი ზეციერისა სარწმუნოებისო... **გიხაროდენ,** დაუბერებელო ხიდო წმიდაო, რომლითა წიაღ ვჴდებით მონებისაგან ბნელისა, მონებად ღვთისადმი ცხოველისა"... „**გიხაროდენ**, საღმრთო ტარიგო და მწყემსო, რომლისად მოვისწრაფით პირმეტყველნი კრავნი; **გიხაროდენ,** მრავალ ხმოვანო საგალობელო ქნარო, რომლითა მარად გვისტუმრებ ცხოვართა სიტყვიერთა საძოვარსა მცნებასა მთასა ზედა მთათასა"... „**გიხაროდენ** მიურულებელო თვალო მარად მხედველო, დაუდუმებელად მქადაგებელო საღმრთოო ბაგეო"... „**გიხაროდენ** ცისკარო ბრწყინვალეო წინამსრბოლობით მაუწყებელო ჩვენდა დედისა მის დაუალისა მზისაო"... „**გიხაროდენ**, ხეო ფრიად მშვენიერო, რომელი გამოიღებ მარადის უკვდავებისა ნაყოფსა. **გიხაროდენ**, ნერგო ღვთივქმნილო ფურცლოვანო, რომლისა საგრილსა შემოვკრბებით ქრისტესნი"... „**გიხაროდენ**, რომლისა შესხმად მოსწრაფენი, სიტყვა ხელოვანნი ბრძენნი უხმოდ გამოჩნდებიან შენდამი"... „**გიხაროდენ**, რომელმან ზეციერთა მონადირეთა საღმრთო იგი ბადე აღავსე მოციქულებრითა შრომითა შენითა"... **გიხაროდენ**, საღმრთო ზეციერო ნავო, რომელი წიაღიყვან ქვეყანასა ლოცვათაგან შენდამი შევედრებულთა; **გიხაროდენ,** ნავთსაყუდელო ლიმენავ, შემწყნარებელო სულით ვნებულთა შენდამი მილტოლვილთაო"... „**გიხაროდენ**, შენ საღმრთოო ქალწულებისა ლამპარო, ქალწულთათვის, ნინო, აღნთებულად წინამავალო"... „**გიხაროდენ,** ქართლოსიანთა ქრისტეს მორწმუნეთა მეფეთა ძლევისა გვირგვინითა ყვავილოვან მყოფელო"... და მრავალი სხვა.

ნინო მთელი ქრისტიანული სამყაროს მნათობია, რომლის მოციქულებრივი ღვაწლი საუკუნოდ აღირაცხა ქართველი ერის და მსოფლიო ქრისტიანულ ისტორიაში.

ძველ ქართულ ტექსტებსა და წყაროებში ყოველთვის ხაზი ესმის მის, როგორც „**მოციქულთა მოდასის**" მოციქულებრივ ღვაწლსა და დამსახურებას და იხსენიება როგორც „**ახალი მეანდრიე**" ან „**ქართველთა მეანდრიე**", „**მეოხი და მეორე ემბაზი**", „**ღვთის დედის მოციქული**", „**ტინთა მაგართა ცვილად ღვთისად მიმნთები**" და სხვა მრავალი. ყურადსაღებია შემდეგი გარემოება, რაზეც ჯერ არ გამახვილებულა ყურადღება სპეციალურ ლიტერატურაში: **როგორც ცნობილია, წმიდა ნინოს ხსენება ქრისტეს ნათლისღების ციკლში ნათლისღების დღესასწაულის წარგზავნის ბოლო დღეს - ძველით 14 იანვარს დააწესა ქართულმა ეკლესიამ.** ხსენების ეს წესი, რომელიც უძველესი დროიდან იღებს სათავეს, ხაზგასმით მიანიშნებს ქრისტეს ნათლისღებისა და ქართველთა გაქრისტიანება-ნათლისღების **უდიდეს ისტორიულ და მისტიკურ ერთობაზე.** ასევე ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ წმინდანის სახელი **ნინო** საუკუნეების განმავლობაში არა როგორც საკუთარი სახელი, არამედ განმანათლებლის სიმბოლოდ, განმანათლებლის **ზოგად სახელად** იყო ქცეული ქართული სინამდვილისათვის და ეს ტრადიცია, როგორც ჩანს, IV-IX საუკუნეების ერის მეხსიერებაში ღრმად ფესვგამდგარი იყო. ამაზე მიგვანიშნებს X საუკუნის იოანე ზოსიმეს „**ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი**", რომლის ტექსტში, - რომელიც, როგორც ვარაუდობენ, შეიძლება ადრეულ საუკუნეებს ეკუთვნოდეს, - ნინო განმანათლებლის **ზოგადი** სახელით იხსენიება, როგორც „**ახალი ნინო**", სადაც ძველ განმანათლებლად ქვეტექსტით - „**ძველი ნინო**", ანუ ძველი განმანათლებელი - **ანდრია** მოციქული, იგივე ანდრია პირველწოდებული იგულისხმება.

საბჭოთა პერიოდის ფილოლოგიურ და ისტორიულ კვლევებსა თუ სახელმძღვანელოებში გავრცელებული აზრი, რომ წმიდა ნინოს შესახებ ისტორიული წყაროების ცნობები ლეგენდას ემყარება, ეს მართლაცდა საბჭოური იდეოლოგიის ლეგენდა, თავად წმიდა ნინოს ჯვრის სათანადო შესწავლა-განხილვით უარიყოფა. საქმე იმაშია, რომ ამ ჭეშმარიტად ლეგენდარულმა განმანათლებელმა **ქართლში არა მარტო ახალი რელიგია, არამედ თავისი სასწაულებით ახალი სარიტუალო ცოდნა შემოიტანა და დაამკვიდრა**. სასწაულთა ეს ნიჭი და უნარი, რასაც მხოლოდ უდიდესი წმინდანები აღწევდნენ, მკვეთრადაა დამახასიათებელი IV-VI საუკუნეების ქართული ასკეტური სინამდვილისათვის... **სვეტიცხოვლის უდიდესი სასწაულის გამგრძელებლად** ქართლს მალე მოევლინენ ისეთი დიდი სასწაულმოქმედნი, როგორებიც იყვნენ **ასურელი მამები**, რომლებმაც სამონასტრო ცხოვრებას და მისტიკური ხედვის სწავლებას ჩაუყარეს საფუძველი ქართლში. ამავე პერიოდს განეკუთვნება ქართული სინამდვილისათვის უცნაური და დღემდე აუხსნელი **ქართული პალიმფსესტები, ანუ ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები, რომელთაც, ჩვენი აზრით, სარიტუალო დანიშნულება ჰქონდათ და მოიცავდა ადამიანის სულისა და განწმედის შესახებ მაშინ არსებულ ცოდნასა და მისტიკურ წარმოდგენას.** არაბულმა დამწერლობამ არა-



**ჯვარი ვაზისა. დაცულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში**

# მისი უძველესი ქართული ხატება და ვაზის ჯვრის მისტერია

ბული ანბანის მზისა და მთვარის ბგერებად დაყოფის უძველესი წარმოდგენა შემოინახა. ქართულ ანბანში და, საერთოდ, ყველა სხვა ანბანში ბგერათა დაყოფის ეს უძველესი წესი არ არსებობს, მაგრამ იგი ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების სახით ნაწილობრივ არეკლილია, რაც წინაქრისტიანული, უძველესი ეგვიპტური მისტერიებიდან იღებდა სათავეს და ქრისტიანულ ასკეტიზმში სულის განწმედის დამატებითი გზად, ანუ ხელოვნურ საშუალებად გამოიყენებოდა. მაგალითად, ძველი ეგვიპტელები თავიანთ მისტერიებში შინაგანი ეფექტის და, სახელდობრ, განწმედის ინიცირებას სიტყვებში ბგერა **„ხ“**-ს ხელოვნური და ხშირი ჩართვებით ახდენდნენ. განწმედა ერთ-ერთი აქტუალური, ტევადი, ვრცელი და ხშირად დავის საგანიც კი იყო ყველა ძველ თუ ახალ რელიგიაში. მის შესახებ მრავალი საყურადღებო ცნობაა დაცული **„სახარებაში“** იოანე ნათლისმცემლის, როგორც პიროვნებისა და ასკეტის, და, საერთოდ, ნათლისღების (განწმედის) საკითხთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით წმიდა ნინოს და ასურელ მამათა ცხოვრება და მოღვაწეობა ზღვა მასალას იძლევა აღნიშნულ საკითხში ჩასაღრმავებლად. როგორც ვიცით, ღირსი შიო მღვიმეში ჩავიდა, იოანე - ზედაზნის მთის თავზე, ხოლო დავით გარეჯელი კლდის გამოქვაბულში დამკვიდრდა. ეს იყო მათი განწმედის, სულიერი ზეაღსვლის ერთმანეთისაგან განსხვავებული ე. წ. დამატებითი „ფიზიკური“ ფაქტორი, მათ მიერ შერჩეულ ადგილებში ბუნებაში სრული სულიერი გახსნის გზა და მასთან ინდივიდუალური და მაქსიმალური ჰარმონია - შინაგან ფენომენურ შესაძლებლობათა გამოვლენის მიზნით. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თავად **წმიდა ნინოს** მცხეთაში მოსვლისთანავე მისი დამკვიდრება **მაყვლოვანში**, („ტალავარი მაყალთა“), სადაც, მემატიანეს ცნობით, სამი წელი ლოცვასა და მარხვაში გაატარა. აქვე არ შეიძლება პარალელი არ გავავლოთ ძველი აღთქმის **„გამოსვლათა“** იმ ადგილზე (3,1-6), სადაც მოსემ, როდესაც იგი ცხვრებს მწყემსავდა, **„მაყვლის ბუჩქში“ იხილა ღმერთი და ესაუბრა მას.** ნინოს „ცხოვრებისა“ და „გამოსვლათა“ ამ ად-გილის პარალელი იმდენად ხილულია, რომ ამის უარყოფა არ შეიძლება.

აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ღრმად მორწმუნე ქრისტიანთა გარემოცვაში აღზრდილი და იერუსალიმის პატრიარქის დისშვილი წმიდა ნინო არა მარტო ღვთისმეტყველია, ღრმად განსწავლული ბუნებისმეტყველიცაა და ამას თავისი მოციქულებრივი მოღვაწეობის მნიშვნელოვან მომენტებში მრავალმხრივად ავლენს. ის უარს ამბობს დიდებულთა მიპატიჟებაზე და ცხოვრებას ცის ქვეშ, **მაყვლოვანში იწყებს... მცხეთის მაყვლოვანი ნინოს სულიერი განსაწმედელია, ბუნების მიერ „აგებული“ მისი პირველი „ტაძარია“, სადაც მოღვაწეობს და სასწაულებს ახდენს**. ნანა დედოფალი, რომელიც დასნეულებული იყო და მიმართავს ნინოს, რათა მივიდეს მასთან და განკურნოს, ნინო არ თანხმდება და აიძულებს პირდაპირ დედოფალს, რათა **მაყვლოვანში** მიიყვანონ და იქ დადგნენ უფლის სასწაულის წინაშე... არ შეიძლება არ გავიხსენოთ იმ ხის ისტორიაც, რომლისაგანაც ნინომ სასწაულმოქმედი ჯვრები შეაქმნევინა და მცხეთის მიდამოებში აღამართვინა. აი, რას წერს მემატიანე იმ ხის შესახებ: „ხოლო ადგილსა ერთსა კლდესა ზედა ჰსდგა ხე ერთი ფრიად შვენიერი და საკვირველებითა რითამე მოუთხრობელითა სულნელი, და **იქმნებოდა ხესა მას ზედა საქმე საკვირველი,** რამეთუ ისარცემული ნადირი, რომელიცა უკვე მივიდის და ჰსჭამდის ხისა მისგან ფურცელი გინათუ თესლი ჩამოცვინებული **მყის განერის სიკვდილისაგან** და დალაცათუ ფრიად სასიკვდინესა ადგილსა წყლულ იყვის“...

არაგვის პირას, მთის თავზე ნინოს მიერ აღმართული ერთ-ერთი ასეთი და **სასწაულმოქმედი ჯვრის ადგილზე,** როგორც ვიცით, მალე აღმართავენ **ჯვრის ტაძარს,** რომლის საკურთხევლის წინ აღმართული ამავე სასწაულმოქმედი ჯვრისკენ უამრავი მლოცველი მიედინება და რომელიც მცხეთის ჯვრის მონასტრის სახელითაა ცნობილი. გადაურჩა რა ისტორიულ ქარტეხილებს, უძველესი ქართული კულტურისა და ძველი საეკლესიო დიდების ეს ჩაუქრობელი ლამპარი დღესაც ამაყად გადმოსცქერის მთის სიმაღლიდან მთელ ცივილიზებულ კაცობრიობას. ტაძრის სახელწოდება **„ჯვარი“** და მისი როგორც (გ. ჩუბინაშვილით) **„ჯვრის ტიპის ტაძრის“** არქიტექტურული გადაწყვეტა, რაშიც უმთავრესი ქრისტიანული ელემენტი - ჯვარი - საფუძველშივე იქნა შეტანილი, რასაც ღრმად რელიგიური დატვირთვა ჰქონდა, - დასტური და მტკიცებულებაა იმისა, რომ ქრისტიანულ სარიტუალო პრაქტიკაში და, კერძოდ, მის უძველეს კალენდარში ჯვართთაყვანისცემის, **ჯვართაღმართვის და ჯვართამაღლების ტრადიცია,** რასაც რომის იმპერატორის კონსტანტინე დიდის საეკლესიო რეფორმების შედეგად დაედო საფუძველი - ღრმად გამჯდარია ქართულ სინამდვილეში. იერუსალიმის ქართველთა **ჯვრის მონასტერიც**, რომლის აგება აღნიშნულ პერიოდს ემთხვევა, ასევე **ჯვრის სახელზეა საფუძველჩაყრილი. ხოლო წმიდა ნინოს ჯვარი ვაზისა, რომელიც ჩვენი ინტერესის მთავარი საგანია, IV საუკუნის ქრისტიანული მსოფლიოს ჯვართან დაკავშირებული მისტიკური თუ გამოყენებითი ცოდნის სიმბოლოსა და გვირგვინს წარმოადგენს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წმიდა ნინოს ჯვარი ვაზისა, როგორც მატერიალურად არსებული ფენომენი, რომლის ანალოგი მსოფლიოს არ მოეპოვება, მხოლოდ IV საუკუნის ქართლის და იმჟამად მიმდინარე პროცესების კონტექსტში იწერება. მისი შემოქმედი და შემომტანი წმიდა ნინოა, და თავად ჯვარი ვაზისა, ვითარცა ნივთიერი მტკიცება, ამ წმინდანის - როგორც ისტორიული პიროვნებისა და მისტიკოს-განმანათლებელის არსებობის ერთ-ერთი უტყუარი დადასტურება.** შეიძლება ითქვას, ნინოს ვაზის ჯვარი ის სასწაულმოქმედი კარია, რომლის საშუალებითაც უკან, საუკუნეების სიღრმეში გადავდივართ.

წმიდა ნინოს **ვაზის ჯვრის მისტერია, ანუ საიდუმლო**, უპირველეს ყოვლისა, ვაზის, როგორც მცენარეული კულტურის იმ თავისებურებებში მდგომარეობს, რაც მას ბუნების ერთ-ერთ შედევრად წარმოაჩენს. ვაზი, უპირველეს ყოვლისა, წმიდა მცენარეა, რომელიც სამკაულად და სამშვენისად გამოიყენება ქრისტიანულ ხელოვნებაში და, კერძოდ, არქიტექტურაში. მასში სიცოცხლის უდიდესი ძალა და ენერგიაა მოცემული, აქვს უფაქიზესი მგრძნობელობა და **ველი**, რაც მას ყველა სხვა მცენარისაგან გამოარჩევს. იგი იმ იშვიათ მცენარეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც უფესვოდ, ნასხლევის სახით ირგვება და ისე მრავლდება, ხოლო უძველეს დროში გარკვეული წესების დაცვით მიწის სიღრმეში წყლის მიგნება-მოძიება ვაზის ნასხლევის საშუალებით ხდებოდა. წყლის პოვნის ეს მეთოდი ძალზე გავრცელებული იყო უძველეს ხალხებში და მათ შორის - საქართველოში. თანამედროვე მეცნიერება სწავლობს ამ იშვიათ ფენომენს, მაგრამ ეფექტის მექანიზმის დადგენა ვერ ხერხდება...

ჩვენი დაკვირვებით, ზოგადად **ჯვრის ფენომენი**, რაც ვერტიკალისა და ჰორიზონტალურის გადაკვეთაში გამოიხატება, არის პირველი და ყველაზე მარტივი ფიზიკური მდგომარეობა (ჯვარედინი გადაკვეთა), რაშიც



**ნინოწმინდის ტაძრის ნანგრევები. საკურთხევლის აღმოსავლეთი ნაწილი. (V-XVIII საუკუნეები)**



**წმიდა ნინოსთან ღვთისმშობლის გამოცხადება და გადაცემა «ჯვარი ვაზისა»**

ღვთის ძალა, ანუ ღვთის ძლიერება ვლინდება. ქრისტიანული ჯვრის ეს ფენომენი, რომელსაც **ცხოველმყოფელი** ეწოდება ძველ ქართულ ტექსტებში, კოსმოსის სინამდვილეში გაზაფხულზე მთვარის ძველ ფაზაში ყოფნისას **ვლინდება**, როცა უძველესი ხალხების და, მათ შორის, ქართველების რწმენით, **სიცოცხლის ძალაა მოზღვავებული** და ხეხილის გასხვლა და დარგვა შეიძლება. მუსლიმანთა მთავარი სიმბოლო (ნახევარმთვარე, ძველ ფაზაში) და ქრისტიანული ჯვრის ქვეშ მთვარის ნახევარსფეროს გამოსახვის ტრადიცია, რასაც ტაძართა გუმბათებზე არც თუ იშვიათად ვხვდებით, ამ ფენომენს უნდა უკავშირდებოდეს. ნიკეის 325 წლის მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებით, **„დღესასწაულთა დღესასწაული“** - აღდგომა, მხოლოდ გაზაფხულის მთვარის შევსების შემდგომ პირველსავე კვირას უნდა იდღესასწაულებოდეს. ამ დადგენილებაში მთელი სიღრმით და სიზუსტითაა ასახული კოსმოსური ველის (ჯვრის ფენომენის) ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რასაც **სიცოცხლე და აღდგომა** შემოაქვს ხილულ სამყაროში. **ჯვრის ფენომენი, რასაც კოსმოსის ფენომენი შეიძლება ვუწოდოთ**, ასახულია ძველ ებრაელთა სიმბოლოში - ექვსქიმიანი ვარსკვლავის სახით, რაც ორი სამკუთხედის კომბინაციაა და, ჩვენი აზრით, გარკვეულ პერიოდში კოსმოსში მზე, დედამიწა მთვარის **სამკუთხოვან განლაგებას უკავშირდება**, სადაც მთვარის ორსახოვნება *(შდრ. მთვარის შესახებ პლატონის ნააზრევს და სხვა უძველეს წარმოდგენებს)* მისი ძველი და ახალი ფაზების სახით ამ სამკუთხედის ორი ვარიანტის საფუძველს წარმოადგენს. ქრისტიანულ იკონოგრაფიულ სიმბოლიკაში სამკუთხედის ეს უძველესი ტრადიცია დადასტურებულია და იგი **წმიდა სამების** იკონოგრაფიულ გამოსახვას უკავშირდება, რომლის შუაგულში ყოვლისმხილველი თვალია ჩახატული.

კოსმოსური ფაქტორის წარმოჩენამ ამ და მსგავს სხვა საკითხებზე მორწმუნე მკითხველი არ უნდა დააბნიოს. მსოფლიოს მრავალი ძველი და ახალი რელიგია თავისი „ვიზუალური მხარის“ წარმოჩენაში მეტწილად კოსმოსურ სინამდვილეზე იყო ორიენტირებული. ხოლო ამ შემთხვევაში ქრისტიანული ეკლესია ამ გზით უფრო მისაწვდომს და აღსაქმელს ხდიდა ადამიანებისათვის **უხილავი ღმერთის სიღრმეს, სიბრძნეს და სიდიადეს...** უკვე ვთქვით, რომ **აღდგომა** საეკლესიო კალენდარში მთვარის კალენდრის პრინციპებზეა ორიენტირებული. ხოლო აღდგომიდან სულთმოფენობამდე - ეს მთელი სააღდგომო და ასტრონომიული ციკლი, რომელიც 50 დღეს (ანუ ერგასს) გრძელდება - ასევე კოსმოსურ ფაქტორებთანაა დაკავშირებული და მთელი ამ ხნის განმავლობაში მუხლმოდრეკა და მიწაზე დაჩოქება არ შეიძლება. როგორც საეკლესიო ისტორიკოსები გადმოგვცემენ, იესო ქრისტეს შობის დღე ძველად 6 იანვარს ნათლისღებასთან ერთად იდღესასწაულებოდა, მაგრამ იმ დროის სწავლულთა გამოკვლევების თანახმად შობა 25 დეკემბერს მოხდა და იოანე ოქროპირმა 6 იანვრიდან ამ დღეს გადმოიტანა ეს დღესასწაული, „სწორედ იმ დღეს, როდესაც მზე და დედამიწა იწყებენ ერთმანეთთან დაახლოებას, მზე მეტ სინათლესა და სითბოს უგზავნის დედამიწას, დღის სიგრძე მატულობს, ღამისა კლებულობს და ქვეყანას ეფინება სიცოცხლე და სიხარული“. ამიტომაც შობის ტროპარში ქრისტეს „მზე სიმართლისა“ და „ნათელი მეცნიერებისა“ ეწოდა, რაც ასეა დღევანდლამდე და ასე იქნება მუდამ. ამდენად, ჯვარი ის ფიზიკური „წერტილი“, ანუ მდგომარეობაა რეალობაში, რაც სივრცის „გაღებას“, „გახსნას“ ახდენს და მეტაფიზიკური სივრციდან ღვთის ძალა მუდმივად შემოაქვს. ეს ძალა უძველესი ტექსტების მინიატურებსა და სხვა გამოსახულებებში **სიცოცხლის ძალად მოიაზრება**, რომლის დადასტურება უნდა იყოს ადრეული ხანის, როგორც ქართულ, ასევე სომხურ არქიტექტურაში ფართოდ გავრცელებული დეკორის - **აყვავებული ჯვრის კომპოზიცია, რასაც ცოცხალი ჯვრის მნიშვნელობა ენიჭებოდა. ნინოს ჯვრის მისტერია, როგორც მაცოცხლებელი ჯვრის არსებობა, რომელიც ავადმყოფებს კურნავს, აღნიშნულ კონტექსტში გარკვეულ ახსნას ექვემდებარება.** ხოლო თუ ღრმად გავადევნებთ თვალს, ძველი აღთქმისეული აარონის ღვთაებრივი ძალის მქონე კვერთხი, რომელიც გველად გადაიქცა და ძველი საეკლესიო გამოთქმით - **განედლდა** (იხ. გამოსვლათა, 7), ახალ აღთქმისეულ ეპოქაში ეს ღვთაებრივი ძალა ცხოველმყოფელ და მაცოცხლებელ, განედლებულ ჯვარში და იგივე წმიდა ნინოს ვაზის ჯვარში - მკურნალის, მფარველის, მხსნელის და ძლევის სასწაულად ვლინდება. **ქართულ სინამდვილეში დადასტურებული განედლებული და მაცოცხლებელი ჯვარი, როგორც მოვლენა და როგორც ფენომენი, შეიძლება ითქვას - ნინოს ვაზის ჯვრიდან იღებს სათავეს.** ქრისტიანულ სიმბოლიკაში აარონის განედლებული კვერთხი შემორჩენილი და ნაჩვენებია ეპისკოპოსის მანდილიან კვერთხზე, რომლის თავზე ორ გველს შუა ყოვლთვის ჯვარია გამოსახული.

საინტერესოა ასევე ტერმინების **„ვენახისა“** და **„ვაზის“** ეტიმოლოგია. ჩვენი დაკვირვებით, ვენა-ხი იგივეა, რაც ხეივანი, ოღონდ ფუძეთა გადანაცვლებას აქვს ადგილი და არქაულ ფორმად **„ვენახი“** უნდა ვიგულისხმოთ, სადაც **„ვენა“**, ეს იგივეა რაც ძველ ქართულში **„ვანი“**, ანუ საჩრდილობელი (დასასვენებელი), ხოლო ამ შემთხვევაში ხშირფოთლოვანი ან ფოთლებით დაბურული „ხი“, ანუ „ხე“ - „ვაზი“ (შდრ. მტევანი, სადაც „მტე“ - ძველი ქართულის მტილს, ბაღს უკავშირდება). საინტერესოა, ამ ტერმინის ეტიმოლოგიური მნიშვნელობის მეორე ვარიანტიც: ვე-ნახი, სადაც **ვე** (შდრ. ქ-**ვე**-ყანა) სიდაბლის, (მიწის) მანიშნებელია, ხოლო **ნახი** (შდრ. კარდა-**ნახი**) სახილველის (ადგილის) ამ შემთხვევაში გაშენებულის და დედამიწიდან დაბალზე, ჭიგოზე ან სარზე გაშენებული ვენახის აღმნიშვნელი, განსხვავებით მაღნარი, მაღლა წასული ვაზისაგან, რასაც ხეივანი ეწოდება. ხოლო „ვა-ზი“ მიწაში ჩასმულს, ჩაყრილს, ჩარჭმულს (ამაზე „ზი“ მიანიშნებს), ანუ ჩანერგილს უნდა მიანიშნებდეს. საინტერესო დაკვირვებას იძლევა მ. საბინინი, რომელიც მეფის სამოთხეს მცხეთაში, რაც ტრადიციულად ბაღსა და ყვავილნარს გულისხმობს, განმარტავს როგორც ვენახს (საქართველოს სამოთხე. გვ. 74)... გარეკახურ მეტყველებაში დღემდე შემორჩენილია ღვინის სახელწოდების უძველესი ფორმა **„ნუნუა“**, რაც წარმართულ ღვთაებათა პანთეონიდან ერთ-ერთი ღვთაების სახელთან და ვაზის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამაზე აქ ვერ გავვრცელდებით, მაგრამ ვაზსა და ვენახთან შემდგომი პერიოდის უძველესი ქრისტიანული ჰიმნები და საგალობლები მრავლადაა დაკავშირებული.

გავიხსენოთ დემეტრე მეფის **„შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული“,** რომელიც ღვთისმშობელს მიუძღვნა და მრავალი სხვა. იოანე ოქროპირის ლიტურგიაში ქვეყნიერება იმ ვენახად მოიაზრება, რომელსაც „დაასხა მარჯვენამან“ ღვთისამან. მაგრამ ვენახის მისტიკური აღქმა და არა როგორც ალეგორია,

***გაგრძელება მე-12 გვერდზე***

ყოფილი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი)

# ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო, მისი უძველესი ქართული ხატება და ვაზის ჯვრის მისტერია

დასაწყისი მე-9 გვერდზე

თავად მაცხოვრიდან, **იესო ქრისტედან** მოდის, როცა თავისთავზე ამბობს: **„მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამაი ჩემი მოქმედი არს“** (იოანე. 15.1). ხოლო მას შემდეგ, რაც იესო ქრისტემ კანას გალილეიისას **წყალი ღვინოდ შეცვალა,** თავისი ჯვარცმის წინ - საიდუმლო სერობაზე შეკრებილ თავის მოციქულებთან - **უდიდეს ლიტურგიულ მისტერიას დაუდო სათავე, როცა პური მის ხორცად, ხოლო ღვინო მის სისხლად გამოაცხადა,** რომელთა მიღებით ადამიანები ცოდვებისაგან განიწმინდებიან...

**წმიდა ნინოს დამოკიდებულება ვაზთან და მისი ნასხლევისაგან შექმნილი ჯვრისადმი ერთდროულად არის მისტიკური და ემპირიული, ვინაიდან იქ, სადაც ცდა მთავრდება (საგნის ემპირიული შემეცნება), იქ იწყება მისტერია. როგორც წყაროები გადმოგვცემენ, ვაზის ჯვარი ნინომ ღვთისმშობლისაგან გამოცხადებით მიიღო და ამის შემდეგ მცხეთის მაყვლოვანში შექმნა იგი და შეკრა საკუთარი თმით.** მაყვლოვანში თავისი სასწაულმოქმედი ვაზის ჯვრით განკურნა ნინომ დედოფალი ნანა...

დედოფლის სახელში **„ნანა“**, რომელიც ეტიმოლოგიურად **„ნინო“**-ს უკავშირდება, ოთხი ბგერიდან ორი თანხმოვნის სრული თანხვედრაა, ჩვენი აზრით, პირველ ქრისტიან დედოფალს მას შემდეგ, რაც „ხელსა ქვეშე წმიდისა ნინოისა იღო ნათელი“, **ნინოს პატივსაცემად უნდა დარქმეოდა ეს სახელი და ამ სახელით შემორჩა იგი ამ დიდი ისტორიული მოვლენის შემდგომი საუკუნეების წერილობით წყაროებს**. იგულისხმება, რომ ქალის სახელი „ნანა“ წარმართული პერიოდიდან, საუკუნეების სიღრმიდან მოდიოდა, იგი უცხო არ ყოფილა ქართული სინამდვილისათვის და სწორედ ამ ნიშნით ხაზი გაესვა ამ ორი სახელის ნათესაურ (ეტიმოლოგიურ) ურთიერთკავშირს.

ქართველ ხალხში სახელების **„ნანას“** და **„ნინოს“** უდიდეს პოპულარობაზე მეტყველებს მათი უამრავი ვარიაცია, რომლებიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ცოცხლობდა და ცოცხლობს დღევანდლამდე. ასეთებია: ნანი, ნანული, ნინა, ნუნუ, ნუნე, ნონა, ნონე, ნენა, ნენე, ნანო, მანანა, მანანო, ანა, ანიკო და მრავალი სხვა.

წმიდა ნინოს სახელი მისი მოციქულებრივი ღვაწლის აღსრულებისას საქართველოს მრავალ კუთხესა და ადგილთანაა დაკავშირებული, რომელთაგან ამჯერად ჩვენ გამოვყოფდით **საგარეჯოს რაიონის სოფ. ნინოწმინდაში არსებულ წმიდა ნინოს სახელობის უძველეს კათედრალს.** პლატონ იოსელიანის ცნობით, აქ საკვერპო მდგარა და ბოდბეში მიმავალ წმიდა ნინოს მის ადგილზე პირველი ქრისტიანული სალოცავი აღუმართვინებია. ქრისტიანული ცხოვრება იმდენად შეუტკბია აქაურ მოსახლეობას, რომ სულ მალე, როგორც **„ქართლის ცხოვრება“** გვამცნობს, ვახტანგ გორგასალს საეპისკოპოსო ცენტრი დაუარსებია და კათედრა აუშენებია. **ვახუშტის** ცნობით, ნინოწმინდელი მწყემსის იურისდიქცია ქიზიყამდე ვრცელდებოდა, თურმე.

ტაძარი არქიტექტურულად **ჯვრის ტიპის ნაგებობაა**, რაც საფუძვლის ამგვარი გადაწყვეტით **მცხეთის ჯვრის ანალოგს** წარმოადგენს და მის უძველესობაზე მეტყველებს. როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ჯვრის ტიპის ტაძრები შენდებოდა იქ, სადაც მანამდე ქრისტეს ცხოველმყოფელი ჯვარი იყო აღმართული და სადაც ჯვრის ფენომენს მთავარი ადგილი ეკავა მაშინდელ მორწმუნეთა ქრისტიანულ ცნობიერებაში. ნინოწმინდა ამ ტრადიციის გაგრძელებაა და საქართველოს ისტორია შეუძლებელია წარმოდგენილ იქნეს ამ უძველესი კათედრალის არსებობის გარეშე. ამასთანავე, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული სერიოზული მოსაზრება იმის შესახებ, რომ წმიდა ნინოს გარდაცვალება და დაკრძალვა აქ, ნინოწმინდაში მოხდა, რომ იგი ქართველთა განმანათლებლის პირველი განსასვენებელია, საიდანაც მერე იქნა გადასვენებული ბოდბეში. ნინოწმინდის ეპარქიის განსაკუთრებულ სტატუსს ძველი ქართული სულიერების სფეროში, ჩვენი აზრით, სერიოზული ათვლის წერტილი უნდა ჰქონოდა და ეს იყო წმიდა ნინო და მისი აქ დასაფლავება. ნინოწმინდელი მღვდელმთავრები, რომლებიც სამეფო დარბაზობის დროს ძალზე ახლოს იდგნენ მეფესთან, აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვეყნის პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. მათი სახელები ქვეყნის ისტორიის არა ერთ და ორ მნიშვნელოვან ფაქტთან თუ მოვლენასთანაა დაკავშირებული. **ნინოწმინდის ეპარქიამ, რომელიც ერთ-ერთი უძველესი და ავტორიტეტული ეპარქია იყო საქართველოში, 1817 წლამდე იარსება**. იგი საქართველოს პირველი ეგზარქოსის ვარლაამ ერისთავის წინადადებით გაუქმდა. ჟამთასვლით დაძაბუნებული ტაძარი კი, როგორც წყაროებში ვკითხულობთ, 1824 წელს დიდი ქარიშხლის შედეგად ჩამოინგრა. ამის შემდეგ გალავნის შიგნით, სამრეკლოს წინ საეგზარქოსოს ინიციატივით აშენებულ იქნა მცირე ზომის ეკლესია, სადაც ღვთისმსახურება სრულდებოდა. ეს ეკლესია გასული საუკუნის 50-იან წლებში, რაც მისი ბოლო მღვდელმსახური ალექსი გულისაშვილი (1861-1951) გარდაიცვალა, თავდაპირველი იერსახის აღდგენის მოტივით დანგრეულ იქნა და მისი არსებობა მხოლოდ ძველ ფოტოებზეღაა შემორჩენილი. კათედრალში, საუკუნეების განმავლობაში შექმნილი არაერთი ძველი ხელნაწერი და ხატი ინახებოდა. ალექსი გულისაშვილი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა XIX საუკუნის პრესასთან, 1884 წელს გაზეთ **„დროებაში“** დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში (№ 225) გვაწვდის ცნობას, რომ ნინოწმინდის ეპარქიის გაუქმებისთანავე რუსეთის სასულიერო მთავრობას გადაწყვეტილება მიუღია ტაძრის კუთვნილი ყველა ძვირფასი სამკაულისა და ნივთის წაღებაზე. იმოწმებს რა პლატონ იოსელიანს, წერს, რომ **წაუღიათ ძვირფასი თვლებით მოჭედილი ჯვარი და წმიდა ნინოს ხატი, ჭედურობა**, რომელიც არჩილ მეფეს შეუწირავს კათედრალისათვის. მაგრამ ნინოწმინდის ტაძარში გარდა ამ ხატისა, რომლის ბედი გაურკვეველია, დაცული იყო ასევე წმიდა ნინოს სხვა, ფერწერული ხატი, რომლის შესახებ ალ. გულისაშვილი ზემოხსენებულ წერილში არავითარ ცნობას არ იძლევა, თუმცა, ამ ხატის შესახებ ამომწურავ ცნობებს გვაწვდის XVIII საუკუნის უთვალსაჩინოესი საეკლესიო და კულტურული მოღვაწე - **ნინოწმინდელი მიტროპოლიტი საბა ტუსიშვილი**, ანტონ კათალიკოსის გადაყნების ერთ-ერთი მონაწილე. საინტერესოა ამ ხატის ისტორია: მღვდელ ალ. გულისაშვილის გარდაცვალების შემდეგ, რაც მაშინდელმა ხელისუფლებამ ზემოაღნიშნული ეკლესიის დანგრევაზე გადაწყვეტილება მიიღო, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ ფხალაძემ (1952-60 წ.წ.) 1952-60 წლებში ეს ხატი ნინოწმინდიდან თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში გადმოიტანა დაცვის მიზნით. მისმა შემდგომმა კათალიკოს-პატრიარქმა ეფრემ II (1960-1972) ხატს სპეციალური საცავი გაუკეთა და თავისი რეზიდენციის მეორე სართულზე, მისაღებ დარბაზში გადმოასვენა. ხატი, რომელიც დაახლოებით 70X50 სმ ზომის იქნებოდა, მძიმე და მასიური ხის ფიცარზე იყო შესრულებული და გარშემო ვერცხლის არშია ჰქონდა შემოვლებული, რომელიც ალაგ-ალაგ იყო დაზიანებული. წმიდა ნინოს დასახელებული ხატი პროფ. ა. შანიძესთან და არქიტექტორ ნ. სევეროვთან ერთად 1922 წელს ნინოწმინდაში ნახა პროფ. გ. ჩუბინაშვილმა, რომელსაც ხატის უკანა მხარეს შესრულებული წარწერა გადმოუწერია. ხოლო წარწერის ტექსტი 1962 წელს გამოაქვეყნა თ. ბარნაველმა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ხატის შესახებ მხოლოდ ეს ძუნწი ცნობები მოგვეპოვება და არც მისი ფოტოსურათი გამოქვეყნებულა სადმე. წმიდა ნინოს დასახელებული **ხატის ფერადი ფოტოპირის ერთადერთი პუბლიკაცია** გვეკუთვნის ჩვენ, რომელიც დაიბეჭდა 1974 და 1975 წლების საეკლესიო კალენდრებში კათალიკოს-პატრიარქ დავით V-ის დროს. წმიდა ნინოს ამ ხატის ფოტოპუბლიკაციის მნიშვნელობა ღირებულია იმ მხრივ, რომ ეს ხატი 1978 წელს საპატრიარქოში გაჩენილი ხანძრის შედეგად განადგურდა და რომ არა ჩვენი პუბლიკაცია, სამუდამოდ გაქრებოდა დროსა და სივრცეში წმიდა ნინოს უმშვენიერესი ხატება, რომლის ხილვის შესაძლებლობა პატივცემულ მკითხველს ამჟამად ეძლევა. **უფრო მეტიც, წმიდა ნინოს ეს სახე უძველესი სახეა დღემდე ცნობილ წმიდა ნინოს ფერწერულ სახეთა შორის.** ამის საფუძველს გვაძლევს ზემოხსენებული ნინოწმინდელი მიტროპოლიტის საბა ტუსიშვილის „ანდერძისებრნი ღუწანი“ და ხატის უკანა მხარეს მის მიერვე მშვენიერი მხედრულით შესრულებული წარწერა, რომელიც ჯერ კიდევ 60-იან წლებში პატრიარქ ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით გადმოვწერე. საბა მიტროპოლიტი თავის „ანდერძში“, რომელიც XVIII საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, აღნიშნავს, რომ „წმიდისა მოციქულასა ნინას ხატი, რომელიცა **ჟამმრავლობითა დაძველებულ იყო**, უმაღლესისა მეფისა შეკითხვითა **დავშალე და ახლად დავახატვინე, განვაახლე** და არშია ვერცხლითა მძიმედ ოქროითა ცურვებულითა მოუქმენ. და ამას ზედა შრომაი ჩემი თვით მის ხატისა უკანა კერძოსა ზედა წერილ არს ჩემ მიერ უჭეშმარიტესად“ (ს. ბარნაველი, „ანდერძისებრნი ღუწანი“, ქართული ხელოვნება, 1950 წ. 3). მოგვყავს ეს წარწერაც, რომელიც ჩემ მიერ გადმოწერილი ტექსტის მიხედვით იბეჭდება: „ქ. შეწევნითა



მცხეთის მაყვლოვანთან ანგელოზის გამოცხადება წმიდა ნინოსთან

## გიორგი ლეონიძე

## ნინოწმინდის ღამე

*1926 წ. 26 მარტი. ღამე ნინოწმინდის გალავანში: სანდრო შანშიაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე.*

ნინოწმინდა... ჰალატები მეფეთა...
გალავანში – ჯამი აქაფებული;
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ – ვეფხვი დაქალებული...

საზანდარმა ღამე აატახტახა,
ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა,
ცა – ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა,
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა...

ნინოწმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძრენი
ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ!

როგორც ხმალი, ძმებო, თამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია!
მე მიტირის ღამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას;
მუქუები ოქროს კალმახებია,
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა...

წინანდალის ვაზი აყვავებული,
ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,
აფრენილი ბაზიერის დაფითა,
დურაჯი ხარ, მავალს შეფარებული!

ნინოწმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძრენი
ძმობამ, ცრემლმა, იმ პატარა იარამ!

1926
26 მარტი

## ანა კალანდაძე

## მოდიოდა ნინო მთებით

*„ხოლო მე დავში ვცალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყაოდა მას ჟამსა“.*
*ნინო*

ლურჯ მწვერვალებს
ქარი რმისფერ ნისლში ხვევდა...
და, როდესაც ბარში ვარდნი ყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ.
მოჰქიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰქიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა მრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...
თოვლის მთებით კვირდებოდა უცხო მგზავრი, –
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?
მწყემსმა ჰკითხა: რომელია ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა: – საქართველო არის ესე...
მიემინა... ერთ წალკოტში მიემინა
და ფშატებმა მზისკენ მოუჩრდილეს; ო,
ეს ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?
„ნუ გეშინი!“ – მიუგებდა იესო...
გაეღვიძა... წუთით იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლებში ბღაოდნენ...

1945

წმიდისა სამებისათა მე ყოვლად უღირსმან ნინოწმიდელ მიტროპოლიტმან ტუსისძემან საბამან ფრიადითა გულსმოდგინებითა **გამოვახატვინე** სატრფიალო სასოი ესე ჩემი ხატი წმიდისა ნინო მოციქულასი ყოველ საქართველოსა მნათისა და კიდურნი ვერცხლითა **პირველვე ჰქდილნი** კვალად განვაახლენ, და ზენა კიდურთა ეპიფანიაი მოოქროვილ ვყავ ფრიად შვენიერად, მეფობასა ქართველთა ზედა თეიმურაზ ღვთივ ცხებულისასა და სასურველისა ძისა მისისა ირაკლი კახთ მეფისასა. ხოლო აღმომკითხველთა გექჭნები ყოველთა შენდობისა ყოფისათვის. განსრულდა თვესა ნოემბერსა **კ** ქრისტეს აქათ წელსა **ჩღნთ** ქორონიკონსა **უმზ**“.

ხატი, რომელიც მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით შეუსწავლელია, მრავალმხრივ საინტერესოა ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიისათვის. წარწერა **ჩღნთ - 1759 წელსაა** შესრულებული და, თუ დავეყრდნობით საბას გამონათქვამს მისი ანდერძიდან, **„ხატი ჟამმრავლობითა დაძველებულ იყოო“,** საფიქრებელია, რომ ხსენებული ხატის წინა პერიოდი **ოთხას წელზე ნაკლებს არ უნდა ითვლიდეს** და XIV საუკუნის ქართული ფერწერული ხელოვნების იშვიათ ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს. **იშვიათს იმ თვალსაზრისით, რომ იგი ერთადერთია წმიდა ნინოს დღეისათვის ცნობილ ფერწერულ ხატთა შორის თავისი სიძველით და კომპოზიციური ორიგინალობით**. ნინო, რომელიც თეთრი ფერის თავშალით უბრალო ქალისათვის დამახასიათებელ სამოსშია, მოძრაობაშია, და იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოდის და მოიჩქარის... ხატის მარცხენა ზედა კუთხიდან მტრედის სახით **სულიწმიდის** ნათელი ეფინება მის უმშვენიერეს სახეს, ორივე ხელი განზე გაუშლია და **მარცხენაში სახარების გრაგნილით, ხოლო მარჯვენაში მისი თმით შეკრული ვაზის ჯვრით მოემართება აქეთ...** ეს უკანასკნელი სწორ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ როგორ გამოისახებოდა ძველ ქართულ იკონოგრაფიაში **ჯვარი ვაზისა,** რომელმაც ბოლო დროს, სამწუხაროდ, მასშტაბურად დამახინჯებული სახე მიიღო და დაშორდა ისტორიულ რეალობას. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ სპეციალურ საცავში, რომელშიც წმიდა ნინოს ჯვარია მოთავსებული, ჯვრის ორივე - მარცხენა და მარჯვენა ფრთა დახრილია და კუთხეებში იქმნება არა 90 გრადუსი, არამედ 45 გრადუსი, რაც განაპირობა იმან, რომ ჯვრის ჰორიზონტალური ნაწილი **შუაზეა გადატეხილი და მის ვერტიკალურ ნაწილს** მარჯვნიდან და მარცხნიდან ვერცხლის ორი პატარა ფირფიტითა აქვს მიმაგრებული. ჯვარი ქვეყნის ძნელბედობის ჟამს ერთი ადგილიდან სხვადასხვა ადგილას ინაცვლებდა ხოლმე და შესაძლებელია, გადატანის ან სხვა რამ მიზეზის გამო იგი დაზიანდა, რის გამოც მას რესტავრაცია ჩაუტარდა და სპეციალური ვერცხლის საცავიც გაუმზადეს, რომელზედაც ნინოს ცხოვრებიდან ექვსი სხვადასხვა ეპიზოდია გამოსახული. **ხოლო იმის საჩვენებლად, რომ ჯვარი დაზიანებული იყო, რესტავრატორმა კი არ გაასწორა, არამედ მისი მარჯვენა და მარცხენა ფრთა, რომელიც მიმაგრებული აქვს ვერტიკალურ ნაწილს, დახრილად დატოვა და ამ სახით დაუტოვა შთამომავლობას**. არაა გამორიცხული, ვიფიქროთ, რომ რესტავრატორთა ასეთი ქმედებით - **ფრთებდახრილი ვაზის ჯვრით** - ხაზი გაესვა ასევე რუსეთის ხელში ჩავარდნილი საქართველოს და მისი სამოციქულო ეკლესიის უმძიმეს მდგომარეობას. როგორც ცნობილია, ქართველი ბატონიშვილების მიერ XVIII საუკუნეში ჯვარი საჩუქრად მირთმეულ იქნა რუსეთის იმპერატორისადმი, რომელმაც ქართველთა გულის მოგების მიზნით დაუბრუნა საქართველოს და, ეს მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქნა გამოცხადებული.

წმიდა ნინოს ზემოაღნიშნულ ხატთან, რომლის ისტორია ძუნწად, მაგრამ შეძლებისდაგვარად გადმოგეცით, **დაკავშირებულია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი, რაც სრულიად უცნობს წარმოადგენს ქართველი საზოგადოებრიობისათვის და, კერძოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებისათვის. ეს ხატი დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის პოეტური შთაგონების წყარო გახდა, როცა მან თავისი შესანიშნავი ლექსი „ნინოწმინდის ღამე“ დაწერა.** როგორც ცნობილია, ბატონმა გიორგიმ ნინოწმინდის ტაძარი 1926 წელს თავის მეგობრებთან სანდრო შანშიაშვილთან, პაოლო იაშვილთან და ტიციან ტაბიძესთან ერთად ინახულა, სადაც პოეტის დედის ძმა, მღვდელი ალექსი გულისაშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და, **დასახელებული ხატი ჯერ ისევ ნინოწმინდის ეკლესიაში ესვენა.**

წმიდა ნინოს ხატის ხილვით აღფრთოვანებული და შთაგონებული პოეტი ლექსის პირველსავე სტროფში ნინოს ასე მიმართავს:

- **„შენი სახე**
**რისთვის შემომეფეთა,**
**ხატი იყავ,**
**ვეფხვი დაქალებული“.**

შემდგომ სტრიქონებში კი პოეტი ზედმიწევნითი სიზუსტით და მაღალი პოეტური ოსტატობით სიტყვებში გადმოწერს და გადმოხატავს ხატზე გამოსახულ ნინოს გარეგნულ მშვენიერებას:

**„წამწამები აქვს**
**თავთუხის ყანისა“.**

ხატის შთაბეჭდილების ქვეშ მოქცეული მგოსანი წარსულში ეშვება და ნინოს ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს მომენტს ამ დიდებული ლექსის დასასრულს კვლავ პოეტური ფერებით აცოცხლებს:

**„აფრენილი**
**ბაზიერის დაფითა,**
**დურაჯი ხარ,**
**მაყვალს შეფარებული“.**

აშკარად იგრძნობა, რომ ნინოწმინდის უძველესი ტაძრის ნანგრევებიდან პოეტი ამ ლექსით თავისი ქვეყნის წარსულს მისტირის, ვერ მალავს ნოსტალგიას და მასზე უზომოდ შეყვარებული პირდაპირ აცხადებს:

**„მე მივტირი**
**ღამეს ზამბახებიანს,**
**და სიყვარულს**
**ათაბაგის ქალისას“.**



● **ნინოწმინდა. მარნის შესასვლელი კარის ორნამენტული შემკულობის ფრაგმენტი, რომლის ძირში, მარცხნივ, მდებარეობს ისტორიული ჭა**


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტი
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ ИМЕНИ
ШОТА РУСТАВЕЛИ
თბილისი, ლენინის ქ. № 5, ტელ. 9-53-00 Тбилиси, ул. Ленина № 5, тел. 9-53-00
№ ___ 31 „ მარტი 196 წ. г.
ეძლევა ბიძინა კ ე რ ა ტ ი შ ვ ი ლ ს
სოფ. ნინოწმინდაში ჭა მარნის შესასვლელ კარებთან.
ნინოწმინდის ისტორიული მუზეუმის
მომწყობი კომისიის თავმჯდომარე

● **გიორგი ლეონიძის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ჭის გათხრა დაევალა ბიძინა კერატიშვილს**

**გიორგი ლეონიძის უმდიდრეს პოეტურ მემკვიდრეობაში „ნინოწმინდის ღამეს“ ერთ-ერთი უსაჩინოესი ადგილი უკავია, მაგრამ დიდი პოეტის შთაგონების წყარო - წმიდა ნინოს სახე, დღეიდან დიდ ადგილს იკავებს მასში, როგორც ამ ლექსის შექმნის, ასევე პოეტის ცხოვრებისა და ქრისტიანული კულტურისადმი მისი დამოკიდებულების თვალსაზრისით.** ხაზი უნდა გაესვას, რომ დრო, როცა პოეტმა ეს ლექსი დაწერა, ათეისტური ნგრევისა და აგრესიის პერიოდი იყო საქართველოში, როცა ამავე ტაძრის ჩამონგრეულ გუმბათზე გამოსახულ ღვთისმშობლის სახეს ერთ-ერთმა გაქეზებულმა ნინოწმინდელმა კომკავშირელმა ტყვიით თვალები დასთხარა. საერთოდ, წარსულის უარყოფით გამოწვეული სევდა პოეტის მთელ ცხოვრებასა და შემოქმედებას ამჩნევია. როგორც ამ ლექსის ანალიზი გვიჩვენებს, გიორგი ლეონიძისათვის წარსული და თანამედროვეობა ერთი მთლიანობაა და მისი დაშლა და ერთმანეთისგან მოწყვეტა, რასაც იმ პერიოდში ლამობდნენ, არამც თუ არ შეიძლება, - შეუძლებელია. **პოეტი მიანიშნებს, რომ თუ ნინო - წმინდანის ხატი და სალოცავია, იგი ამასთანავე ერის ისტორიაა და ამ ისტორიიდან გადმოღწეული მშვენიერება, რასაც უსათუთესი მოპყრობა სჭირდება, არამც თუ გმობა და განადგურება**. პოეტმა ლექსში საგანგებოდ გაუსვა ხაზი წმიდა ნინოს გარეგნულ მშვენიერებას, მისი პოეტური შთაგონების მასაზრდოებელს, მაგრამ, რათა არ მომხდარიყო ამ მომენტის არასწორი ინტერპრეტაცია, ლექსის დასაწყისშივე საგანგებოდ მიანიშნა, რომ ეს მშვენიერება უფლისადმი შეწირული მშვენიერებაა, **ხატია, ანუ ის წმიდანი**, რომელზედაც ერი ლოცულობდა და ეს დიდებული ტაძარიც ხომ თავისი „მეფეთა პალატებიანად“, სადაც ღამის გათევა მოუწია პოეტს, - ამ დიდი წმინდანის სახელზე იყო ნაგებ-აშენებული.

მე მრავალჯერ შევხვედრივარ დიდ პოეტს და ერთხელაც, წყნეთში სტუმრობისას, როცა ბაღში ფეხშიშველი თოხით წყალს უკადებდა ნარგავებს, - მორიდებით ვკითხე ზემოხსენებული ხატის შესახებაც - იყო თუ არა იგი „ნინოწმინდის ღამის“ შთაგონების წყარო; მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ამაზე ლაპარაკი უხერხული იყო, დამიდასტურა და ამ ხატის შესახებ საბა ტუსიშვილის „ანდერძზე“ მიმითითა, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახებოდა და რომლის ზუსტი ასლის გამზადება განზრახული ჰქონოდა მას...

გიორგი ლეონიძე, როგორც თავისი ქვეყნის წარსულის შესანიშნავი მცოდნე და მკვლევარი, დიდ ყურადღებას იჩენდა მშობლიური კუთხის ისტორიული ძეგლებისადმი. ნინოწმინდის უძველესი კათედრალი ახალგაზრდობიდანვე მისი ყურადღებისა და შესწავლის საგანი იყო. **სიცოცხლის ბოლო დროს, 1966 წელს, მან განიზრახა, ნინოწმინდის გალავნის შიგნით მდებარე ძველ საეპისკოპოსო სასახლეში ნინოწმინდის ტაძრის მუზეუმი გახსნილიყო, რომლის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე თვითონ ბრძანდებოდა.** მე ამ საქმეში, როგორც საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი, ჩართული ვიყავი და საგანგებო დავალება მომცა, გამეთხარა გალავანში მარნის შესასვლელთან საბა მიტროპოლიტის დროს გაკეთებული ჭა, რომელიც ამოვსებული და მიწის სქელი ფენით იყო დაფარული. გ. ლეონიძის ცნობით, რომელიც ბიძამისის ალ. გულისაშვილისაგან ჰქონდა მოსმენილი, ამ უკანასკნელის წინამორბედთ გალავნის ეზოში ტაძრის ძველი საბუთები და ნივთეულობა გადაემალათ, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნინოწმინდის ეპარქიის გაუქმების შემდეგ (1817 წ.) სინოდის მიერ საკითხი დამდგარა ამ სიძველეთა გატანისა. ნაწილი გაუტანიათ კიდეც, მაგრამ ნაწილი, გ. ლეონიძის ვარაუდით და ბიძამისის ცნობაზე დაყრდნობით, შეიძლება იმ დროისთვის უკვე გაუქმებულ ჭაში ჩაემალათ და მიწა მიეყარათ. მე დიდი ინტერესით შევუდექი ჭის გათხრას, 10 მეტრზე ქვევით ჩავედით, მაგრამ გავრცელებული ხმების შედეგად, რომ მიწა ჩაინგრეოდა, მუშები შეშინდნენ და სამუშაოს გაგრძელება ველარ შევძელით. რამდენიმე თვეში გ. ლეონიძე გარდაიცვალა და ტაძრის მუზეუმის დაარსების იდეა განუხორციელებელი დარჩა. თუმცა, ჩემ მიერ მოპოვებული გაუქმებული ტაძრის მთლიანი კანკელი (XIX ს.), უძველესი მრავალსანთლიანი ბრინჯაოს დიდი ჭაღი და საბა ტუსიშვილის მიერ ტაძრისადმი შეწირული ზარი ტაძარში ინახებოდა. რაც შეეხება ჭას, იგი დღემდე იმ სახითაა დარჩენილი, რა სახითაც მე იგი დავტოვე. გ. ლეონიძის ცნობა, რომ ტაძრის ეზოში გადამალულია ნინოწმინდის ძველი საბუთები და ნივთები, **საყურადღებო ცნობაა** და სპეციალისტების დაინტერესებას და გარკვეული სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს. მოსაძებნია ასევე ის საიდუმლო გასასვლელი (გვირაბი), რომელიც, ჩემი აზრით, მღვდელმთავრის რეზიდენციასთან სულ ახლოს უნდა ყოფილიყო. **ამ საკითხებთან დაკავშირებით მე პირადად რამდენიმე ცნობა მაქვს, და მზად ვარ, კომპეტენტურ პირებს მივაწოდო ეს ინფორმაცია.**

ნინოწმინდის ეპარქია, რომელიც 1817 წლიდან გაუქმებული იყო, ამჟამად საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ აღდგენილია და მღვდელმთავარი ჰყავს. მაგრამ წმიდა ნინოს, ვითარცა ქართველთა დედისა და განმანათლებლის, „მეოხისა და მეორე ემბაზის“ ნეტარი სახელი უდავოდ იმსახურებს იმას, რომ ქრისტიანობის ამ უძველეს სავანეში **აიგოს მისი ხსოვნის შესაფერისი ტაძარი, აღდგეს წმიდა ნინოს „დაუჯდომელის“ კითხვის ძველი ტრადიცია და მისივე სასწაულით გადარჩენილი მისი უძველესი ქართული ხატება ხელახლა გამოიხატოს, დაუბრუნდეს ერს და თავის ისტორიულ ადგილსამყოფელს.**

***ყოფილი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი)***

შეგახსენებთ, მასალა იბეჭდება გაზეთების „მამულის“ და “ასავალ–დასავალის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში



## მცხეთის ჯვრის (VI ს.) მთავარი შესასვლელის თავზე გამოსახული განედლებული, მაცოცხლებელი ჯვარი

## რედაქციის ბოლოთქმა:

*თქვენ წინაშეა ნინოწმინდის ტაძრის დღემდე გაურკვეველი ასოებით შესრულებული წარწერა, რომლის გაშიფვრაზეც სერიოზულად მუშაობდა მიტროპოლიტი გაიოზი. წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა, რომ იგი ქართული კრიპტოგრაფიის (საიდუმლო დამ-წერლობის) უძველესი ნიმუშია, შესრულებული ბერძნულ და ქართულ პალეოგრაფიაში დღემდე უცნობი კუთხოვანი ასომთავრული ასოებით. წარწერის პალეოგრაფიული ხასიათი და გაშიფრული ტექსტის შინაარსი ავტორს აძლევს საფუძველს, რომ იგი IV საუკუნის მეორე ნახევრით დაათარიღოს. კრიპტოგრამაში მოხსენებული იოვ(ან)ე (ეპისკო)ო(პ)ოსი, მისი აზრით, წმიდა ნინოს დროინდელი მცხეთის პირველი ეპისკოპოსია.*

ფრიად დასანანია, რომ ადამიანს, რომელიც ერის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მუშაობდა, დღემდე წართმეული ჰქონდეს ბიბლიოთეკა, რომელიც მისი ერთადერთი სამუშაო იარაღია ქრისტიანული კულტურის ღირებულებათა დასაცავად





# საქართველოს მთავრობის ინიციატივა

## სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების [illegible]

საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ საჭიროა დროული და ეფექტური ნაბიჯების გადადგმა, რომლის ძირითადი მიზანი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი და მშვიდობიანი მოწესრიგება იქნება. სამხრეთ ოსეთის ხალხისათვის აუცილებელია განვითარების, სტაბილურობისა და ღირსეული თანაცხოვრების ახალი ეტაპის დაწყება.

**I. სამშვიდობო შეთანხმების საფუძვლები:**

ქართველი და ოსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების, ერთიან კულტურულ, ტერიტორიულ და ეკონომიკურ სივრცეში წარმატებული თანაარსებობის მდიდარი ისტორია;

ქართველი და ოსი ხალხის სწრაფვა მშვიდობის, კეთილდღეობისა და სტაბილური ეკონომიკური აღმავლობისაკენ. ტურიზმის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების ახალი, მყარი და ლეგალური საფუძვლების უზრუნველყოფა.

სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალური დაცვის, განათლების, ჯანდაცვის, ლეგალური ეკონომიკური საქმიანობის, სამუშაო ადგილებისა და თვითრეალიზაციის ახალი, ფართო შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

ერთიანი ძლიერი სამართლებრივი და სამართალდამცავი სივრცის შექმნა, კრიმინოგენული ვითარების გამოსწორება, ორგანიზებული დანაშაულის, მათ შორის იარაღით უკანონო ვაჭრობის, ნარკოტრეფიკის, კონტრაბანდის აღმოფხვრა. მოსახლეობის დაცვა ტერორიზმის საფრთხისა და უკონტროლო კრიმინალური დაჯგუფებების ზემოქმედებისაგან;

საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებული ნორმების აღდგენა და დაცვა. სამხრეთ ოსეთის სამართლებრივ სისტემაში დაბრუნება.

**II. სამშვიდობო შეთანხმების პირობები**

კონფლიქტის ორივე მხარე აცხადებს უპირობო უარს ძალის გამოყენებაზე;

საქართველოს ხელისუფლება სრულად კისრულობს სოციალურ ვალდებულებებს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის წინაშე;

ამოქმედდება 1990-1992 წლის კონფლიქტში დაზარალებული მოსახლეობის მიმართ ქონებრივი რესტიტუციის კანონი, ყველა დაზარალებულ ოჯახს მიეცემა ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია.

საქართველოს მთავრობა მზად არის ერთჯერადად გადაუხადოს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას 1991 წლის შემდეგ დაგროვილი საპენსიო დავალიანება და ასევე გარანტია მისცეს ყველა მაცხოვრებელს, რომ მათი დღევანდელი პენსიები და სოციალური შეღავათები ძალაში დარჩება მინიმუმ იმავე რაოდენობით.

სამშვიდობო შეთანხმების ფუნდამენტურ პირობას წარმოადგენს ერთა თვითგამორკვევის, კულტურული თვითმყოფადობის, უმცირესობათა უფლებების დაცვის, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების და მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპების განუხრელი დაცვა.

**III. ტერიტორია**

სამხრეთ ოსეთი აღდგება იმავე საზღვრებში, რაც იყო დაფიქსირებული კონფლიქტის დაწყებამდე და მოიცავს ცხინვალის, ჯავის, ზნაურის და ახალგორის რაიონებს.

**IV. პოლიტიკური სტატუსი**

სამხრეთ ოსეთი არის ავტონომიური ერთეული საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

სამხრეთ ოსეთს ხელმძღვანელობს სამხრეთ ოსეთის მეთაური, რომელსაც ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

სამხრეთ ოსეთს აქვს პარლამენტი, რომელიც აირჩევა თავისუფალი და პირდაპირი არჩევნების გზით.

საქართველოს ხელისუფლება სთავაზობს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიერ აირჩევა რაიონების, ქალაქების, სოფლებისა და სოფლის საკრებულოების ხელმძღვანელები და ადმინისტრაცია.

უზრუნველყოფილია სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობა საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოში, რაც გულისხმობს საქართველოს სამინისტროებში, დეპარტამენტებში, კომიტეტებსა და სხვა უწყებებში ოსი ეროვნების მოქალაქეთა ფართო წარმომადგენლობას.

უზრუნველყოფილია სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში, რაც გულისხმობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიიდან დეპუტატების გარკვეული რაოდენობის წარმომადგენლობას.

უზრუნველყოფილია სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელთა მონაწილეობა სასამართლო და კონსტიტუციური მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობაში.

**V. ენა და განათლება**

სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ოსურ ენას აქვს ოფიციალური ენის სტატუსი სახელმწიფო ენასთან ერთად.

გარანტირებულია განათლების მიღება ოსურ ენაზე და განათლებასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდება სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მიერ.

უზრუნველყოფილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით ოსური ტელევიზიის, რადიოსა და ბეჭდვითი მედიის დაფინანსება.

უზრუნველყოფილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით ოსური კულტურისა და ისტორიის დაცვის ღონისძიებების დაფინანსება.

**V. სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაცია**

საქართველოს ხელისუფლება უზრუნველყოფს სამხრეთ ოსეთის ეკონომიკურ რეაბილიტაციას და გამოყოფს სათანადო თანხებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ, რაც გულისხმობს საავტომობილო გზების, რკინიგზის, ელექტრო-გადამცემი ხაზების, გაზსადენის, კავშირგაბმულობის (სატელეფონო ხაზები, მობილური კავშირი), ტელე-რადიო მაუწყებლობის აღდგენას.

საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს ეკონომიკური აღორძინების მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას, რომელთა მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და დასაქმებისა და შემოსავლის ადგილობრივი მდგრადი წყაროების შექმნა.

შეიქმნება სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური მხარდაჭერის ფონდი. მისი დაფინანსება განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებისა და საერთაშორისო დონორების შემოწირულობების ხარჯზე. ფონდის მართვა და პრიორიტეტების განსაზღვრა განხორციელდება ერთობლივად ცენტრალური და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მიერ, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საქართველოს მთავრობა მზად არის განიხილოს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხი.

**VI. სამართლებრივი საკითხები**

კონფლიქტის მოგვარების პროცესში გამოცხადდება სამწლიანი გარდამავალი პერიოდი.

გარდამავალი პერიოდის მიმდინარეობის ზედამხედველობას განახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაციები.

გარდამავალ ეტაპზე შეიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდის ქვეშ მოქმედი შერეული ქართულ-ოსური პოლიცია/მილიცია.

ეს პოლიცია/მილიცია უზრუნველყოფს მოქალაქეების უსაფრთხოებას და გადაადგილების თავისუფლებას.

შეიქმნება ერთობლივი კომისია სამხედრო დანაშაულების გამოსაძიებლად, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას დამნაშავეების ბედის შესახებ.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს საქართველო-რუსეთის საზღვრის სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე გამარტივებული სასაზღვრო რეჟიმის დადგენას ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რაც გულისხმობს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ჩრდილოეთ ოსეთის მიმართულებით და პირიქით თავისუფალ გადაადგილებას.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ყველა იმ პირის დაბრუნებას, რომელმაც კონფლიქტის შედეგად მიატოვა საქართველო.

ყველა იმ პირისათვის, რომელმაც გადაწყვიტა დაბრუნება, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს განსახლებისათვის საჭირო ფინანსურ დახმარებას.



როგორც უფალი,
სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!

# სამშობლო



მოცემული ნაშრომი წარმოადგენს მთელი რიგი მკვლევარებისა და სახელმწიფო მოღვაწეების (ივანე ჯავახიშვილი, აკაკი ურუშაძე, ლევან სანიკიძე, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, გივი ალაზნისპირელი, რისმარგ გორდეზიანი და სხვები) ნაშრომების კრებულს.

მიზნად გვქონდა დასახული ერთ სტატიაში მოგვექცია საქართველოს მისიასთან დაკავშირებით არსებული მასალა.

„კაცობრიობა ვერ განთავისუფლდება,
თუ არ განთავისუფლდება საქართველო"
**ედგარ მილო**, შვეიცარიელი საზოგადო მოღვაწე

„არიან ქვეყნები, სადაც სილამაზე უპირატესობად არ ითვლება, რადგან იქ ყველა ლამაზია. მოგზაურები ამას ერთხმად ამბობენ საქართველოზე"
**სტრაბონი**, „გეოგრაფია"

„მცირე აზია ოდესღაც თითქმის მთლიანად დასახლებული იყო იმ ხალხებით, რომლებიც ხეთებთან ერთად შეადგენდნენ ერთ მონოლითურ ეთნიკურ ჯგუფს. იმ ძველ ხალხთა უშუალო მონათესავედ უნდა ჩავთვალოთ ქართველები"
**ფრიც ჰომელი**, ორიენტალისტი

# ვინც იქით და ვინც აქეთ საქართველო მიუყვარდეთ!

საქართველო... თანამედროვე მსოფლიოს ეს სიტყვა არაფერზე მიანიშნებს. შესაძლებელია რომელიმე მეტნაკლებად გათვითცნობიერებულმა ევროპელმა, ალბათ უფრო გერმანელმა, გაიხსენოს რომ არსებობს ასეთი ქვეყანა ევროპისა და აზიის გასაყარზე. მსოფლიოს რუკას რომ დახედოთ, პირველად გაგიძნელდებათ ამ ქვეყნის მიგნება, ვინაიდან მას მეტად უმნიშვნელო ტერიტორია უჭირავს, სულ 70 ათას კვადრატულ კილომეტრამდე.

ყოველ განათლებულ ხალხს აინტერესებს გაიგოს თავისი წარსული: საიდან მოსულა, მისი შორეული წინაპრები ვინ ყოფილან, როგორ უცხოვრია და აქამდე როგორ მოუღწევია. სწორედ ამ დიდი ინტერესის შედეგია ის ლეგენდები და თქმულებები, რაც ამა თუ იმ ხალხის წარმომავლობის შესახებ საუკუნეების განმავლობაში შეთხზულა. რატომღაც საქართველოს შესახებ ფიქრისას, მუდამ ერთი ლამაზი ლეგენდა მაგონდება. დარწმუნებული ვარ თითოეულმა ქართველმა იცის მის შესახებ, მაგრამ მაინც მინდა შეგახსენოთ:

უფალმა რომ ქვეყნიერება შექმნა, გადაწყვიტა ხალხისათვის გაენაწილებინა იგი. მიწის ყველა მკვიდრი თავისთან შეჰყარა, გაშლილ ხელის გულზე ედო დედამიწა, რომ კაცთა მოდგმისათვის გაეყო მთლიანად. დაარიგა ზღვა და ხმელეთი, ბარი თუ მთა, ზოგი ვის არგუნა, ზოგი კი ვის. არავინ გამოუტოვებია, გარდა ქართველებისა.

როგორც გვჩვევია, აქაც დავიგვიანეთ! უფალთან რომ გამოცხადებულან ჩვენი წინაპრები, მთელი ქვეყნიერება უკვე განაწილებული დახვედრიათ. საოცარია, მაგრამ ათასწლოვანი ლეგენდა იმასაც კი აზუსტებს, თუ რატომ დაიგვიანეს ქართველებმა ასეთ მნიშვნელოვან დღეს სუფრას უსხდნენ და თავი ვერ მიანებესო!!!

შეწუხდა უფალი ეს საყვარელი ხალხი როგორ გამომრჩაო. აიღო და თავისი წილი მიწაწყალი, სადაც თვითონ უზენაესს ერთ დროს უხვი კალთა დაუბერტყავს, განებივრებულ ქართველებს აჩუქა...

ასე მივიღეთ ჩვენ, დაუდევარმა ქართველებმა, საცხოვრებლად ღვთის წილი, სამოთხის სადარი ადგილი, უხმოსავლიანი, ნოყიერი, ჯანსაღი... მთაც ლამაზი, ბარიც ლამაზი, ცაც ზურმუხტისფერი... ამ ღვთის წილ კუთხეს ქვეყნად ბადალი არ ჰყავსო არაერთხელ გვითქვამს ამაყად.

ხშირად გაიგონებთ ამ ლეგენდას ჩვენში. ისეთი რიხითა და სიამაყით ვიტყვით ხოლმე, გული გეტკინება. ალბათ არ ვუფიქრდებით, რას ვყვებით, და ასე ვიმეორებთ ახალ ვარიაციებითა და დამატებებით... ხშირად პათოსით ვუმტკიცებთ ჩამოსულ უცხოელს ჩვენი კუთხის გამორჩეულობასა და სილამაზეს.

უეჭველია, საქართველო ლამაზია, ქართველისათვის ულამაზესი, მაგრამ... გადავავლოთ თვალი სხვა მხარესაც. მართლაც არსად არის ასეთი ლამაზი და უხვი ადგილი დედამიწაზე? საბედნიეროდ, პირიქით არის, რამდენიც გსურთ იმდენი ადგილია! ყველაგან, ქვეყნიერების თითქმის ყველა კუთხეში! ყველა ადგილს თავისი განუმეორებელი სილამაზე და მომხიბვლელობა აქვს. ყველა მხარე ერთმანეთს, რომ ზუსტად ერთმანეთს ჰგავდეს, ცხოვრება საშინლად მოსაწყენი და ერთფეროვანი იქნებოდა. სულ სხვა საკითხია, რომ ყველას თავისი სამშობლო, თავისი ქვეყანა უყვარს და ეამაყება. ეს ასეც უნდა იყოს.

სამშობლო უფლის გაჩენილია! მან შექმნა ყოველი და მან შექმნა სამშობლოც! სამშობლო რომ არ იყოს, ეს მთაც და ეს ბარიც, ყოველივე ჩვენს გარშემო გულისგამაწვრილებელ ერთფეროვნებად წარმოგვიდგებოდა. სწორედ გადანაწილებული სამშობლოები ქმნიან მრავალფეროვნების იმ სასწაულს, რომელსაც ჩვენი უმშვენიერესი დედამიწა ჰქვია. მთები, მდელოები, მინდვრები, ხეობები, კლდეები, უკიდეგანო უდაბნოები ერთმანეთს ჰგვანან... მაგრამ ჩვენს მზერას შიგნიდან სამშობლოს უმძაფრესი შეგრძნება ახარისხებს. ჯადოქრული შესაძლებლობებით იცვლის ფერსა და შინაარსს თვით ერთმანეთს ასე მიმგვანებული ზედაპირები. როდესაც შენს სამშობლოს ჭვრეტ შენ თავისთავად არსს ჭვრეტ; როდესაც სხვის სამშობლოს ჭვრეტ სხვის არსს.

მაგრამ სამშობლო არ არსებობს ერის გარეშე, ვინაიდან ერია შენი სამშობლო! მშობლიურ მიწა არამც და არამც არ ნიშნავს მხოლოდ მიწასა და გეოგრაფიულ გარემოს! უპირველეს ყოვლისა ის ხალხს, შენს ერს გულისხმობს! ერს ვინც ამ მიწაწყლის პატრონია, ვისაც ეს მიწაწყალი სისხლის ფასად დაუცავს, ვინც ამ მიწაწყალზე ბინადრობს, შრომობს, იღწვის და დიდი ისტორიის ესტაფეტას გადასცემს შთამომავლობას.

"სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?" ამ სიტყვებით პოეტი მარტო მიწაწყალს კი არ გულისხმობდა, არამედ უპირველეს ყოვლისა მრავალტანჯულ, მრავალჭირნახულ, მშრომელ, პატიოსან მამაც და თავისუფლების მოყვარე, ავკარგიან ქართველებს... ლევან სანიკიძე თავის წიგნში "სავედრებელნი გიორგი ათონელისა" კარგად გადმოცემს ქართველი კაცის ბუნებას:

" სამი რამ მშვენიერებად და ჰაეროვნებად მოსდგამს ნათესავსა ქართველსა: წყობილნაკვთოვანება ანაგებისა, მზისფეროვნება კანისა, კეთილსურნელება სულისკვეთებისა.

სამი რამ ძლიერ ნიშატად მოსდგამს ქართველის სხეულს: სიმკვრივე კუნთისა, სიმტკიცე ძარღვისა, სიმხურვალე სისხლისა.

სამი რამ ძლიერ ნიშატად მოსდგამს ქართველის გულს: გულისხმიერება, გულწრფელობა, გულმოწყალება

სამი რამ კეთილ ნიშატად მოსდგამს ქართველებს სულ: დიდსულოვნება, დიდბუნებოვნება, დიდმეცნაობა.

სამი რამ ქველ ნიშატად მოსდგამს ნათესავ ქართველს: სიმამაცე, სიმართლე, სილაღე.

სამი რამ გამორჩეულ ნიშატად მოსდგამს ნათესავ ქართველს: პატივმოყვარეობა, სახელისმაძიებლობა, განცხრომისმოყვარეობა.

სამი რამ უკიდურეს მოყვარეობად მოსდგამს ნათესავ ქართველს: უცხოთმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა, ძლევისმოყვარეობა.

სამი რამ უძლურების ნიშატად მოსდგამს ნათესავ ქართველ: უძლურება თეთრკბილოვან მტრის გამოცნობისა, უძლურება თანმიმდევრობისა, უძლურება საიდუმლოს შენახვისა.

ქართველი არის შემწყნარებელი უცხო თესლისა, შეუწყანარებელი შინაური თანასისხლიერისა.

ქართველი არის შენმდომებელი უცხო თესლისა, დაუნდობელი შინაური თანასისხლიერისა.

ქართველი ფიქრობს: მე როდი ვიწყები საქართველოდან, არამედ საქართველო იწყება ჩემგან.

ქართველი არის გულმავიწყი ფრიადი, რადგან მარად ავიწყდება ის, რაც არასდროს არ უნდა ავიწყდებოდეს: საქართველო უყვარს ყოველ უცხო თესლს, მაგრამ ქართველი როდი უყვარს ყოველ უცხო მომსვლელს საქართველოში ვინაითგან მათ საქართველო უქართველოდ ესურვილებათ და თავისთვის ესურვილებათ.

მაგრამ, სამაგიეროდ, ფრიად გულმახსოვარიც არის ქართველი, ვინაითგან არასოდეს არ ავიწყდება ის, რაიც არასდროს არ უნდა ახსენდებოდეს: წყენა შინაური თანასისხლიერი ქართველისა და, თუნდაც ისეთი წყენა, ყრმობისას უნებურად ნემსით ნაჩხვლეტს, სიჭარმაგეში გულში შუბის ძგერებით რომ გადაუხდი: აი რა ახსოვს მუდამ და რა არ უნდა ახსოვდეს არასდროს ქართველს.

არასდროს ადამიანს არ ავიწყდება, რაც არ ახარებს, რაც ანაღვლებს, რაც გულს უკოდავს. და ქართველ კაცსაც არ ავიწყდება ქართველი კაცი, რადგან სიკეთე და ზეამაღლება არ ახარებთ ერთმანეთისა.

ამიტომაც ქართველი კაცი ქართველისაგან არის მუდამ განკერძოებული. განდიდების ცოფით მოსილი ქართველი კაცი განკერძოებით მიისწრაფვის განდიდებისაკენ.

ქართველს ნაკლებად უყვარს სიტყვა "ჩვენ", ანუ უკეთუ იტყვის "ჩვენს" შიგნით უფრო მაინც გულისხმობს "მე"ს..."

მაგრამ როდემდე ვიქნებით ასეთები? როდემდე გაგრძელდება ქართველის ქართველის წინააღმდეგ დაპირისპირება. მავანი შენიშნავს, რომ სხვა ერის წიაღშიც ყოფილა და ხდება ასეთი რამ.

არა, ქართველნი საარაკოდ გამორჩეულნი ვართ ამ მხრივ. ჩვენი მეზობელი სომხები კი პირიქით, საარაკოდ გამორჩეულნი ერთმანეთის გვერდში დგომითა და მხარდაჭერით.

რამდენიმე ათასი წელიწადია მიჰყვება ქართველი ხალხი თავის ისტორიულ გზას. ეს რამდენიმე ათასი წელიწადი თითქმის უტოლდება კაცობრიობის ცივილიზაციის ასაკს. ამ ხნის განმავლობაში მომხდარი ამბების, ისტორიული მოვლენების, წლების, საუკუნეების, ეპოქების ჯამი წარმოგვიდგენს კავკასიონთან მდებარე ქვეყნის სულიერ და ფიზიკურ სახეს. დღეს არავინ დავობს იმაზე, რომ კაცობრიობა შედის თავისი განვითარების ურთულეს ხანაში, მოქმედებენ მსოფლიო ურთიერთობის ახალი კანონები, იცვლება ცხოვრების წესი, სტილი, იცვლება ერთა შორის დამოკიდებულების შინაარსიც. ყოველ ქვეყანას თავისი ფუნქციის და თავისი, როგორც ერის, დანიშნულების გააზრება ესაჭიროება კიდევ ერთხელ, ახალი დროის გარემოცვაში. ეს გააზრება ძალთა შეფასებასაც გულისხმობს, ენერგიის მოსინჯვასაც, თვისებათა საგულდაგულო შემოწმებასაც, რადგან გასარკვევია დიდი, ძალიან დიდი პრობლემა რა სახით უნდა წარდგეს დიდ საკაცობრიო მეჯლისში ესა თუ ის ამ საუკეთესო ფორმის მისაღწევად რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ერის ოდითგან გამკრივებული ხასიათი.

საამისოდ კი აუცილებელი ხდება, ცალკეული ამბების, ისტორიული მოვლენების, წლების, საუკუნეების, ეპოქების ჯამი არის ერის ფიზიკური და სულიერი თვისებების შინაარსად გავიაზროთ, გავიაზროთ ქვეყნის ისტორიული გზა.

ამ გზაზე ქართველი ხალხი ბუნებით მომადლებულ თვისებებს ხვეწდა, მაღლდებოდა სულიერად და უმძიმეს სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლაში თუ ცხორებისეულ შეჯიბრებაში ღირსეულად ავლენდა თავის არსს.

ხალხის ზნეობრივი დაკნინების საფრთხე მუდამ არსებობდა და იარსებებს. ქართველ ხალხს ზნეობრივი დაკნინების დროებიც ახსოვს, როდესაც გადაგვარებისაკენ მიდრეკილი ბუნება საგანგაშო სიგნალებს გამოსცემდა. ეს ხდებოდა დამპყრობლის ვერაგული პოლიტიკის დაწოლით იძულებით, მაგრამ ფაქტია, რომ ხდებოდა და ქვეყნის სახეძირეულ ცვლილებებს განიცდიდა. ცვლილება ისეთ საზღვრებს აღწევდა, რომ ხალხი თავსაც ვერ ცნობდა ზოგჯერ.

ისტორიის გზა ყოველთვის რთუ-

# რანი ვიყავით და რანი ვართ

ლი გზაა, მისი დღე არ ემთხვევა მარტივ ტრაექტორიას მზის ამოსვლასა და ჩასვლას. ათასობით უცხო სხეული იჭრება ქვეყნის ორგანიზმში და ცვლილებები ყოველთვის მოსალოდნელია. ასეთ დროს შესაძლებელია საერთოდ მოდუნდეს ეროვნული სიფხიზლე. შესაძლებელია, საუკუნეების რომელიღაც მონაკვეთში მთლიანად ამოვარდეს თავისი ბუნებრივი კალაპოტიდან და თავისი სახე დაკარგოს, რაც ცხადია ფიზიკური განადგურებაზე უარესია. ფიზიკური განადგურება დიდ ისტორიულ უბედურებად გვევლინება, მაგრამ სამაგიეროდ ერი არსებობას წყვეტს თავისი ჭეშმარიტი სახის დაუკარგავად. გადაგვარებული ერი კი ფიზიკურ არსებობას განაგრძობს დანიშნულების გარეშე. არავის სჭირდება ასეთი ერი, რადგან მასში აღარაფერია საინტერესო, ანგარიშგასაწევი. იგი დროისა და ადგილს აცდენს ცის ქვეშ, ემსგავსება საექსპლოატაციო მიწას, სადაც მხოლოდ სხვები იმკიან მოსავალს.

საოცარი ერი ვართ ქართველები! ერთერთი უძველესი ერი ვართ, შევქმენით დიდებული კულტურა, მაგრამ მაინც ჯეროვნად ვერ ვაფასებთ ამას. უკანასკნელ პერიოდში კი სულ დავეცით, დავკნინდით, დავპატარავდით. ერთ დროს ამაყი და ქედმოუხრელი ქართველი დაკნინდა, სისხლი გაუწყალდა. ერი გადაშენების პირას მივიყვანეთ. დღეს დიდი ხნის ძილქუშიდან თავდაღწეულივით იმშუშნება და თვალებს იფშვნეტს ქართველი კაცი. რა მოხდა ? სადა ვარ? როგორ აღმოვჩნდი იქ სადაც ახლა ვარ? ეს ფიქრები ებადება მას, მაგრამ პასუხს ვერ პოულობს. კითხვები კი თანდათან იტოტება, მრავლდება. და რაც უფრო მეტად აღწევს თავს ძილბურანს, მით უფრო ცხადად იკვეთება ყველა ეს კითხვა. მტანჯველმა ეჭვმა შეიპყრო დღევანდელი ქართველი კაცი. ათასი მოვლენისა და ფაქტის შემყურეს, რომლებიც ქართველობის სრულ გადაგვარებას ამხელენ, ქართველი კაცი მწარე კითხვამ დაარეტიანა ნუთუ ასეთი იყო ოდითგანვე? შეცდომა ხომ არ იყო ქართველობით ამაყობდა და თავი მოჰქონდა?

მტანჯველ ეჭვს კი საკმაო საფუძველი აქვს. ეროვნული ხასიათი მუდმივ მოძრაობაშია. ეროვნული ხასიათი ერის განუყოფელი ნაწილია და მის გაჩენისთანავე მოძრაობდა საიმისოდ, რომ ჩამოყალიბებულიყო ქართველი კაცის რაობად, მიეღო საკუთარი ფორმა და შინაარსი. ასე გვევლინება იგი მარადიულ მოძრაობად, რომელიც არასოდეს შეჩერებულა. მისი თვისებები იყო მყარი იმ დღიდანვე, რა დღესაც ქართველობამ თავისი სახე, თავისი შინაარსი და ფორმა მიიღო, მაგრამ არ ყოფილა გაქვავებული, უძრავი, რადგან თვისებების სიმტკიცე არ ნიშნავს მათ უცვლელობას, უძრაობას.

ასე მოძრაობდა და მოძრაობს ქართული ეროვნული ხასიათი, ვლინდებოდა დროისა და ადგილის, სიტუაციისა და ვითარების შესატყვისად, რომლებიც ამ ეროვნულ ხასიათს კონკრეტულ დროსა, ფორმასა და შინაარსში აქცევენ. ან დაამცირებენ ან განადიდებენ მას, ან გადაგვარებენ ან გამოაბრწყინებენ... სწორედ სიტუაციის, შინაგანი და გარეგანი მდგომარეობის მიხედვით ექცევა ეროვნული ხასიათი ხშირად წნეხის ქვეშ და გასრესის საფრთხე ემუქრება. ამიტომ ვლინდება იგი ათასგვარად და აქედან გამომდინარე არ უნდა ველოდებოდეთ მტკიცე თვისებების მომიდენი მის უცვლელობას და მარადიულად გაქვავებულ პოზაში დგომას. უნდა ველოდებოდეთ ხასიათის მოძრაობას და ვსწავლობდეთ ქართველებმა როდის, სად, რის გამო ვლინდებოდა და ვლინდება ეროვნული ხასიათი რიგ შემთხვევებში საამაყოდ, ხოლო რიგში სამარცხვინოდ. საამისოდ საჭიროა ვიცოდეთ თავდაპირველად არსი ქართული ხასიათისა, მისი მყარი თვისებები, სწორედ ის თვისებები, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში გამკვრივდა ქართველ კაცში და რომლებიც ერის რაობას საბოლოოდ კრავს.



რანი ვართ ქართველები? რანი ვიყავით გუშინ? რანი ვიქნებით ხვალ? აი კითხვები, რომლებიც მუდამ აწუხებდა ქართველი კაცის გონებას. იგი იყო დავითისა და თამარის შემაწუხებელი კითხვა, იგი აშფოთებდა დავით გურამიშვილსა და ვახუშტის, აწამებდა აკაკის, ილიასა და ვაჟას...

სამწუხაროდ, მსოფლიო არ არის რაინდი, და არც ოდესმე ყოფილა ასეთი. მას არ ძალუძს რაინდივით ჯავშანი ჩაიცვას თუნდაც დაფლეთილი, მუზარადი დაიხუროს თუნდაც გატეხილი და წვერდაჟანგული შუბით ხელში გაიჭრას სამართლიანობის აღსადგენად. უკვე რამდენი ათასი წელია არსებობს კაცობრიობა, მაგრამ იგი ჯერაც არ ამაღლებულა დონკიხოტის სულისკვეთებამდე... მსოფლიო მკაცრი რეალისტია, ანგარიშიანი, თავკერძა და ეგოისტი. მხოლოდ ხანდახან თუ გაიელვებს დონკიხოტის ამაღლებული იდეალები, რომელსაც კაცობრიობა ვერა და ვერ დაეუფლა.

როდესაც ქართველი ერის ბედზე ფიქრობ, შენს წინაშე წარმოუდგენელი არსისა და მასშტაბის სურათი წარმოგიდგება, რომელიც ურთიერთ დაპირისპირებებით არის აღსავსე. გგონია, აჰა, აღზევდა ერი, არწივით მოედო ხსოვნის კაბადონს, მოიხილა მიზეზშედეგთა ასხმა წარსულიდან აწმყომდე, აწმყოსაც გასცდა და გაანათა გაურკვევლობით მოცული თვალსაწიერი მომავლისა. მაგრამ, სინამდვილეში ერს მატლივით უცოცია იქ, სადაც მყობადს ეხება.

სამწუხაროდ წარსულის ანალოგიები მომავალს აღარ გამოადგება. სამწუხაროდ, ფანტაზია და ოცნება სინამდვილეში აგვერია და ვერ მივმხვდარვართ, რომ ბედი ერისა კიდევ უფრო დიდი ბნელითაა მოცული, ვიდრე ცალკეული ადამიანის ბედი. ჩვენი ხედვის არეში, და ისიც ნაწილობრივ, მარტოოდენ გარდასული ჟამი და აწმყოა მოქცეული, მოულოდნელობებით აღსავსე მომავალი კი ისე გვიახლოვდება, რომ არც კი ვუწყით, თუ რა მოაქვს, რა არის დაფარული მის წიაღში; ადამიანმა არ იცის, თუ ვინ უმზადებს სიკეთეს ან დანას ლესავს მისთვის. ასევე მოვლენათა ფარულმა პროცესმა შესაძლოა მოულოდნელად ჩინებული ტაროსი დაუყენოს ერის ცხოვრებისა და კულტურის სავარგულებს, ან პირიქით, დასათავთუხებელ ჯეჯილს სეტყვა და მახვილი მოუვლინოს.

რადგან საქმე კონკრეტულად საქართველოსა და ქართველ ერთან გვაქვს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შემთხვევით არ უთქვამთ ქართველებზე “მებრძოლნი შავი ბედისაო“. ეს ასე იყო, ასე არის და ასე იქნება, სანამ ბედისწერას ჩვენთვის ძნელად გასაძლისი გამოცდების ჩატარება არ მობეზრდება. ღმერთმა სიკეთე ნუ მოგვაკლოს, მაგრამ თუ მომავალში თავს გარდასახდენი ფათერაკი გარდუვალია, თუკი მიუხედავად ჩვენი მონდომებისა და თავდადებისა “ბინდისფერი სოფელი უფრო და უფრო ბინდდება“, ნურც მომხდარიყო ის, რაც აქამდე მომხდარა. დაე განსაცდელთან მებრძოლებად დავრჩეთ მარად და ჩვენი კეთილდღეობა ხმლით ხელში ვჭედავდეთ. უარესისათვის მზადყოფნა ხომ უკეთესის საწინდარია.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ უფალს ვინც უყვარს, განსაცდელსაც მას უმზადებს, ვინაიდან განსაცდელთა ემბაზში განბანილთა ჭვრეტაა მისი განცვიფრებისა და აღფრთოვანების უშრეტი წყარო.

წარსული და აწმყო ჩვენი ერისა მეტად თუ ნაკლებად ცნობილია, ათასგზის და ათასგვარად გაანალიზებული და საქართველოს და ქართველი ერის მისია მთელი რიგი მეცნიერთა თუ საზოგადო მოღვაწეების მიერ შესწავლილი და დამუშავებული იქნა. ერის მისია კი განისაზღვრება სხვებისაგან გამოსარჩევი იმ თავისებურებით, იმ განსაკუთრებულობით, მის ხასიათში, მის საქმიანობაში, მისგან მომდინარე იდეებში რომაა მოცემული და რომელიც მას მიაქვს მსოფლიო კულტურის სამსხვერპლოზე, როგორც შეთავაზებული, ზოგჯერ კი საუბედუროდ, როგორც თავს მოხვეული ძღვენი.

დიახ, ასე თუ ისე ძალგვიძს განსაზღვრა იმისა, რითაც წარსულმა გვიმასპინძლა, თუ რანი ვიყავით უწინ და რანი ვართ ამჟამად. მაგრამ წარსულზე ფიქრი მომავლისათვის მზადყოფნასაც ხომ ნიშნავს? ჩვენ გვაწვალებს არა იმდენად წარსული, რამდენადაც გარდასახდენი ანუ მომავალი? როგორი ვიქნებით მერმისში? კვლავაც იმგვარი შემართებით შევეგებებით ბედს, თუკი მრუშე ფერით შეიმოსება იგი? კვლავ თავის შენარჩუნებაზე გვექნება საფიქრალი თუ იმდენად ავმაღლდებით და ისეთ ძალას მოვიკრებთ, რომ სხვათა იმედად და ხელის მომმართველადაც კი გადავიქცევით? კმარა წელებზე ფეხის დადგომით თავის შენარჩუნებაზე ფიქრი. დროა დიდ ერად ქცევაზე ოცნების ჟამმა დარეკოს. დაე, არწივის გაფრენას ედაროს ოცნება იგი, რათა ოცნება მიზნად იქცეს, მიზანი კი საქმედ!!!

ჩვენ ხშირად გვიწოდებენ “მცირე ერს“, რასთან დაკავშირებით ალბათ საჭიროა ორიოდე სიტყვა ვთქვათ “დიდი ერის“ ჩემეულ გაგებაზე.

“დიდი“ს ქვეშ ჩვეულებრივ გულისხმობენ როგორც რაოდენობით, ფართობით თუ სხვა ზომებით განსხვავებულ, ისევე მისაბაძს, სამაგალითოს რაიმე მოვლენასა და გარემოებას. მაგრამ ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ “დიდი“ არ არის სამუდამო პრივილეგია და შეიძლება ერთ მომენტში დაკარგულ ან შეძენილ იქნას. როდესაც ამბობენ “დიდი ერი“ ჩვეულებრივ გულისხმობენ იმ უპირატესობას, ამა თუ იმ ეროვნებასა თუ ხალხს თავისი მონდომებით, ქცევითა თუ საქმიანობით ხასიათად და მაღალ უნარებად რომ გადაუქცევია. ეს თვისებები მისაბაძი ხდება სხვებისათვის. მაგრამ ის ხალხები, დღეს რომ მისგან სწავლობენ და ბევრით არიან დავალებულნი, ხვალ შესაძლოა გაუთანასწორდნენ მას, რისი მაგალითებითაც აღსავსეა ისტორია.

‘სამწუხაროდ ჩვენ არა ვართ რაოდენობით ან ტერიტორიით გამორჩეული ერი დიდი ერი. მაგრამ სულიერი სიმტკიცით, ისტორიითა და კულტურით ჩვენ უეჭველად ერთერთი უდიდესი ერი ვართ. სისასტიკითა და ხანგრძლივობით, რომელი ქვეყანა თუ ერი შეედრება იმ მკაცრ გამოცდებს, ჩვენს შესამუსრად ალესილმა უსასრულო წყვიადმან მტრისამან რომ მოგვიწყო და საუკუნეების მანძილზე რომ მოგწყვიტა ერთმორწმუნე ევროპასა და ცივილიზაციის განვითარების კერებს.

და თუ კი შეიძლება სარწმუნოების, მეობის, კულტურის, სახელმწიფოებრიობისა და არსებობისათვის ბრძოლისათვის რომელიმე ერს ეწოდოს “დიდი“, ეს უპირველეს ყოვლისა ქართველებს ეხება.

მაგრამ ქართველები დიდ ერად არავის შევურაცხივართ, რადგან დიდ ერად მიაჩნიათ არა ის, ვინც საკუთარ ღირსებასა და მეობას იცავს მხოლოდ, რაგინდ ვაჟკაცურადაც არ უნდა იბრძოდეს იგი, არამედ ის, ვინც თავისი კულტურითა და იდეებით ხანგრძლივად და ინტენსიურად ზემოქმედებს სხვა ხალხებზე და განაპირობებს მათ განვითარებას. მაგრამ ის გარემოება, რომ ჩვენ ვერ მოხვდით მსოფლიოს დიდ ერთა მცირერიცხოვან ნუსხაში, ეს როდი ნიშნავს იმას რომ არ ძალგვიძს ამგვარი რამ.

საკუთარი მეობისა და ღირსების დაცვისათვის ბრძოლაში სამაგალითო ქართველ ერს სხვებზე ნაკლებად როდი ხელეწიფებოდა მეთაურ ერად გადაქცევა, მაგრამ განგებამ და ისტორიამ ჩვენ სულ სხვა მისია დაგვაკისრა. ჩვენი მეობის, რწმენისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებით რამდენადმე უნდა გაგვეთიშა მუსულმანური გარემოცვა, ჩაგვეკეტა კავკასიონის კარიბჭე და აღგვეკეთა ანტიკულტურული იმპულსების შემოჭრა სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ევროპაში. ეს გახლდათ საქართველოს და ქართველების ფარული მისია, ძნელად აღსასრულებელი და საკუთარი კეთილდღეობისათვის არასახარბიელო, მაგრამ მსოფლიო კულტურის განვითარებისათვის აუცილებელი. მხოლოდ იმისათვის რომ ქართველებმა შეძლეს ამ მისიის შესრულება, მათ შეიძლება ეწოდოს “დიდი ერი“ და ეს ალბათ ასეცაა უფლის თვალში. მაგრამ მსოფლიოს წინაშე საქართველო არაფერს წარმოადგენს. მან ვერ დაინახა, თუ ქართველთა საქმეთა გამო რისი გაკეთება ვერ შესძლეს რეგრესულმა ძალებმა. მსოფლიომ მხოლოდ ის დაინახა, ვინც უფრო განავრცო თავისი იდეები და კულტურა სხვა ხალხებში და ამით ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა მიანიჭა მათ.

სამწუხაროდ, ჩანს უფრო ხილული და არა ფარული სიკეთე. კულტურულისტორიული მისიის თვალსაზრისით საქართველო უფრო დაფარული სიკეთის ქვეყანაა, რომლის დანიშნულება თვით მის მრავალ საუკეთესო შვილსაც არ ჰქონია ბოლომდე გაცნობიერებული. ცნობილია ევროპულ ფილოსოფიაში არსებული აზრი კავკასიის უძველესი მისიის შესახებ სახელდობრ ის, რომ კავკასია ევროპელ ხალხთა და მათი კულტურის აკვანია. ცნობილია სახელგანთქმული ფილოსოფოსის იმანუელ კანტის აზრი ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობის გაკეთილშობილების საქმეში ქართველთა და ჩერქეზთა (ქრისტიან ჩერქეზთა) დიდი

# საქართველო გიყვარდეთ!

როლის თაობაზე.

მაგრამ იმ ამბავს, რომ ოდითგანვე საქართველო იდგა უძველეს სამხრეთელ და უახლეს ჩრდილოელ ხალხებს შორის და თავისი მეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლით არ აძლევდა მათ აღრევის საშუალებას, რათა არ დარღვეულიყო ერების კულტურათა მონაცვლეობისა და თანამიმდევრობის ურყევი მსოფლიო კანონი, უწყოდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც დროისა და ერის სულთა ფარულ, ურთიერთშეთანხმებულ ქმედებათა წვდომა შეეძლო. კულტურათა მონაცვლეობის ეს წრიული დინების ჯერ სამხრეთიდან მოერკალა საქართველოს, ანტიკურ პერიოდში დასავლეთიდან მოექცა მას, შემდეგ შუა ევროპაში გადაინაცვლა და როდესაც გლობალურ მასშტაბებამდე აღზევებული ევროპული კულტურის შესისხორცება ბას შეუდგა რუსეთი, ჩრდილოეთიდან წამოადგა თავს. ასე რომ საქართველო კულტურათა თანამიმდევრობისა და ცნობიერების ევოლუციის ამ წრიული დინების ცენტრში იმყოფებოდა.

საქართველო მუდამ ცენტრში, უჩინარი გლობალური საათის ისრის უძრავ ფუძესთან იმყოფებოდა, ჟამთა მსვლელობაში ხალხების კულტურათა ურთიერთმონაცვლეობის წრიულმა ხაზმა რომ შემოუარა გარს. თითქოს მარადისობას ნაზიარები, უძრაობის სიმაღლიდან ჭვრეტდა იგი ჯერ უძველეს, შემდეგ ანტიკურ, შუა საუკუნეების და სხვა კულტურებს, ვინაიდან ყველა მნიშვნელოვან კულტურებთან ჰქონდა შეხება და გულში იმარხავდა მათგან მომდინარე იმპულსებს.

ნებისმიერ ერს გააჩნია თავისი საკუთარი მისია და შემოქმედების თავისი დრო, რომელიც განფენილია ჟამთა დინებაში. კაცობრიობას განვითარების თავისი კანონები აქვს: როდესაც ერთი ერი ქმნიდა კულტურას და შემოქმედებითი ენერგიის ხარჯვის პროცესში იმყოფებოდა, მეორე იცდიდა, გარკვეულ დრომდე ცნობიერების ბავშვურ დონეს ინარჩუნებდა და შემოქმედებით ენერგიას ინახავდა შემდგომისათვის, რათა მარცვალი წინა კულტურათა მონაპოვრისა მიეღო თავის სუფთა, ხელუხლებელ წიაღში, უფრო აღმატებულ დონეთა დასაუფლებლად. უხსოვარი დროიდან ინდოეთის, სპარსეთის, შუამდინარეთის, ეგვიპტის, არაბეთისა და ისრაელის სამხრეთელმა მოსახლეობამ ერთმანეთის მიმდევრობით შექმნეს მსოფლიოს უდიდესი რელიგიები და კულტურები, რომელთაც იგავურსიმბოლური, სურათხატოვანი აზროვნება მიუსადაგეს.

მსოფლიოს წამყვან კულტურათა თანამიმდივრობის ჟამს, ზღაპრების საუფლოში მიკარგული და მხოლოდ კიევისა და ნოვგოროდის სამთავროთა შექმნიდან რუსეთად სახელდებული, სკვითეთი იცდიდა. ბერძნული მართლმადიდებლობის მიღებამ თუმცა რამდენადმე გამოაცოცხლა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გამოიყვანა იგი ძილქუშიდან, ვერ მოაბრუნა დღის ცნობიერებისაკენ. მისთვის განწესებულ დროს ელოდა იგი, ელოდა ვიდრე მსოფლიო კულტურა გლობალურ მასშტაბებს მიაღწევდა, რათა ეროვნული საფშვინველის გაუკვალავ ყამირზე მიეღო იმპულსები გლობალური ახალევროპული კულტურისა. მანამდე კი იგი დაცული უნდა ყოფილიყო ქრისტიანამდელი რელიგიებისა და კულტურების ზეგავლენისაგან.

ხალხი, რომელიც კულტურათა თანმიმდევრობის პროცესში ყველაზე მეტს იცდის და ინახავს შემოქმედებით ენერგიას, უფრო მასშტაბური კულტურის იმპულსთა მისაღებად ამზადებს თავს და ცხადია, წინარე, უკვე კონსერვირებული კულტურების მქონე ხალხებთან შედარებით, მომდევნო ეტაპზე მან სულიერი განვითარების კიდევ უფრო მაღალ დონეს უნდა მიაღწიოს.

ოდესღაც მეზობლების მიმართ არააგრესული, მაგრამ აგრესორთა წინააღმდეგ მედგრად მებრძოლი საქართველო გამორიცხავდა სკვითეთში სამხრეთელი ხალხის შეჭრას და სლავურ კულტურაზე და ყოფაზე მათი უძველესი კულტურების ზეგავლენას, რაც ხელს შეუშლიდა რუსეთს თავისი კუთვნილი და საბოლოო მისიის განხორციელებაში.

შემდგომში ქართველები და სომხები იდგნენ კავკასიონის კარიბჭის დარაჯებად როგორც სამხრეთაღმოსავლეთისაკენ წაწეული ფორპოსტები ქრისტიანობისა და აკავებდნენ ისლამურ ურდოებს. სწორედ მათ ფარზე ბლაგვდებოდა სიბასრე ისლამის მახვილისა, სწორედ ისინი აცლიდნენ მათ კავკასიონის იმიერ მოქმედების უნარს. მიუხედავად იმისა, რომ მეათე საუკუნის შემდეგ სომხეთი, როგორც სამეფო, აღარ არსებობდა, მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საუკუნეების მანძილზე აუტანელი რელიგიური დევნის მიუხედავად, სომხებმა მაინც შეძლეს ქრისტიანობისა და თავისი მეობის შენარჩუნება. საინტერესოა, ზემოხსენებულ ისლამურ ურდოებს ისევე ხანგრძლივად რომ ეთარეშათ რუსეთში, როგორც კავკასიაში დათარეშობდნენ, შეძლებდა კი იგი ქრისტიანობის შენარჩუნებას? გაუძლებდა კი იგი იმგვარ რელიგიურ დევნას, ქართველებმა რომ იწვნიეს, მით უმეტეს რომ რუსეთში ქრისტიანობა არცთუ დიდი ხნის წინათ გახლდათ ფეხმოკიდებული? ხომ შეძლეს სამხრეთელმა დამპყრობლებმა ჩრდილოეთ კავკასიის გამუსულმანება? ხომ შესაძლებელია, ამგვარი ხვედრი რუსეთსაც არ ასცდენოდა, რადგან ეს ურდოები არა მარტოოდენ დამპყრობლურ, არამედ გააფთრებულ რელიგიურ ომებსაც ეწეოდნენ და თავიანთ რელიგიას ფანატიკური გულმოდგინებით ახვევდნენ თავს არამუსულმან ხალხს. ქრისტიანობის დაკარგვით კი წერტილი დაესმებოდა რუსეთის კულტურის შემდგომ ევოლუციას.

მოგვიანებით, თურქეთის იმპერიას, ევროპას რომ აზანზარებდა და მისი შუაგულის, ვენის აღებას რომ ლამობდა, რუსეთისაკენ გზას კავკასიონი და მისი მარადი მცველი საქართველო ულობავდა. ბიზანტიის იმპერიის მსგავსად თურქებს რომ საქართველოს სამეფო თავის მხარეზე გადმოეყვანათ, ვინლა შეუშლიდა ხელს თურქებს ამიერკავკასიის ხალხებთან ერთად თავიანთი იმპერიისათვის შემოემტკიცებინათ ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანი ერები და უშუალოდ დაკავშირებოდნენ ყირიმის სახანოს. მაშინ ხომ მთელის ძალებით და ფართო ფრონტით მიადგებოდნენ თურქები რუსეთს, პეტრე I-ლამდელ რუსეთის სამეფოს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰყავდა ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი ჯარი და ყირიმის სახანოსაც კი ძლივს უმკლავდებოდა.

პეტრე I-ის მიერ ჩატარებულ რეფორმებთან ერთად დასრულდა საქართველოს ფარული მისია რუსეთის მიმართ, გარეგნულად თითქმის მთელი მისი ისტორიის მანძილზე უმძიმეს პირობებში საკუთარი ღირსების, მეობის, სარწმუნოების და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის რომ გამოიხატებოდა. ამ მისიას, როგორც ადრე აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო კულტურის შემდგომი ევოლუციისათვის. ამის შემდეგ ქართველი ხალხის მომავალი მთლიანად არის და იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეძლებს იგი თავისი ახალი, არა ფარული, არამედ უკვე თვალსაჩინო მისიის განხორციელებას, რათა მსოფლიოს ხალხთა თვალშიც იქცეს მისაბაძ ერად. დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია თავის ერთერთ წერილში აღნიშნავდა: ქართველი ხალხი უფრო აღმქმელი, მსოფლიოს კულტურის უფრო მაღალ დონეზე ამთვისებელიაო, ვიდრე სხვა ხალხთა კულტურებზე აქტიურად ზემოქმედიო.

მართლაც, ოდითგანვე ქართველობამ მაღალ დონეზე აითვისა და ურთიერთთან შეაჯერა დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურები. სხვადასხვა კულტურების ურთიერთთან შეჯერების მადლი ძველთაგანვე მოსდგამდა მას და ამიტომაც რენესანსის ერთერთი პიონერები ქართველები იყვნენ. რენესანსის კულტურის



თავური იდეა წარმართული კულტურის განახლება და აღორძინება ქრისტიანობასთან მისი მორიგებით. არსად ისე არ შეზრდია ქრისტიანობას ადგილობრივი წარმართობა, როგორც საქართველოში. ქართველ კაცს არ მიუღია ქრისტიანობა თავისი კოსმიური და კაცობრიული წარმოდგენებისაგან მოწყვეტით. თავად ხალხმა იმგვარად შეაჯერა ქართული წარმართული მითოლოგია ქრისტიანობასთან, რომ მსგავსი მაგალითი არც ერთი ერის კულტურაში არ გვხვდება. სად ნახავთ ისეთ შემთხვევას, რომ ერთსა და იმავე მითში შევხვდებით ქრისტეს, ამირანს ქართულ პრომეთეს და ნადირობის წარმართულ ღვთაებას დალის. წარმართული ხატობები, წარმართი გმირები კოპალა, იახსარი, გიორგი მჭიდროდ დაუკავშირდნენ ქრისტიანობას და ქართველი კაცისათვის მისი მრწამსის განუყოფელ ნაწილად იქცნენ.

ამიტომაც გასაკვირი არ არის საქართველოს როლი რენესანსის კულტურის, განსაკუთრებით კი ადრეული რენესანსის განვითარებაში. რენესანსის თავური იდეა, ხომ ქრისტიანობისა და წარმართული კულტურის სინთეზი გახლავთ. გასაკვირი არ არის ქრისტიანული თეოლოგიის ერთერთი ფუძემდებლის ფსევდო დიონისესა და დიდი ქართველი მოღვაწის პეტრე იბერის იგივეობა, რაც ამჟამად მსოფლიოს მრავალმა გამოჩენილმა მეცნიერმა აღიარა. შემთხვევითი არ არის საქართველოს როლი ბუდიზმის ქრისტიანობასთან შერწყმის საქმეშიც, "სიბრძნე ბაჰლავარისა"სა დასავლეთში გავრცელებასთან დაკავშირებით; გასაკვირი არ არის აგრეთვე აღმოსავლური სიბრძნით გამსჭვალული იგავთა წიგნის "ქალილა და დამანა"- ს თარგმანის ქრისტიანიზება სულხან-საბა ორბელიანის მიერ. არ არის შემთხვევითი არც ჩვენი დიდი მეფის დავით აღმაშენებლის მუსულმანურ სალოცავებში სიარული და ფართო ინტერესი მსოფლიოს ხალხთა კულტურებისადმი, არც ლაშა-გიორგის კავშირი რაინდების დიდ მიმდინარეობასთან.

მაგრამ განსაკუთრებულ საოცრებას ამ თვალსაზრისით მაინც "ვეფხისტყაოსანი" წარმოადგენს. მაშინ როდესაც ქრისტიანობის ბურჯ ქვეყანაში, ბიზანტიაში, იმპერატორმა ალექსი კომნენმა მხარი დაუჭირა ორთოდოქსალურად განწყობილ სამღვდელოებას და კატეგორიულად აუკრძალა ორ ბერძენ სწავლულს, მიქაელ პსელოსს და იოანე იტალოს, აღემაღლებინათ ბიზანტიელთა აზროვნების დონე ქრისტიანობის პლატონიზმთან და არისტოტელიზმთან სინტეზის გზით, მეზობელ პატარა საქართველოში რუსთაველმა ქართველი ხალხისათვის განსაცვიფრებელი სინთეზი განახორციელა, ამასთან უფრო გასაგებ პოეტური ფორმის გზით. "ვეფხისტყაოსანი" წარმოადგენს ქართული პოეტური გენიის პრიზმაში გარდატეხილი გასაოცარი სინთეზი ღრმადნაციონალური, ანტიკური (პლატონი, არისტოტელე, ნეოპლატონიზმი), ადრექრისტიანული და ქრისტიანულთეოლოგიური (არეოპაგეტიკა), ქრისტიანულმართლმადიდებლური, ევროპის რაინდული, ძველჰინდური (პარალელი "რამაიანა"ს სიუჟეტთან), ძველსპარსული ("ავესტა"), მანიქევლური და შედარებით გვიანაღმოსავლური კულტურების.

მიუხედავად ერთობ გამორჩეული კულტურულისტორიული მისიისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს არც მსოფლიო მნიშვნელობის რელიგია მიუცია კაცობრიობისათვის, არც თეოსოფიურთეოლოგიური და ფილოსოფიური სისტემები შეუქმნია ინდოეთის, საბერძნეთის, ჩინეთის, იტალიისა და გერმანიის მსგავსად, არც მსოფლიო მნიშვნელობის იურისპრუდენცია რომის იმპერიის მსგავსად, არც ლიტერატურისა და ხელოვნების უმთავრესი ჟანრები და ფორმები, არც თანამედროვე მეცნიერული სისტემები. მართლმადიდებლური ლიტურგია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ერთერთი შემქმნელი, ბასილი დიდი წარმოშობით ქართველური ტომიდან, კაპოდოკიელი იყო, მაინც ბიზანტიამ მისცა საქართველოს და მთელ რიგ ქვეყნებს, რამეთუ იაონე ოქროპირმა და ბასილი დიდმა ბიზანტიის კულტურის წიაღში, ბერძნულ ენაზე აღმოაცენეს იგი. ქრისტიანული თეოლოგიის ბურჯი, ფსევდოდიონისეს ქართველობის გამო, არ ვიცი, გვაქვს თუ არა უფლება მისი თხზულებები ქართული თეოლოგიის ნიმუშებად მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ პავლე მოციქულისა და დიონისე არეოპაგელის მიერ ათენში დაარსებული ეზოთერული სკოლის ტრადიციებზე არიან აღმოცენებულნი. უთუოდ დიდი მოაზროვნენი, ანტიკური ფილოსოფიის ღრმა მცოდნენი და ქრისტიანული თეოლოგიის ღირსეული მოღვაწეები იყვნენ ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი, მაგრამ მათ მხოლოდ ქართული ფილოსოფიური სკოლისა და ადრეული რენესანსის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან და არა მსოფლიო მნიშვნელობის თეოლოგიურსქოლასტიკური და ფილოსოფიური სისტემების შემქმნელები.

მაგრამ ამასთან მთელ რიგ მნიშვნელოვან დარგში ჩვენ ვყოფილვართ პიონერები, მაგრამ აქვე ერთ პარადოქსულ გარემოებასთან გვაქვს საქმე. ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, რო-

>>> მე-17 გვერდიდან

# ვინც იქით და ვინც აქეთ საქართველო მიყვარდეთ!

გორიც მედიცინაა უხსოვარ დროში საქართველომ შესძინა მსოფლიოს, თვითონ მისი სახელი "მედიცინა"ც ხომ კოლხეთის მეფის ასულის მედეას სახელთანაა დაკავშირებული. მაგრამ თანამედროვე მედიცინის მეცნიერულ მიღწევებს ევროპამ გვაზიარა; მეტალურგიაც ხომ ხალიბთა ქართულმა ტომმა შესძინა მსოფლიოს, მაგრამ თანამედროვე მეტალურგიის მიღწევები კვლავ ევროპიდან შემოვიდა ჩვენში; მრავალხმიანი მუსიკის უძველეს კერებად ხომ საქართველო და ირლანდიაა აღიარებული (უძველეს პერიოდში მონათესავე ერები, რომელთა შესახებ გაზეთის შემდეგ ნომრებში გვექნება საუბარი), მაგრამ თანამედროვე მუსიკის მსოფლიოში აღიარებული ჟანრები და ფორმები კი ისევ ევროპამ შეგვძინა.

სამწუხაროდ, რაშიც პიონერები, მასწავლებლები ვიყავით, შეგირდები გავხდით; რასაც მანამდე სხვას ვასწავლებდით, ახლა ჩვენ თვითონ ვსწავლობთ, ამასთან ჯერჯერობით იმდენად ვერ განვითარდით, რომ კვლავ მასწავლებელებად ვქცეულიყავით. რას ნიშნავს ეს ამბავი? ნუთუ მართლაც არა ქმედითი, არამედ მხოლოდ ჭვრეტითი ელემენტია ძირეული მახასიათებელი ქართული კულტურისა, სხვათა კულტურების საფუძვლიანი ათვისებისა და სინთეზის იქით, რომ არ მიდის? ხომ თვალნათლივ ვხედავთ, რომ ჩვენსავე წიაღში აღმოცენებული იდეებით, სისტემებითა და ფორმებით იმდენად ვერ ვიმოქმედებთ სხვა ერებზე თუ ხალხებზე, რომ "დიდ ერთა" შორის შევერაცხეთ? მაგრამ ეს მიზეზი ქართული კულტურის ამგვარ მახასიათებლად მაინც ვერ გამოდგება. საქართველოს მუდამ შეეძლო კულტურათა ათვისების და სინთეზის ეტაპიდან სხვებზე ზემოქმედ საწყისამდე აღზევება, რასაც მისი ისტორიის ხანმოკლე მშვიდობიან პერიოდთა მიღწევები ღაღადებენ. უფრო მნიშვნელოვანი მიღწევებისათვის კი საჭირო უფრო ხანგრძლივი მშვიდობიანი ცხოვრება, რომელიც სრულიად წარმოუდგენელი და შეუძლებელი იყო იმჟამინდელ გარემოცვაში.

საქართველო... უკვე მერამდენე ათასწლეული მოედინება ეს ფენომენი (თითოეული ქვეყანა ხომ თავისებური ფენომენია) კაცობრიობის ეკლითა და ნარით მოფენილ გზატკეცილზე. ხშირად ჩვენ, ქართველები ვიძახით, რომ ისტორიით, წარსულით ვცხოვრობთ, წარსულის ანალოგიებს ვავლებთ და ხეკლდაკრეფილები წარსულ დღეთა დიდებაზე ვოცნებობთ. სამწუხაროდ, ეს მწარე რეალობაა. მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმასაც, რომ ზურგი შევაქციოთ ჩვენს ისტორიას, წარსულს, მით უმეტეს ისეთს, როგორიც ჩვენ გაგვაჩნია. ჩვენი ისტორია, ხომ კაცობრიობის ისტორიის ტოლია.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ვილჰელმ ჰუმბოლდტი ბასკური ენის სფეროში და პირენეის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის ვინაობის კვლევის სფეროში ჩატარებულმა გამოკვლევებმა, მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოხტონური მოსახლეობა იყო იბერიული ანუ როგორც მას ახლა პირობითად უწოდებენ ე.წ. პროტოიბერიული. ამ მოდგმის ხალხთა განსაზღვრისათვის, მეცნიერებაში აგრეთვე მიღებულია ტერმინი ხმელთაშუა ზღვის რასა, მედიტერანული რასსა ანუ მედიტერანული მოდგმა. ზოგჯერ მედიტერანული რასის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი პალეოკავკასიური რასა ანუ უძველესი კავკასიური მოდგმა.

საუბარია იმ მოსახლეობაზე, რომელიც სახლობდა პირენეების ნახევარკუნძულიდან მთელს ხმელთაშუა ზღვის აუზში, აპენინებზე, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთის, კავკასიის და ჩრდილოეთ ინდოეთის ტერიტორიებზე, აგრეთვე მცირე აზიაში და პალესტინაში.

სწორედ ეს არის პროტოიბერიული რასის გავრცელების არეალი, რომელსაც ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევების მიხედვით ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა ამ მოდგმისა იყო ერთი ძირითადი, რომელსაც მრავალი დიალექტური განშტოება ჰქონდა და თუ ეს განშტოებები დროთა განმავლობაში ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი მაინც ენათესავებოდნენ ერთმანეთს და ვითარდებოდნენ როგორც ურთიერთმონათესავე ენები. ამიტომ ასეთი მონათესავე ენების აღსანიშნავად დამკვიდრდა ტერმინი პროტოიბერიული ენა, რომელთანაც დაკავშირებულია ხმელთაშუა ზღვის მთელი აუზის უძველესი მოსახლეობის ენები ბასკური, ლუზიტანური, ტრუდეტანული, ეტრუსკული, პელაზგური და სხვა, რომელთაც დიდი მეცნიერების ნიკო მარის და მიხეილ წერეთლის დაუღალავი შრომის შედეგად დაემატა მცირე აზიის, მესოპოტამიის უძველესი მოსახლეობის შუმერების და მათი ენის გამოკვლევა და ქართულისა და შუმერული ენების გენეტიკური ნათესაობის ჰიპოთეზა.

ნიკო მარის გამოკვლევების მიხედვით მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ პროტოიბერიულ მოდგმას მიეკუთვნებოდა და მესხები (მოსხები), კაპადოკიელები, კოლხები, ხალიბები, მოსინიკები, ტაოხები და სხვები წარმოადგენენ ამ მოდგმის ერთერთ შემადგენელ ნაწილს. ასე რომ, ყოველი ეს ტომი პელაზგური, ეტრუსკული, კრეტული, კაპადოკიული, მესხური და სხვა არის განშტოება ერთი და იმავე დიდი მოდგმისა, რომელსაც პროტოიბერიული მოდგმა ეწოდება, ხოლო საქართველო, და საკუთრივ ქართველები, წარმოადგენენ კავკასიაში ლოკალიზებული ამ მოდგმის შთამომავალთ. პროტოიბერიულს გააჩნდა უამრავი განშტოება, მაგრამ დღესდღეობით შემორჩენილია მხოლოდ ორი: პირინეულიბერიული ანუ ბასკური და ქართული და მისი მონათესავე ენები ჩრდილოეთ კავკასიაში. დანარჩენი განშტოებები ასიმილირებული ან განადგურებული იქნა ჩვენს წელთაღრიცხვამე 2 ათასწლეულში ხმელთაშუა ზღვის აუზში შემოჭრილ ინდოევროპული ტომების მიერ.

ვ. ჰუმბოლდტისა და ნ. მარრის გამოკვლევების მიხედვით, იაფეტიდი იბერები ალავსებდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზსს და შუმერული, მინოსური, პელაზგური, ეტრუსკული და სხვა კულტურები მათი შექმნილია.

მეცნიერების მიერ პროტოიბერული მოდგმის ზეობის ხანად მიიჩნევენ ეპოქას უძველესი დროიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულამდე. მეორე ათასწლეულიდან კი



იწყება ამ მოდგმის თანდათანობითი დაკნინება და მისი რიცხობრივი შემცირება. ამ პერიოდში თანდათანობით წინა პლანზე გამოდის ხეთური და ძველბერძნული ანუ ელინური სამყაროები, რომლებიც ზღუდავენ პროტოიბერიულს. მაგრამ ამავე დროს ხდება კულტურათა სინთეზი: პალეომედიტერანულ, ანუ პროტოიბერიულ მოდგმასთან არის დაკავშირებული ევროპის უძველესი და პირველადი კულტურები მინოსური და კოლხური (ძველკოლხური), რომლებიც უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთან. მეორე ათასწლეულიდან იწყება ხეთური სამყაროს წამოწევა, რომელიც უკვე ინდოევროპული სამყაროა, ისევე როგორც ძველბერძნული სამყარო, რომელიც წარმოშობით ვედური ბერძნების ტომებიდან მომდინარეობს.

საბერძნეთის პირველადი მოსახლეობა ძველი ბერძენი ისტორიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრულია, როგორც პელაზგური ანუ პროტოიბერიული. პელაზგები წარმოადგენენ პროტოიბერიული მოდგმის ერთერთი მნიშვნელოვან განშტოებას, ისევე როგორც კოლხები, ეტრუსკები, მესხები. კოლხური, პელაზგური, ტროაული და მინოსური სამყაროები ერთმანეთის მონათესავე სამყაროებია, უფრო სწორედ ისინი ერთ სამყაროს წარმოადგენენ, რაც ნათლად აირეკლა ჰომეროსის უკვდავ "ილიადაში".

საბერძნეთსა და ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვა რეგიონებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათელყვეს, რომ ძვ.წ. II ათასწლეული ბრინჯაოს ხანის უდიდესი ცივილიზაციის გაფურჩქვნის ეპოქა ყოფილა. დღეისათვის უკვე კარგად არის ცნობილი, რომ კრეტაზე ძვ.წ. XIXXVI საუკუნეებში ბრწყინვალე პროტოიბერიული კულტურა ჰყვაოდა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერები ლეგენდარული მეფის, მინოსის სახელის მიხედვით მინოსურს უწოდებენ. მინოსური სამყარო, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი, არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ კუნძული კრეტით, არამედ მთელს ხმელთაშუა ზღვას მოიცავდა. საბერძნეთში თავად ბერძნებმა ძვ.წ. XIV საუკუნიდან შექმნეს სწორედ ის ცივილიზაცია, რომელიც აისახა მითებში პერსევზე, თესევსსა და ჰერაკლეზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკვე დიდი ხანია გამოკვლეულია წინაბერძნული კულტურებისა და ქართველური კულტურის ნათესაობა და მათი განვითარების ისტორია, მაგრამ რატომღაც მათ არ უწევენ სათანადო პოპულარიზებას. ეს საკითხი თავისებურ ტაბუს წარმოადგენს, რომლის გამოაშკარავებას დიდად არავინ ცდილობს.

პროფესორ რისმარგ გორდეზიანს აქვს მნიშვნელოვანი მიგნებები ილიადაში მოხსენიებულ ტომთა ეთნოგენეზისის გამოკვლევისას. მის მიერ გამოვლენილია მჭიდრო კავშირი ქართული კულტურასა და ეტრუსკულს, ლიკიურს, კარიულსა და მცირე აზიის მცხოვრებ მოსახლეობასთან და უპირველს ყოვლისა ტროასთან.

ტროა ბევრად უფრო ძველი სამყაროა ვიდრე ბერძნული. ბერძნების სახელგანთქმული ლაშქრობა არ უნდა იქნას გაგებული მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით, ვინაიდან ელინები ლაშქრობენ ტროაში საკრალური, მისტერიული სიბრძნის პალადიუმის მოპოვებისათვის, რომელიც იმ ხანებში მხოლოდ პროტოიბერიულ მოდგმას გააჩნდა. ტროას იბერულ სამყაროსადმი კუთვნილების ერთერთი დამადასტურებელი ფაქტია თვითონ ტროელების მიერ აქეველებისათვის დავის მიზეზის დასახელება. ტროელები უხსნიან აქაველებს, რომ ისევე როგორც ადრე მათ მოსტაცეს ქალი მედეა, ახლა სამაგიეროდ ტროელებმა მოსტაცეს ბერძნებს ელენე. ამდენად ელენე ტროელების ანუ კოლხების მონათესავე ტომების მიერ არის მოტაცებული, რომლებსაც ამით ბერძნებისათვის, მათ მიერ წარსულში მიყენებული შეურაცხყოფის სამაგიეროს გადახდა სურდათ. ტროაელები, კოლხები და მინოსური კულტურა დასავლეთში, ხოლო შუმერები აღმოსავლეთში, ერთად ქმნიან უძველეს, პროტოიბერიულ სამყაროს, რომელსაც ხმელთაშუა ზღვის მთელი აუზი და მცირე აზიის დიდი ნაწილი ეკავა. მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ხდება ყოველივე ამის ტაბუირება და ინდოევროპული კულტურის წინ წამოწევა, მისი მნიშვნელობის ხაზგასმა. არადა, რეალური ისტორიული პერიპეტიების შესწავლიდან ნათლად ჩანს, რომ ინდოევროპული კულტურა მხოლოდ მეორე ათასწლეულიდან აღზევდა, როდესაც დაკნინდა პროტო-იბერიული სამყარო.

ტროას ომი ფაქტიურად არის პერიოდი, როდესაც ინდოევროპული მოდგმა უკვე მძლავრობს საბერძნეთში და მცირე აზიაში, ხოლო იბერიული სამყარო დეკადენს განიცდის. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად ყურადსაღები მომენტი ბერძენთა უდიდესი გმირი აქილევსი წარმოშობით სწორედ რომ იბერიელი, პელაზგია, მაშინ როდესაც აგამემნონი და მენელაოსი წმინდა ელინური წარმოშობის არიან.

ტროას ომი წარმოადგენს კონფლიქტს ელინურ სამყაროსა და პროტოიბერიულ სამყაროს შორის ტროა იბერიული სამყაროს წარმომადგენელია, ხოლო აქაველები ელინური, თუმცა მათ შორის ბევრი პელაზგიც არის. ამ კონფლიქტში იკვეთება ელინთა უმთავრესი მიზანი პალადიუმის ანუ სიბრძნის მოტაცება, რომელიც სიმბოლურად ტროასეული ცხენის მეშვეობით ხორციელდება.

მართალია, სიმბოლურად პალადიუმი ამ მითში ქალის, ელენეს სახით გვევლინება, მაგრამ ელენე ხომ არის სიმბოლო ძველი წარმართული სოფიისა სიბრძნის. სოფიის მოტაცება და შემდეგ მისი გამოხსნა გავრცელებული მოტივია უძველეს მითებსა და ეპოსებში. ხოლო ცხენი კი ეზოთერულ პოეზიაში წარმოადგენს ინტელექტის სიმბოლოს. აქაველთა ანუ ელინთა მისია ინტელექტის განვითარება არის უკვე ახალი ეტაპი ცნობიერების განვითარებაში, მაშინ როდესაც კოლხური, ტროასეული, პელაზგური და მინოსური კულტურა წარმოადგენს ნათელმხილველურ კულტურას, რომელიც წინ უსწრებს ინტელექტისმიერ, აზროვნებით კულტურას.

კაცობრიობის ერთერთ უდიდეს შეცდომას წარმოადგენს ბერძნული მითების ავტორების არა სწორად განსაზღვრა. ძველი ბერძნული მითების უმრავლესობაში ასახული არის არა ბერძნული, არამედ პელაზგური ანუ პროტოიბერიული სინამდვილე. ამას აღნიშნავდა გერმანელი ფილოსოფოსი შელინგიც და პელაზგურ ეპოქას განმარტავდა, როგორც ნათელმხილველური სიბრძნის ეპოქას. შემდგომში ბერძნების დიდმა გმირებმა პერსევსმა, თესევსმა და სხვებმა პელაზგური კულტურის ნაშთებზე ააგეს ახალი, არანაკლები მასშტაბის აზროვნებითი, ინტელექტისმიერი ელინური კულტურა.

როგორც ცნობილია, "ბერძნული" მითების ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონაჟია ტიტანი პრომეთე, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული პროტოიბერიულ კულტურასთან.

ვინ არის პრომეთე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, საჭიროა გავიხსენოთ, რომ მითოსი და მითოლოგია არ არის იდენტური ცნებები. მითოსი არის მითების სამყარო, ხოლო მითოლოგია ამ სამყაროს განმარტება, მისი მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე მითოსის წყაროს წარმოადგენს პროტოიბერიული კულტურა, ხოლო მითოლოგიის საფუძველს ელინური. "ბერძნული" მითების სინამდვილე შექმნილია პელაზგების მიერ, ხოლო ელინების მიერ იგი სისტემატიზირებული და ინტერპრეტირებულია. არც ჰომეროსი და არც ჰესიოდე, ანტიკური პერიოდის ეს გიგანტები, არ არიან შემოქმედნი მითებისა, არამედ ისინი არიან მითოლოგოსები პელაზგური მითოსის სისტემატიზატორები და განმმარტებელნი.

მოამზადა

**ალეკო მიქაბერიძემ**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# მე მინდა გავხდე „ლიოტჩიკი“

## გვესაუბრება პრეზიდენტის მფრინავი

თვითმფრინავის კაბინაში, ჰერმეტულად დაგმანულ კარს მიღმა ზის კაცი, ურთულეს საქმეში თავიდან ბოლომდე გაცნობიერებული, ჩვენთვის ასე შორეული და მაინც ძალიან ახლობელი. კაცი, რომელმაც ვაჟკაცურად იტვირთა უაღრესად საპასუხისმგებლო პროფესიის უმძიმესი ტვირთი და რომელსაც მოკლე, მაგრამ ბევრისმთქმელი სახელი ჰქვია - მფრინავი!..

როგორია თვითმფრინავის კაბინის ილუმინატორიდან მათი თვალით დანახული ცა და დედამიწა? რას განიცდიან, როცა აბარიათ ასობით ადამიანის სიცოცხლე? რა განსხვავებას ხედავენ მაშინ, როცა ჩვეულებრივ ფრენას ასრულებენ და მაშინ, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტთან ერთად სპეცრეისით მიემგზავრებიან უცხოეთში?

ამ და სხვა კითხვებზე საპასუხოდ ავიაკომპანია “ჯორჯია ეარვეისის” მფრინავს **გაგა კახურაშვილს** მივმართეთ:

- დუშეთში დავიბადე და გავიზარდე. არ მახსოვს, როდის გამიჩნდა სურვილი, მფრინავი გავმხდარიყავი, მაგრამ ის კი არასოდეს დამავიწყდება, როგორ შემძრა შინაგანად გიორგი დანელიას ფილმმა “მიმინომ”. მაშინ დავისახე მიზნად, რომ მეც მფრინავი ვყოფილიყავი. რაღას არ ვაკეთებდი, ხეზე მქონდა თვითმფრინავის “კაბინა” მოწყობილი, ტოტებში ჩავჯდებოდი და “შტურვალს” ვატრიალებდი. ჩემს ოთახში რომ შემოსულიყავით, ავიაციის მუზეუმი გეგონებოდათ...

სკოლაში რომ მივედი, მასწავლებელმა, როგორც ყველას, მეც დამაწერინა მომავალი პროფესიის შესახებ. ასე დავწერე სიტყვა-სიტყვით: “მე მინდა გავხდე “ლიოტჩიკი”. მოგვიანებით, როდესაც ოცნება ამიხდა, მასწავლებელმა მომიტანა ჩემი ნაწერი და მაჩვენა, ალარც კი მახსოვდა, ძალიან ამაღელვებელი სიურპრიზი იყო...

*- მაინც როგორ გახდი “ლიოტჩიკი”?*

- 1990 წელს დავამთავრე სკოლა და იმ წელსვე ჩავაბარე კიევის სამოქალაქო ავიაციის ინსტიტუტში. I-ლი კურსი წარჩინებით დავხურე. ამასობაში, პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, თბილისში გაიხსნა საავიაციო ინსტიტუტი. ძალიან მინდოდა, რომ პირველი გამოშვების კურსდამთავრებულთა შორის მეც ვყოფილიყავი და მიუხედავად იმისა, რომ ერთ წელს ვკარგავდი, თბილისში გადმოვიტანე საბუთები.

გახსოვთ, ალბათ, რა მძიმე წლები იყო საქართველოში, გაჭირვება, არეულობა, აფხაზეთის ომი... თეორია შევისწავლე, მაგრამ პრაქტიკაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. სავალდებულო ფრენებიც კი ვერ გავიარეთ... საწვავის უქონლობის გამო(!), ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მფრინავის სერტიფიკატს ვერ მივიღებდით. ჩავაბარე სახელმწიფო გამოცდა და მომცეს დიპლომი ინჟინერ-მექანიკოს-მფრინავის კვალიფიკაციით. პრაქტიკის უქონლობის გამო მარტო ინჟინრად შემეძლო მუშაობა, მფრინავობაზე ოცნებას უნდა გამოვთხოვებოდი, სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ ჩანდა. მფრინავის სერტიფიკატის მისაღებად აუცილებელი ფრენის საათები რომ დაგვეგროვებინა, უზარმაზარი თანხა იყო საჭირო. საიდან მოგვეტანა? ამის გამო იმ ბიჭების უმრავლესობა, რომლებიც ოთხი წლის მანძილზე თავაუღებლივ სწავლობდნენ და მფრინავის პროფესიაზე ოცნებობდნენ, ფაქტობრივად დაკარგა ქართულმა ავიაციამ. ზოგი სად წავიდა, ზოგი - სად, სულ სხვა საქმეს მოჰკიდეს ხელი...

*- ხელი ჩაიქნიე?*

- კინაღამ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. გადამზადებას დაახლოებით 10 ათასი დოლარი უნდოდა. სხვა გამოსავალი რომ ვერ ვნახე, მშობლებისგან მალულად თბილისში ბინა გავყიდე და მოსკოვში წავედი. ყველა გიჟად მთვლიდა, მაგრამ არაფრის გაგონება არ მინდოდა. “დოსააფში” ვიფრინე 260 საათი. 3 თვე ვიყავი მოსკოვში, დიდი გაჭირვება გადავიტანე, მაგრამ სწავლისთვის თავი არ დამინებებია. მოვაგროვე ფრენის საათები, ჩამოვედი თბილისში, წარვადგინე საბუთები დეპარტამენტში და ავიღე სერტიფიკატი, რომელიც მაძლევდა კონკრეტულ თვითმფრინავზე გადამზადების უფლებას, რათა დამეწყო ფრენა რომელიმე ავიაკომპანიაში. საბუთებით მე უკვე მფრინავი ვიყავი, ეს იყო ჩემი პირველი გამარჯვება...

*- ფრენა როდის დაიწყე?*

- ფრენის დაწყება ასე მარტივად არ ხდება. ჯერ ტრენაჟორზე უნდა გამევლო სპეცმომზადება. გამიწიეს შუამდგომლობა და იქაც ჩემი თანხებით გავიარე სპეციალური პროგრამა. ტრენაჟორზე სწავლების უმკაცრესი პირობებია. აქ თუ უშეცდომოდ არ გაიარე ყველა ეტაპი, ფრენის უფლებას არავინ მოგცემს. ეს ეტაპები კი მარტო თეორია არ არის, ტრენაჟორზე ფრენის ზუსტი იმიტაცია ხდება, მათ შორის ავარიული სიტუაციებისა და ყოველივე ეს უშეცდომოდ უნდა დაძლიო. წარმატებით გავიარე სპეცმომზადებაც, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ მე უკვე მფრინავი ვიყავი. საამისოდ 50 საათი უნდა მეფრინა სამოქალაქო ავიარეისით. დიდი ძალისხმევის შემდეგ მოვიპოვე ამის უფლება...

**“აბა, აფრინდი!..”**

*- ალბათ დღემდე გახსოვს შენი პირველი რეისი...*

- ამის დავიწყება შეუძლებელია! უნდა მეფრინა რეისით თბილისი-ქუთაისი-მოსკოვი. გამოცხადდა გაფრენის დრო და ეკიპაჟის შემადგენლობა. მღელვარებისგან წინაღამეს არ მძინებია. გათენდა ეს დღეც. გავიარეთ წინასწარი მომზადება. ტუ-134 ასაფრენ ზოლზე გავიყვანეთ და ხომალდის მეთაურმა იური არზუმანიანმა ღიმილით, თითქოს სხვათა შორის, მითხრა: “აბა, აფრინდი!..” ბატონი იური დღემდე იხსენებს: - გაოცებისგან გაფართოებული შენი თვალები არასოდეს დამავიწყდებაო!.. გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, მეგონა, სალონშიც კი ესმოდათ. მეთაურმა დამამშვიდა: - გაგა, თავი ისე იგრძენი, თითქოს ტრენაჟორზე ხარ, აბა, შენ იციო. ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა, პირჯვარი გადავიწერე, ნელა მოვწიე შტურვალი და ავფრინდი. მახსოვს, როგორ აიწია ჰაერში ლაინერი. უღრუბლო ცა იყო ჩემ წინ, იდეალური მეტეოროლოგიური პირობები. ისე ვიფრინეთ ის რეისი, ავტოპილოტი არ ჩაურთავს მეთაურს, სულ ხელით ვმართავდი, უნდოდა, ბოლომდე შემეგრძნო თვითმფრინავი...

**“Такие пилоты, как вы, на улице не валяются“-ო...**

- გავიარე 50 საფრენოსნო საათის აუცილებელი ეტაპი და დადგა ჩემი ცხოვრების ურთულესი პერიოდი. ახლა უკვე მფრინავი ვიყავი და შემეძლო ნებისმიერ ავიაკომპანიაში მუშაობა, მაგრამ რეისები იყო ცოტა, დიდი იყო კონკურენცია მფრინავებს შორის და მე, ახალბედას, ვინ მიმიღებდა სამუშაოდ? არადა, თუ მუშაობას არ დავიწყებდი, ექვსი თვის შემდეგ ისევ საკუთარი თანხებით უნდა გამევლო ტრენაჟორზე სპეცმომზადება... ახალი დაოჯახებული ვიყავი, რით გვერჩინა თავი? ჩემი მეუღლე - ხათუნა ყოველ ცისმარე დღეს პირჯვარს გადამწერდა და ლოცვით მაცილებდა. ყოველდღე დავდიოდი დეპარტამენტში და ვიჯექი საღამომდე უფროსის მისაღებში. მერე კი ვბრუნდებოდი შინ იმედგაცრუებული. ასე გრძელდებოდა თვეების მანძილზე. ფაქტობრივად წყალში მეყრებოდა ამდენი შრომა და წვალება. ერთ დღეს, როცა მეგონა, ხსნა არსაიდან იყო, ბედმა გამიღიმა და მიმიღო დეპარტამენტის უფროსმა ჯემალ მარგველიძემ. ეს იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ ხნის განმავლობაში მომისმინა. ისეთი განცდით მოვუყევი ყველაფერი, იმ წუთ-ში აიღო ყურმილი და დაურეკა “საქართველოს ავიახაზების” გენერალურ დირექტორს დემურ ლელაძეს: - ახლა შენთან მოვა ახალგაზრდა მფრინავი და ძალიან გთხოვ, მოუსმინეო... ბატონმა დემურმა მომისმინა. შესაბამისი სამსახურის უფროსი გამოიძახა და უთხრა: - ამ კაცს იმხელა გზა აქვს გამოვლილი და ისეთი წვალება უნახავს, საცოდაობაა მისი გარეთ დატოვება, დღეიდან ის ჩვენი თანამშრომელი იქნებაო...

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, 1997 წლის 15 აპრილი. როგორ “გამოვფრინდი” თბილისიდან, არ მახსოვს. შინ მისულმა ცოლ-შვილი გულში ჩავიკარი და თვალცრემლიანი მხოლოდ ერთ სიტყვას ვიმეორებდი: - მიმიღეს!.. ამ დღეს გავხდი ნამდვილი მფრინავი...

**“Если грузин рискует, то он обязательно сядет!“**

*- დღეს უკვე გამოცდილი მფრინავი ხარ და სხვას უზიარებ გამოცდილებას. რა მოგცა პროფესიონალიზმის თვალსაზრისით განვლილმა წლებმა?*

- უზარმაზარი გამოცდილება შემძინა. მე ისეთი მასწავლებლების და ინსტრუქტორების ხელში გავიარე, რომლებიც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში არიან დაფასებული, როგორც სამოქალაქო ავიაციის ნამდვილი ასები: მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი ავიაკომპანიის ხელმძღვანელობას, რომელმაც საშუალება მომცა, “ბოინგზე” გამევლო გადამზადება და რეგულარულად მეფრინა.

*- ტუ-სა და “ბოინგს” შორის დიდი განსხვავებაა?*

- მფრინავები ამბობენ: მათ შორის ისეთი სხვაობაა, როგორიც “ჟიგულსა” და ბოლო მოდელის “მერსედესს” შორისო. “ბოინგს” ხუმრობით “პენსიონერების” თვითმფრინავს ეძახიან, იმდენად კომფორტული და იოლად სამართავია.

*- არაერთხელ მსმენია, რომ ქართულ საფრენოსნო სკოლას დიდი ავტორიტეტი აქვს მსოფლიოში...*

- რუსები ამბობენ ხოლმე: “Если



грузин рискует, то он обязательно сядет!“-ო. ქართველი მფრინავების პროფესიონალიზმს ყველგან აღიარებენ და პატივს სცემენ. აფხაზეთის ომში რაც ქართველმა მფრინავებმა გააკეთეს, ეს მარტო პროფესიონალიზმი კი არა, გმირობა გახლდათ. მათი ყოველი რეისი სიცოცხლისა და სიკვდილის ჭიდილი იყო. ტყვიების ზუზუნში, დასაშვებზე მეტი წონით გადატვირთული, ხშირად ალმოდებული და მწყობრიდან გამოსული თვითმფრინავის მშვიდობიანად დასმა საფრენ ბილიკზე, მხოლოდ ნამდვილ ვირტუოზს შეუძლია. უცხოელი პილოტი ასეთ რისკს არასოდეს გასწევს! გული მწყდება, რომ ამ ყველაფერმა ისე ჩაიარა, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი იყო და მეტი არაფერი. არადა, იმ ამბების მონაწილენი ნამდვილი გმირები არიან!..

*- ევროპის ზონაში ფრენა, ჩვენგან განსხვავებით, ბევრი სპეციფიკური ნიუანსით გამოირჩევა?*

- განსხვავება დიდი არ არის, უბრალოდ, შეჩვევა უნდა. პირველად ათენში გავფრინდი. დისპეტჩერი ისეთი აქცენტით ლაპარაკობდა, რომ თითქმის არაფერი მესმოდა. მერე თანდათან ალღო ავუღე. უნგრეთის ზონაში შესვლისას იქაური დისპეტჩერი ყოველთვის ქართულად გვესალმება და გვემშვიდობება, ასევეა უკრაინის ზონაშიც. ჩვენც ვცდილობთ მათთან იდეალური ურთიერთობა გვქონდეს, რადგან ამ სამსახურთან შეთანხმებული მოქმედების გარეშე თვითმფრინავის მართვა შეუძლებელია.

*- გაგა, შენ არაერთხელ გიფრენია საქართველოს პრეზიდენტთან ერთად. რა განსხვავებაა ჩვეულებრივ და სპეცრეისებს შორის და რით დაგამახსოვრათ თავი მიხეილ სააკაშვილმა?*

- პროფესიონალური თვალსაზრისით, არანაირი განსხვავება არ არის. პრეზიდენტიც ჩვენთვის ისეთივე მგზავრია, როგორიც სხვა. უბრალოდ, ამაღელვებელი განცდაა, როდესაც ამხელა ნდობას გიცხადებენ. არაერთხელ გვიფრენია ერთად. პირველად კიევში, ბოლოს იტალიაში, რომშიც გვქონდა რეისი. ძალიან დაძაბული სამუშაო რეჟიმი აქვს პრეზიდენტს, მაგრამ ფრენისას აუცილებლად გამონახავს დროს ჩვენთან შემოსასვლელად, სათითაოდ მოგვიკითხავს, გაგვესაუბრება. ძალიან უშუალოა, ისე თბილად დაგელაპარაკება, რომ ყოველგვარ კომპლექსებს მოგიხსნის. ყველაფერი აინტერესებს, ჩვენი პროფესიის უმცირესი ნიუანსებიც კი. ისეთ დეტალებშია გათვითცნობიერებული, ხანდახან მიკ-ვირს კიდეც...

ძალიან მინდოდა მასთან ერთად სურათის გადაღება, მაგრამ კარგა ხანს ვერ შევბედე. ბოლოს, რომში რომ მივფრინავდით, ვთხოვე: - ბატონო პრეზიდენტო, შეიძლება თქვენთან სურათი გადავიღო-მეთქი? - მაშინვე მითხრა: - სიამოვნებითო! ხელი გადამხვია და გადავიღეთ. ავტოგრაფიც დამიტოვა: - “გაგა, ერთად გავიმარჯვებთ!..” დამშვიდობებისას აუცილებლად შემოდის კაბინაში, მადლობას გვიხდის, უღრუბლო ზეცას და მშვიდობიან ფრენას გვისურვებს და ისე გვტოვებს...

*- შესაშური პროფესია გაქვს, “Каждый день президента видишь, академика видишь, артиста видишь“...*

- (იცინის) იშტოიანის ნახვაღა მაკლია!.. მართლაც ბევრ ცნობილ ადამიანთან ერთად მიფრენია. ერთხელ ბუბა კიკაბიძე შემოვიდა კაბინაში და ვუთხარი: - თქვენ რომ არ ყოფილიყავით, მფრინავი ვერასოდეს გავხდებოდი-მეთქი. მოვუყევი, რა როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში “მიმინომ”. მომეხვია ბატონი ბუბა და მაკოცა...

*- ალბათ გახსოვს “მიმინოს” ფინალი, თვითმფრინავიდან “გადმოხტომაზე” რომ ლაპარაკობს ვალიკო მიზანდარი...*

- მესმის, რისი თქმა გსურს. საოცარი გრძნობაა, როდესაც შინ ბრუნდები და საქართველოს ზონაში შემოდიხარ. აქ ყველაფერი თბილი და მშობლიურია. ერთი შეხედავ სამართავ პულტზე დასვენებულ ღვთისმშობლის ხატს, შტურვალს დააწვები და...

**P.S.** “პატივცემულო მგზავრებო, ჩვენი რეისი დასრულდა. მადლობას მოგახსენებთ, რომ ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით... ხომალდის მეთაური და ეკიპაჟი გემშვიდობებათ საუკეთესო სურვილებით...”

მერე ყველაფერი თავიდან იწყება. ტაატით გაიყვანს თვითმფრინავს ასაფრენ ზოლზე, უფალს შესთხოვს მფარველობას და ზეცაში აიჭრება... შტურვალთან დაჯდომის წინ კი ყოველთვის გაახსენდება ოდესღაც ბავშვური ხელით ქაღალდზე დაწერილი, დღეს უკვე ფრთაშესხმული ოცნება: - “მე მინდა გავხდე “ლიოტჩიკი!..”

**ზვიად სეხნიაშვილი**



# ქართულ თეატრში ვაშინგტონში
# ფილმი მასზე, ვისაც გაუმართლა

იგი აშშ-ში ათი წლის წინ ჩამოვიდა, მისი მოქალაქეობა ნებას აძლევს სამშობლოში სტუმრად მაინც ჩავიდეს, მაგრამ ეს ჯერ არ მომხდარა. დარჩენას არ აპირებდა, მაგრამ დარჩა, დარჩა და გაუმართლა კიდეც. გაუმართლა, მაგრამ დიდი შრომისა და ნებისყოფის ფასად. დღეს პაატა ციქურიშვილის თეატრი ვაშინგტონში მეტად წარმატებული თეატრია. იქ იდგმება ისეთი სპექტაკლები, რომელთა მსგავსიც ქართველებს დიდი ხანია, გვენატრება. მხატვრობა - გოგი ალექსი-მესხიშვილისა, მუსიკა - გია ყანჩელისა და ვატო კახიძისა, მთავარ როლებში ირაკლი და კახი კავსაძეები, დასი ამერიკული, ენერგია და მუხტი ქართული, ფორმა ახალი და თანამედროვე. მრავალი პრიზისა და ჯილდოს მფლობელი სპექტაკლების ავტორი-რეჟისორი არაფერს ნანობს, თუმცა ერთის ეშინია, გრძნობს, რომ თანდათან საკუთარ სახეს კარგავს, ანუ იმას, რითიც მისი ხელოვნება საზრდოობს და იმ გარემოში ირევა, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და ტელეკომპანია „მზის" ინიციატივითა და დახმარებით რეჟისორმა ლევან კოღუაშვილმა ამ ფილმის გადაღება ერთი წლის წინ დაიწო. „პატარა თეატრი ვაშინგტონში" თბილისელმა მაყურებელმა კინოთეტრ „ამირანის" მცირე დარბაზში „ამარკორდში" პირველად იხილა და არამარტო ლევან კოღუაშვილის ხელოვნებას ჩაუკვირდა, არამედ ვაშინგტონის ქართული თეატრის ერთი რომელიმე სპექტაკლის ნახვის დიდი სურვილიც გაუჩნდა.

პრემიერა გაგა ჩხეიძისა და ელდარ მდინარაძის გამოსვლით დაიწყო. „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა მოკრძალებული წვლილი შეიტანა ამ ფილმის გადაღებაში. როგორც მოგეხსენებათ, კინოცენტრი ფინანსურად ეხმარება პროდიუსერებს, საპროდიუსერო კომპანიებს, ჩვენ არ ვერევით არც შემოქმედებით პროცესში და არ გავცემთ ბრძანებებს. მიხარია, რომ ეს ფილმი შედგა. გამოვიდა ძალიან საინტერესო დოკუმენტური ფილმი ახალგაზრდა შემოქმედ კაცზე. ადამიანზე, რომელიც ჩადის მისთვის სრულიად უცხო ქვეყანაში, ჩააქვს თავისი სამყარო, აარსებს თეატრს, აღწევს წარმატებებს, ამავე დროს ეს არის ფილმი ემიგრანტზე, რომელიც კარგავს ეროვნულ იდენტობას და ეს ტკივილიც კარგადაა გადმოცემული. რეჟისორული ნამუშევარიც, ვთვლი, რომ ძალიან საინტერესოა" - ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელის ეს აზრი ტელეკომპანია „მზის" წარმომადგენელმა, ფილმის პროდიუსერმა, ბატონმა ელდარ მდინარაძემ განავრცო: „ლევან კოღუაშვილის ეს ნამუშევარი შარშან იქნა იდეაში განხილული. მე მასთან ძალიან ბევრი მაქვს ნამუშევარი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქმე გვაქვს მაღალი კლასის, საკმაოდ ჩამოყალიბებულ, საკუთარი ხელწერის მქონე ოსტატთან. შეიმჩნევა, რომ მას დიდი სკოლა აქვს გავლილი ჯერ მარლენ ხუციევთან და შემდეგ ნიუ იორკში. ჩვენ თემასთან მუშაობის პროცესში გვქონდა სერიოზული სჯა-ბაასი, ეს ფილმი თავიდან ბოლომდე ისე იქნა ჩამოყალიბებული, რომ მაშინვე ვგრძნობდი, რომ ძალიან სერიოზულ ნამუშევართან გვექნებოდა საქმე. თქვენ ძალიან გემოვნებიანი მაყურებლები ბრძანდებით და შემიძლია თამამად გითხრათ და მოგილოცოთ, რომ ფილმი არის ძალიან მაღალ დონეზე გაკეთებული ყველა პარამეტრში. ფილმის ნახვის შემდეგ გაგეხარდებათ, რომ ვართ ქართველები. საქმე გვაქვს მწიფე რეჟისორთან. მიხარია, რომ ამ საქმეში, რაღაც წვლილი მიუძღვის ტელეკომპანია „მზეს".

ლევან კოღუაშვილის ერთსაათიანი დოკუმენტური ფილმი მთლიანად მონოლოგზეა აგებული. კამერა და მონტაჟიც რეჟისორს ეკუთვნის. პაატა ციქურიშვილი საკუთარ ისტორიას იმდენად მარტივად და უშუალოდ გვიყვება, მაყურებელს არ ბეზრდება სმენა და შიგადაშიგ ელიმება კიდეც. ფილმი საკუთარი ფორმითა და შინაარსით ერთდროულად გვიჩვენებს ადამიანს, რომელმაც მყარი ხასიათისა და შრომისმოყვარეობის წყალობით მიზანს მიაღწია, პარალელურად ეხება თეატრის მუშაობას, გარემომცველთა პორტრეტებსა და საერთოდ, იქაურ ყოფასა და ცხოვრებას. ფილმში აბსოლუტურად გამართულია დრამატურგიული კომპოზიცია, მშვენიერია ოპერატორული ნამუშევარიც.



● ლევან კოღუაშვილი ფილმზე მუშაობისას

პაატა ციქურიშვილი ერთდროულად ხელოვანიცაა და ემიგრანტიც. ადამიანი, რომლის ნამუშევრებიც მთლიანად ქართულ რიტმსა და ტემპზეა აგებული. ეს ორი კი ყველაზე მნიშვნელოვანია, მით უფრო მაშინ, როცა საქმე არა ჩვეულებრივ დრამატულ, არამედ ერთგვარ სინთეზურ თეატრთან გვაქვს. ყოფილმა პანტომიმის მსახიობმა ვაშინგტონში ისეთი თეატრი ჩამოაყალიბა, რომლის მსგავსი იქ არ არის. მის სპექტაკლებში არის სიტყვაც, თუმცა მთავარი მაინც დინამიკა, პლასტიკა, მიმიკა და უბრალოდ მოძრაობაა. სწორედ ის მოძრაობა, რომლის საშუალებითაც ალბათ ყველაფრის თქმა და გადმოცემაა შესაძლებელი და ამას მშვენივრად მიმხვდარა მართლაც ნიჭიერი რეჟისორი.

„ჩემი ცხოვრება გეოგრაფიულად ძალიან მარტივია: თეატრი, სახლი, რეპეტიცია, პრემიერა, სახლი, რეპეტიცია... ამერიკაში ძალიან გამიმართლა." - ამერიკაში მან მიზანს მიაღწია და ოცნება რეალობად ექცა. მუშაობს გია ყანჩელთან, გოგი ალექსი-მესხიშვილთან, ვატო კახიძესთან, შექმნა ისეთი თეატრი როგორისაც სჯეროდა, მუშაობს ისე, როგორც სწამს და ესმის: ბოლომდე იხარჯება და ნებისმიერ მსახიობს პირად მაგალითს აძლევს.

ლევან კოღუაშვილის ყველაზე დიდი დამსახურება, ჩემი აზრით ისაა, რომ მან იმ მთავარი ღირსების წარმოჩენა მოახერხა, რაც ამ ადამიანს და მის თეატრს აქვს: გამართული იდეა, მიზანი და აღმზდელობითი დანიშნულება. ანუ ის, რასაც თეატრები საქართველოში ყოველგვარი სინანულის გარეშე მარტივად ელევიან.

„პატარა თეატრი ვაშინგტონში" არ არის ფილმი მხოლოდ ქართველ ცოლ-ქმარზე, რომელმაც უცხო ქვეყანაში უცხო სირთულეებს თავი გაართვა, ეს აგრეთვე ის ფილმია, რომელიც ზოგადად ხელოვანებზე გველაპარაკება. მიუხედავად მრავალი საინტერესო კადრისა, ყველაზე მეტად იმ ფრაგმენტმა მომხიბლა, როცა სავარჯიშო დარბაზში წრეზე მორბენალი სხეულები ჩანს, მუსიკა ფეთქავს, ადამიანები უბრალოდ სუნთქავენ, კამერა ერთი მიმართულებით ჩერდება და ადამიანები ისევ სუნთქავენ. ზოგიერთი კადრი იმაზე მეტს ხატავს, ვიდრე მოსაუბრე ამბობს, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ არის არავითარი მეტაფორული აზროვნება რეჟისორისა, ყველაფერი მარტივი და სადაა. სწორედ ამაშია ამ ფილმის უპირველესი ხიბლი.

დღესდღეობით ქართულ თეატრს ვაშინგტონში დიდი წარმატება აქვს. წელიწადში სამ პრემიერას, ორ აღდგენილ სპექტაკლს და ერთ ექსპერიმენტს სთავაზობენ მაყურებელს. ამ წლების განმავლობაში არაერთი თეატრალური ოსკარისა და პრიზის მფლობელნი გახდნენ. ითამაშეს „ჰამლეტი", „მედეა", „ბოჰემია", „სალომეა", „სტუმარ-მასპინძელი" და სხვა მრავალი. იმ დღეს, როცა ჩვენ ლევან კოღუაშვილის ფილმს ვუყურებდით, პატარა თეატრი ვაშინგტონში კიდევ ერთ პრემიერას წარადგენდა, ორი კვირის წინ კი ირინა ციქურიშვილს უკვე მეოთხე ოსკარი გადასცეს საუკეთესო ქორეოგრაფიისთვის.

ათი წლის წინ ახალგაზრდა არტისტმა მასპინძლების ენა საერთოდ არ იცოდა, კიდეც ეშინოდა და კიდეც დარდობდა. რომ არა რესტორანში შესრულებული ნომერი „ჯიუტი ბუშტი", რომელიც იმპრესარიომ ნახა, მისი ცხოვრება ასე არ წარიმართებოდა. დღეს იგი წარმატებული რეჟისორია, აქვს საკუთარი თეატრი, საკუთარი დასი, მეგობრები, ოჯახი. მძიმე მაგრამ სავსე ცხოვრება. ზუსტად არ იცის, დაბრუნდება თუ არა, მაგრამ ეს არ არის მისთვის მთავარი პრობლემა, ვაშინგტონში მას პატარა საქართველო აქვს მოწყობილი, პაატას მხოლოდ ერთის, საკუთარი იდენტურობის დაკარგვის ეშინია და თუ ეს მოხდება, თუ მისი ნამდვილი სახე მართლაც სადღაც გაქრება; ზუსტად იცის რომ მისი „განსაკუთრებული ხელოვნებაც" გაუჩინარდება.

**სოფო კილასონია**

...სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, რამდენი წლის ვიყავი - ასე, ცხრა-ათის. შინ ვთამაშობდი და მამაჩემის წიგნებში ვიქექებოდი. ძალიან მიყვარდა უფროსების წიგნების თვალიერება და მაშინაც ამ საქმით გახლდით გართული.

ფეხბურთზე ზოგადი წარმოდგენა მქონდა. მამას სტადიონზე დავყავდი და ვიცოდი, რომ ტაიმებს შორის ლატარია თამაშდებოდა. ისიც ვიცოდი, რომ "დინამო" ჩემი საყვარელი კლუბი უნდა ყოფილიყო, ამ გუნდის ფეხბურთელები კი, უბრალოდ, უნდა მყვარებოდა.

და რადგან რამდენიმე მოთამაშის სახელი გაგონილი მქონდა, თაროდან გადმოვარდნილმა წიგნმა, რომელზეც ახალგაზრდა კაცის სურათი იყო გამოსახული წარწერით "ვიტალი დარასელია", უმალ მიიპყრო ჩემი ყურადღება.

გადავათვალიერე. თბილისის "დინამოს" რამდენიმე გუნდური ფოტო იყო. უმალ მაკრატელი მოვიმარჯვე და სურათები ამოვჭერი. საქმიანობას რომ მოვრჩი, სულ ბოლოს წავიკითხე - ვიტალი დარასელიას გოლს "დინამოსთვის" რაღაც თასი მოუტანია.

როცა მომდევნო წიგნი გადმოვიღე თაროდან, რომელიც სწორედ ხსენებულ გამარჯვებას ეძღვნებოდა და რომელსაც "დიუსელდორფის რაინშტადიონზე" ერქვა, უსაზღვროდ გავიხარე. მაშინ იმ გამარჯვების მნიშვნელობა ზუსტად ისევე მქონდა გათვითცნობიერებული, როგორც ფეხბურთის არსი. სწორედ ამიტომ ის წიგნიც ჩემს მაკრატელს "ემსხვერპლა".

როცა გავიზარდე და დიუსელდორფში მოგებული თასის მნიშვნელობას მივხვდი, ვინანე, რომ ორი, მართლაც ისტორიული წიგნი შინ აღარ მქონდა. ნაცნობ-მეგობრებში კი დავეძებდი, მაგრამ ამ წიგნების პოვნის ყველა ცდა 90-იანი წლების დასაწყისის თბილისში ამაო გამოდგა.

...1993 წელს თბილისის "დინამო", რომელსაც იმ დროს უკვე ალალად ვქომაგობდი და რომელიც იმ დროისთვის ჩემი ყველაზე საყვარელი კლუბი იყო, ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩაერთო. ჩრდილოირლანდიურ "ლინფილდთან" მატჩის წინ ტელევიზიით "ლივერპულთან", "ვესტ ჰემ იუნაიტედთან" (ლონდონში), "ფეიენოორდთან" და "კარლ ცაისთან" დინამოელთა ბრწყინვალე გამარჯვებები გვიჩვენეს. მაშინ კიდევ ერთხელ ვინანე ბავშვური ანცობის გამო.

დღეს, დიუსელდორფში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებიდან ოცდაოთხი წლის შემდეგ, ორივე წიგნი მაქვს, მაგრამ მათ დათვალიერებას ვერიდები. ვიცი, გადავშლი წიგნებს და გული სევდით ამევსება - დიდი "დინამო" აღარაა, ჩვენს შორის აღარ არიან ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, საუკუნის გამარჯვების სულისჩამდგმელი ნოდარ ახალკაცი...

ამ წიგნების თვალიერებისას ეჭვი მიპყრობს - ნუთუ ასე ძლიერნი ვიყავით, რომ ევროთასის მფლობელნი გავხდით? ახლა, როცა ბებერი კონტინენტის საფეხბურთო გრანდთა თამაშებს ვუყურებ, მეშინია კიდეც - ვფიქრობ, რომ ჩემი "დინამო" მთავარ ჯილდოებს არათუ მოიგებს, ვერასდროს მიუახლოვდება და თასთა თასი ერთადერთ საერთაშორისო გამარჯვებად დაგვრჩება.

რაოდენ ძნელი სათქმელიც უნდა იყოს, მგონია, რომ თანამედროვე ფეხბურთი ისე წინ გაგვექცა, მისი დაწევა ლამის ირეალური გახდა. მიჭირს ამაზე ფიქრი, მაგრამ სიმართლე ხშირად არაა ისეთი, როგორიც გვინდა რომ იყოს.



# ფოტო ნოსტალგია

# 1981 წლის 13 მაისი - როცა ჩვენ ბედნიერები ვიყავით

## 24 წელი „დინამოს" გამარჯვებიდან

არადა, "დინამო" მართლაც ძალიან ძლიერი იყო! "დინამო" იყო ის გუნდი, რომელიც ევროგრანდებს ტოლ-სწორად ეთამაშებოდა, "ბაიერნსა" თუ "ბენფიკას" კუდით ქვას ასროლინებდა, "ლივერპულს" მიწასთან ასწორებდა, "ფეიენოორდს" გაანადგურებდა და ყველაფერ ამას დიდი გამარჯვებით - თასების მფლობელთა თასის მოგებით დააგვირგვინებდა!

ის, რაც 1981 წლის 13 მაისს თბილისელებმა დიუსელდორფის "რაინშტადიონზე" მოახერხეს, ბევრმა დიდმა კლუბმა ვერ შეძლო. თასების მფლობელთა თასი ისე ჩაბარდა ევროფეხბურთის წარსულს, მისი მოგება თვით მადრიდის "რეალმა" ვერ მოახერხა. აღარაფერს ვამბობ "ინტერზე", "ლივერპულზე", "ბენფიკასა" და სხვა სახელოვან კლუბებზე.

თბილისის "დინამომ" კი შეძლო. შეძლო იმიტომ, რომ ის "დინამო" ბრწყინვალე გუნდი იყო, დიდებული და მართლაც ევროპული დონის!

ჩვენი ფეხბურთელებიც ვარსკვლავები იყვნენ ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით - ალექსანდრე ჩივაძეს, დავით ყიფიანს, რამაზ შენგელიას, თენგიზ სულაქველიძეს, ვლადიმერ გუცაევს, ვიტალი დარასელიას და სხვა დიდებულ მოთამაშეებს სიამოვნებით გადაიბირებდნენ იგივე "რეალი" თუ "ბაიერნი", "ბარსელონა" თუ "ლივერპული". მაგრამ სხვა დრო იყო - ბნელი და ჩაკეტილი.

1981 წლის 13 მაისს ჩვენმა "დინამომ" შეუძლებელი შეძლო - თასების მფლობელთა თასის მოგებით ჩვენი ფეხბურთელები სამუდამოდ შევიდნენ არა მარტო ქართული, ზოგადად, ფეხბურთის ისტორიაში.

თუ 1964 წელს "დინამომ" პირველად დაიპყრო საბჭოთა ფეხბურთის ოლიმპი, 1981 წელს გუნდმა ევროპული მწვერვალი დალაშქრა. მსგავსი წარმატებით საბჭოთა ფეხბურთის ფლაგმანები მოსკოვის "სპარტაკი" თუ "დინამო" ვერ დაიკვეხნიდნენ. ეს ფაქტი ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო იყო!

სხვათა შორის, ევროთასების ისტორიაში "დინამო" დღემდე ყველაზე აღმოსავლური გუნდია, ვისაც კი ოდესმე მოუგია თუნდაც ერთი ჯილდო. ესეც მეორე სასიამოვნო ფაქტი!

...1980 წლის 5 ნოემბერს თბილისის "დინამომ" თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალში ადვილად დაამარცხა ირლანდიური "უოტერფორდი" 4:0 და მეოთხედფინალში გავიდა. კენჭისყრამ დინამოელებს სახელგანთქმული ინგლისური კლუბი "ვესტ ჰემ იუნაიტედი" არგუნა მეტოქედ. თბილისელებს სერიოზული გამოცდა უნდა ჩაებარებინათ.

ლონდონის "აპტონ პარკზე" დინამოელთა თამაშმა ფეხბურთის ყველა გულშემატკივარი აღაფრთოვანა - თბილისელები შეუდარებელნი იყვნენ, მოწინააღმდეგეს სჯობნიდნენ და გოლი გოლზე გაჰქონდათ.

დაუვიწყარია საშა ჩივაძის შემართება, დათო ყიფიანის საოცარი პასები...

"დინამომ" 4:1 მოიგო და არა მარტო ნახევარფინალში გასვლაზე განაცხადა პრეტენზია, თასთა თასსაც სერიოზულად შეუტია.

ინგლისელთა შემდეგ იყო როტერდამის "ფეიენოორდი", არანაკლებ სახელგანთქმული და ამბიციური ჰოლანდიური კლუბი.

1981 წლის 8 აპრილს თბილისში "დინამომ" მეტოქეს 3:0 სძლია - თენგიზ სულაქველიძის შეჩერება ჰოლანდიელებმა ვერ შეძლეს. მიუხედავად იმისა, რომ საპასუხო შეხვედრაში მეტოქე ყველანაირად ეცადა "დინამოს" ძლევას, თუნდაც ავსტრიელი მსაჯის დახმარებით, დიუსელდორფში თამაშის უფლება მაინც "დინამომ" მოიპოვა.

ეს უკვე წარმატება იყო!

მაგრამ ჩვენ გაცილებით დიდი სიხარული გველოდა - 1981 წლის 13 მაისის ღამე!

გახსოვთ ის ღამე?

წუთი წუთს მისდევს, დრო გადის და ფინალიც ახლოვდება...

მეგობრებთან იკრიბებით ან ისინი მოდიან თქვენთან...

ქუჩაში მოძრაობა კლებულობს, ნერვიულობა კი, პირიქით - მატულობს...

ვერც კი ამჩნევთ, რომ ყველაფერი დავიწყებას ეძლევა, გარდა ერთისა - დღეს ფინალია, თასთა თასის ფინალი!

აივანზე გადიხართ და სიგარეტს აბოლებთ, ბოლთას სცემთ...

სავარძელში მოკალათებული, ტელეეკრანს თვალს არ აშორებთ და დინამოელების დანახვაზე გრძნობთ, რომ გულისცემა ძალიან მატულობს.

თვალებს ხუჭავთ და ნატრობთ, რომ ეს სასიამოვნო ტანჯვა მალე დამთავრდეს, ოღონდ დამთავრდეს ისე, როგორც თქვენ გინდათ, როგორც უნდა მამას, დედას, შვილს, მეზობელს, მეგობარს, თანამშრომელს, უბნელს, ყველას, ვისაც ქართველი ჰქვია და ვინც გულშემატკივრობს "დინამოს"...

გაისმის იტალიელი მსაჯის რიკარდო ლატანცის სასტვენის ხმა და ბრძოლა იწყება:

"დინამო" თუ "კარლ ცაისი"?

ჩვენ თუ ისინი?

კოტე მახარაძე აუღელვებლად, დინჯად საუბრობს, მეტოქეთა შემადგენლობას ჩვეული არტისტიზმით გვამცნობს...

არა, ოღონდ ეს არა - უსიამოვნო ფიქრებს უკუაგდებთ და რჩებით თქვენ, ტელეეკრანი და თამაში, რომელიც თავისთავად ხდება ისტორიის კუთვნილება...

"დინამომ" უნდა მოიგოს! ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ! სხვანაირად არ შეიძლება - ეს გამარჯვება ჩვენ უფრო გვჭირდება, ვიდრე გერმანელებს...

პირველი ტაიმი უგოლოდ მთავრდება...

კვლავ აივანი, დაცარიელებული ეზო თუ ქუჩა და ვინ იცის, მერამდენე სიგარეტი...

მეზობელიც შეფიქრიანებულია, თვალებით უგებთ ერთმანეთს...

თბილისი დუმს...

თხუთმეტი წუთი სწრაფად გარბის და ისევ თავიდან იწყება ყველაფერი - ნერვიულობა და სიგარეტი, სიგარეტი, სიგარეტი...

63-ე წუთზე ოთარ გაბელიას კარში გოლი გადის - "კარლ ცაისის" შეტევა ზუსტი დარტყმით მთავრდება. ჩვენებს ჰოპე სჯის - 0:1...

ოთხ წუთში ვოვა გუცაევი რამაზ შენგელიას გარჯას უფასებს - უძლიერესი დარტყმა და 1:1!

საქართველოში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ყველგან, სადაც ქართველია, ათასობით ფანჯარა იღება და ქუჩებში ქომაგთა გულებში დაგუბებული ემოცია იღვრება:

გოოოოოოოოოოოლ!

გული მკერდიდან ამოვარდნას ლამობს!

"დინამოს" უპირატესობა მატულობს, ჩვენები იენელებს აწვებიან...

დრო იწურება, ანგარიში კი 1:1ია

და მაშინ, როცა დამატებით დროზე დავფიქრდით, დათომ ბურთი ვიტალის გადააწოდა, იგი ერთს გასცდა, მეორეც მოატყუა და დაარტყა...

გოლია! გესმით, გოლია! ჩვენ გავიტანეთ!

ისევ აივსო ქუჩები ემოციით, ისევ გაივსო გულები სიყვარულით!

ჩვენ ვტირით, ვიცინით, ვხტით, ვყვირით, ვღრიალებთ, გვინდა, ბოლომდე დავიცალოთ ემოციისგან, მაგრამ ის უსაზღვროა და ულევი...

თბილისი ფეთქდება და სიჩუმეს ნთქავს...

სამ წუთში ლატანცი თამაშს... თუმცა, რა თამაშს? ეს ხომ ფინალია, ეს ხომ ოქროს, საუკუნის მატჩია!

მსაჯი საუკუნის მატჩს ამთავრებს: 2:1 და თასების მფლობელთა თასი ჩვენია!

გაბიტაშვილი და მოპარული ბურთი...

ხიზანიშვილის ჰაეროვანი კოცნა...

ემოციისგან დაცლილი ფარსადანოვიჩი...

ზღვა ემოცია, ზღვა სიხარული...

ცრემლები, ცრემლები, ცრემლები...

ზეიმი თბილისში და გათენებული 14 მაისის ღამე...

გადაჭედილი აეროპორტი და "სალამი ლომკაცებს"...

ოთარი, თამაზი, საშა, ნოდარი, გია, ვიტალი, ზაური, ნუკრი, თენგიზი, ვოვა, დათო, რამაზი, შოთა, ვაჟა, გიორგი, დათო, გია, რევაზი, ვახტანგი, კონსტანტინე, გურამი...

და, რა თქმა უნდა, ნოდარ ახალკაცი!

ჩვენ ბედნიერები ვიყავით!

ჩვენ ბედნიერები უნდა ვიყოთ!

**ლაშა გოდუაძე**

# „ვცდილობ, რომ ამერიკაში ყოფნის შანსი, ჩემი ქვეყნის სასიკეთოდ გამოვიყენო!“

საქართველოში გამომავალმა ჟურნალმა „არ იდარდო“, რომელიც ტელეკომპანია „იმედის“ ამავე სახელწოდების გადაცემის ბეჭდური ვერსიაა, მიმდინარე ივნისის ნომერში დაბეჭდა ინტერვიუ გაზეთ „მამულის“ რედაქტორთან **მანუჩარ კაჭახიძესთან.** ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა ეს ინტერვიუ ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვისაც.

***პროფესიით ჟურნალისტი მანუჩარ კაჭახიძე იმ მრავალათასიან ქართველთა შორისაა ემიგრანტების მძიმე ტვირთის ზიდვა რომ უხდებათ. მათ თითქოს ყველაფერი აქვთ, მაგრამ ამ ყველაფრის უკან უდიდესი მონატრება და სევდა იმალება, რაც ისევ და ისევ საქართველოს უკავშირდება. მანუჩარ კაჭახიძე ამერიკაში გამომავალი ერთადერთი ქართული გაზეთის „მამულის“ რედაქტორია.***

**- იქნებ რამოდენიმე სიტყვა გვიამბოთ თქვენი ბავშვობის შესახებ?**

- არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, მაგრამ ჯიუტი ფაქტია, რომ მაშინდელი საბჭოთა კავშირის უკლებლივ ყველა გაზეთი, საკავშირო თუ რესპუბლიკური, აუწყებდა საზოგადოებას ჩემს დაბადებას. და არა მარტო ჩემს... ჩემთან ერთად ჩემი ორი ტყუპისცალის დაბადებასაც... ჩვენს დაბადებას დედა შეეწირა, მაშინ იგი 20 წლის სტუდენტი იყო... ეს 1979 წლის 25 მარტს მოხდა, ზუსტად იმ დღეს, როცა დიდმა მანუჩარმა, მაჩაიძემ, საკუთარ დაბადების დღეს ლივერპულთან გოლი გაიტანა. გადაწყდა, რომ ჩემთვის მანუჩარი დაერქმიათ და არა ტარიელი, ავთანდილი ან ფრიდონი. ჩემს ტყუპისცალებსაც მოუძებნეს სახელები ისე, რომ საწყისი ასოთაგან ჩვენი გარდაცვლილი დედის სახელი, მანანა მიგვეღო. აბა, დააკვირდით: მან-უჩარი, ან-ზორი, ა-ვთანდილი.

ასევე ბავშვობაში გარდაიცვალა მამაც, ქუთაისში მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად... საკმაოდ ადრეულ ასაკში მომიწია ცხოვრების მხარზე აკიდება... 14 წლისა ქუთაისში გამომავალი ბეჭდური ახალგაზრდული გაზეთის „აშრიალის“ რედაქტორი გავხდი, შემდეგ ჟურნალი „ჯეჯილიც“ აღვადგინეთ, ამას დაემატა გაზეთები „ახალგაზრდა ქუთაისელი“ და „ახალი საქართველო 21-ე“, მოკლედ ბავშობიდან აქა ვზივარ, ჟურნალისტიკაში...

**- როგორ მოხვდით ამერიკაში? რა მიზნით წახვედით?**

- ოოო, ეს სრულიად დაუგეგმავად, და მე ვიტყოდი, ექსპრომტადაც მოხდა... მეგობარს სურდა ამერიკაში გამგზავრება და დახმარება მთხოვა ვიზის მისაღებად. რაღა გავაგრძელო და, საჭიროებამ მოითხოვა, რომ ამ ვიზიტისათვის დელეგაციის სახე მიგვეცა, კონსულთან შესვლაც მომიწია. ახალი გარდაცვლილი იყო კენედი უმცროსი და მეც რა თქმა უნდა მივუსამძიმრე, ვუთხარი, რომ მართლაც გულსატკენია ის საკრალური ტრაგედიები, რაც საერთოდ ამ გვარის წარმომადგენლებს შეემთხვათ-მეთქი. „ამ სამი დღის მანძილზე პირველი ადამიანი ხართ, ვისგანაც ასეთ თბილ სამძიმარს ვისმენო“- მიპასუხა. აი, ყველაფერი მას შემდეგ მოხდა... „ოჯახურმა საბჭომ“ მაიძულა ამერიკაში 6 თვით მაინც წასვლა... მას შემდეგ შემოვრჩი აქაურობას, 6 თვეც გავიდა და 6 წელიც!

**- რატომ გაგიჩნდათ სურვილი ამერიკასა და კანადაში ქართული გაზეთი გამოგეცათ?**

- ეს სურვილი კი არა, აუცილებლობა იყო. 4 წლის წინათ გამოვიდა ქართული გაზეთის „ივერია“ პირველი ნომერი. იგი არაპროფესიონალების მიერ გაკეთებული, მაგრამ მაინც ქართული გაზეთი იყო... ქართულ შრიფტს, ქართულ სიტყვას აქ შეუფასებელი ფასი აქვს. საქართველოში შეიძლება გაზეთის უბრად დაგდებული ნაგლეჯი დაინახო, აქ ვერ დაინახავ! მკითხველი სათუთად უფრთხილდება თითოეულ გვერდს... „ივერიის“ გამომცემელმა რედაქტორად მიმიწვია, თითქმის წელიწადნახევარი ვრედაქტორობდი გაზეთ „ივერიას“, უამრავი მკითხველი მოვიზიდეთ, შემდეგ კი გაზეთის დატოვება მომიწია. ეს ის დრო იყო, როცა რედაქტორსა და გამომცემელს შორის შეხედულებები გაიყო და ვარჩიე, მეგობრობის გადასარჩენად, გაზეთი დამეტოვებინა. არც იყო წელი გასული, „შემომიჩნდნენ“ მეგობრები, მკითხველები და ახალი გაზეთის დაარსება ვამცნეთ საზოგადოებას. შემდეგ „ივერიამაც“ შეწყვიტა გამოსვლა და დავრჩით ერთადერთნი, ამ მრავალრიცხოვანი ემიგრანტების იმედად! დღეს გაზეთი „მამული“ ერთადერთი ქართული გაზეთია ამერიკასა და კანადაში.

**- უცხოეთში ქართული გაზეთის გამოცემა სერიოზული საქმეა. ძნელია ეს ყველაფერი?**

- ადვილი არც ღვინის სმაა... საქმე ისაა, რომ მკითხველთა სიყვარული ყველა პრობლემას და დაბრკოლებას გვიადვილებს. გამოვა თუ არა გაზეთის ახალი ნომერი, სატელეფონო ზარებიც უმალ იწყება, ზოგი 12 წუთიან სატელეფონო ემოციურ შეტყობინებას გვიტოვებს და აცრემლებას ჩვენ გვაბრალებს; ზოგი კი გვწერს, რომ ფოსტალიონი გააფრთხილა, რომ გაზეთის გამოსვლის დღეს პირველად მასთან მივიდეს; ერთადერთი, რასაც ხშირად გვეუბნება მკითხველი, არის ის, რომ ისინი ნელა კითხულობენ გაზეთს, იზოგავენ მასალებს მთელი კვირის განმავლობაში წასაკითხად. გაზეთმა ლიტერატურული, პატრიოტული ხაზი არჩია, ამიტომაცაა მკითხველთა შორის ცრემლები, - სიხარულის, სიამაყის, მონატრების, ტკივილის გულზე მოწოლილი დარდის ნაჟური.

ამ ცრემლების გარეშე ვერ ვიქართველებთ. ამიტომაცაა, რომ ვუძლებთ ყველა სიძნელეს... უახლოეს ხანში გაზეთი გავრცელდება საქართველოშიც, ოკეანისგაღმიდან შევახსენებთ ჩვენს და-ძმებს მამულის ფასს.

**- მხოლოდ ემიგრაციაში მცხოვრები ქართველები არიან „მამულის“ მკითხველები?**

- გაზეთი ემიგრანტულია და ამჟამად მხოლოდ ამერიკაში ვრცელდება. მინდა გითხრათ, რომ ამერიკაში ქართველ ემიგრანტთა 4 თაობა არსებობს.

პირველი, 1921 წელს საფრანგეთიდან და ინგლისიდან ამერიკაში გამომავალ გემზე მოხვედრილი ეროვნული მთავრობის წევრები, რომელთა შორის რამოდენიმე წარმომადგენელია დარჩენილი.

მეორე თაობა, სამამულო ომის დამთავრების შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილი ქართველი ტყვეებია. ისინი საბჭოთა კავშირის მთავრობამ მოღალატეებად გამოაცხადა; შვეიცარიიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან აქ ჩამოვიდნენ, დაოჯახდნენ (მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჰყავდათ ცოლ-შვილი) და ახალი ცხოვრება დაიწყეს. მათმა შვილებმა არ იციან ქართული, არ საუბრობენ ქართულად, ის კი არადა, მამების უმეტესობასაც დავიწყნიათ ქართულად კითხვა, და შემთხვევით იმავე ქალაქში აღმოჩენილი ახალგაზრდა ქართველები უკითხავენ საგაზეთო მასალებს ტელეფონში. ეს სხვა დროს სასაუბრო და წიგნად დასაწერი თემაა.

მესამე თაობა საბჭოთა კავშირის ნგრევით გაღებულ საზღვრებში გამოსული ემიგრაციაა, კაპიტალიზმს „დახამებული“ სოციალისტები.





მეოთხე თაობა ჩვენ ვართ, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო „სამშობლომონატრებულები“, ოჯახებიდან „აუტში“ მყოფნი, რომლებსაც წინა სამი თაობის ემიგრანტებისგან განსხვავებით სამშობლოში დაბრუნების უფლება გვაქვს, ნება კი ჯერ ვერა! გთხოვთ სწორად გამიგოთ: „არა“ კი არა, ვერა!

**- გადაცემაში თქვენს მიერ ქართველთა უცნობი საფლავების შესახებ მოპოვებული ინფორმაციით ბევრი დაინტერესდა და ამან ფართო გამოხმაურება ჰპოვა. როგორ მოიძიეთ მათ შესახებ მასალები? იქნებ გვითხრათ გვარებიც...**

- მინდა ვთქვა, რომ ამ საქმიანობით დაინტერესება თქვენმა გადაცემამ „არ იდარდომ“ გადამაწყვეტინა. ეს ერთადერთი პროექტია „იმედის“ ტელესივრცეში, რომელიც პასუხობს ტელევიზიისა და გადაცემის სახელწოდებასაც, ქართველი ერის არგადაშენების იმედსაც გვაძლევს, და იმასაც გვეუბნება, რომ არ ვიდარდოთ.

ქართველი ერის არგადაშენებას-თქო, წეღან ვთქვი... ის, რომ წარსულს ვიძიებთ, ტაბუდადებულ თაროებზე ვიქექებით, სისხლსა და ხორცს ვეძებთ, ქართულ მიწას მონატრებულ ძვალთშესალაგს ვპოულობთ და ქვეყანას ვუბრუნებთ, 58 წლის უნახავ ძმისშვილს ვხვდებით, უძიროდ გადაგებული კაცის ხატადმსგავს შვილს ვპოულობთ და უიმედო მშობლებს ცხოვრების აზრს ვუბრუნებთ, ეს ერის, ყოველგვარი ქართულის, არგადაშენებაა და მეტი არაფერი.

ამერიკაში გაბნეულ ქართულ საფლავთა მოძიებას მე ჩემი მშობლების მონატრებულ საფლავებს და მათ ხსოვნას ვუძღვნი. და კიდევ, ვცდილობ, რომ ამერიკაში ყოფნის შანსი ჩემი ქვეყნის სასიკეთოდ გამოვიყენო.

თქვენმა გადაცემამ და რამოდენიმე სატელეფონო ზარმა წარსულში ცნობილი მოჭიდავის, 1939 წელს ამერიკაში ემიგრირებული ქართველის კოლია ქვარიანის განსასვენარის ძებნა დამაწყებინა. მართლაც ბეჭდაუდებელი ფალავნის 25 წლის დაკარგული საფლავი მოვძებნე. ამ კარტოთეკებში ძიებისას სხვა ქართველთა საფლავებსაც წავაწყდი, ნიუ-იორკის, ჩიკაგოს და ლონგ-აილენდის ძმათა სასაფლაოებზე განისვენებენ: დიმიტრი ჯორჯაძე, დიმიტრი ზღუური, დიმიტრი დუმბრავა, დიმიტრი მაჭარაშვილი, გივი გორგაძე, სოსო ჩუბალაშვილი, გივი გაბლიანი, ოთარ გოცირიძე, ქეთევან ჟ(ჯ)ულაბიშვილი, დიმიტრი შალიკაშვილი, მიტო სინდიკელი, დიმიტრი პარასკევა, ამირან ხუსკივაძე, ეკატერინე გოლოვაშვილი, დიმიტრი გუნია, ირაკლი კონტრიძე, ნინო ძლულიშვილი, ირაკლი მენთეშვილი, დიმიტრი ალავიძე, ამირან მესხი, მიხეილ სეფიაშვილი...

თქვენს რედაქციასთან მჭიდრო კავშირში ისევ გავაგრძელებთ ქართული საფლავების მოძიებას. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დაუკავშირდეს „არ იდარდოს“ რედაქციას, მიაწოდოს დაკარგული წინაპრის მონაცემები, წერილების ასლები (თუკი ასეთი არსებობს), დაბადების და გარდაცვალების თარიღები (თუკი ცნობილია), ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა დიდი ძალის მქონე აღმოჩნდეს ჩვენთვის.

**- როგორ ცხოვრობს ქართველი ახალგაზრდა შორეულ უცხოეთში? გიჭირთ სამშობლოდან შორს ყოფნა და თუ აპირებთ დაბრუნებას?**

- თუ გახსოვს ერთი ფილმი, ჩაპლინის, მისივე მონაწილეობით, რომელიღაც ქარხანაში მუშაობს, ჭანჭიკებს უჭერს, ისე მიეჩვია, რომ ქარხნის გარეთაც ჭანჭიკების მოსაჭერადაა მომართული... ასეთ გრაფიკებში ვართ ჩვენც, ამ სისწრაფეს თუ ფეხი არ აუწყე, გადაგივლიან, ერთი და იგივეს ვაკეთებთ საოცრად ტყუპ დღეებში. ახალგაზრდობის 3% სწავლობს, 97% მუშაობს, ბავშვების მომვლელებად, მოხუცთა უკანასკნელ იმედად. ზოგი ისეთ ადგილებზე მუშაობენ, ქალაქიდან მოწყვეტილნი არიან, ტყეებში და მთებში ცხოვრობენ, ერთადერთი კავშირი საზოგადოებასთან ტელეფონია, გაზეთი და ის 2 თუ 4 გამოსასვლელი დღე თვეში, რომელსაც ქალაქში ჩამოსვლამდე გზაში ხარჯავენ. აქაური ქართველების ეს პლეადა სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულნი, დეპრესირებული ხალხია, უდროოდ გაჭაღარავებულნი თუ გამელოტებულნი, საქართველოში გლეხს თუ კოჟრები ხელზე აქვს, ამათ სახეზე... რა გვახარებს? პატარა იმედიანი სვლებიც კი ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლისაკენ გადადგმული. ამ ხალხმა სამშობლოს ფასთან ერთად კანონის მორჩილება ისწავლა და ეს დიდად გამოადგება ჩვენს ქვეყანას.

**- რამდენად ძნელია ქართული მენტალიტეტით ამერიკული ცხოვრების წესთან შეგუება და ამ გადმოსახედიდან როგორია საქართველო?**

- რამდენად ძნელიაო, მეკითხებით. გიპასუხებთ: შეუთავსებელი და შეუძლებელი! საჭმელის მომზადებისას თუ მარილი დაგაკლდება, მეზობლის კარებისაკენ არც უნდა გაიხედო; გაჭირვების შემთხვევაშიც კი საღამოს 9 საათის შემდეგ ამერიკელთან დარეკვა შეიძლება ძვირადაც დაგიჯდეს; გზად მიმავალმა ხელი დაუქნიო მანქანას, გამიყოლეო, გიჟად მონათვლის ტოლფასია; აეროპორტის ტერიტორიაზე ქართულად გახუმრება, - რას მამოწმებ, ბომბი კი არა მაქვსო, კარცერში გაგრილებას უდრის; და მთავარი, წითელ შუქნიშანზე გავლა სასამართლოში გამოცხადებას და ჯარიმას გავალებს, ხოლო მეორე შემთხვევაში 6 თვით მართვის უფლებას გიკრძალავს.

ამ გადმოსახედიდან საქართველო თავისუფლების ნაკრძალია. იცი, როგორი? ხმამაღლა რომ გათქმევინებს: თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილი ირმების გუნდს წყარო ანკარა!

**- რა გენატრებათ ყველაზე ძალიან?**

- რა არ მენატრება, ეს უნდა გეკითხათ... ჩემი ქუთაისი მენატრება, ბაგრატზე არბენა, შემოდგომა რუსთაველის გამზირზე, თეატრი, სპექტაკლები, გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ საგაზეთო დახლის ირგვლივ საოცრად განსხვავებული გაზეთის ქაღალდის სუნიც კი... ქართული სუფრა, სულგუნივით გაწელილი სადღეგრძელოები, ცეკვისას ცერზე შემდგარი ქართველობაც...

მარინა ცვეტაევამ მისწერა პასტერნაკს: „მე ჩემი რუსეთში ყოფნა მენატრებაო“. მე ჩავუსწორებდი, ქუთაისიც მენატრება და ჩემი ქუთაისში ყოფნაც!

**- რას აპირებთ სამომავლოდ?**

- რას ვაპირებ? ამ ყოველივე მონატრებულთან ჩახუტებას. ამაზე მეტი სურვილი არა მაქვს და არც მექნება. აქ დარჩენა? ჯერ მასე არ გავგიჟებულვარ!

**ესაუბრა**
**მაკა დარსაველიძე**



# ლია კანდელაკის პოეზია

## სვეტიცხოველთან

მოვდივარ...
სვეტიცხოველთან მომაწია სიშავემ ღამის.
შევჩერდი...
გულზე შემომაწვა ტკივილი ლამის,
დავჯექ და...
მუხლი მოვიყარე ტაძრის წინ ღამით,
ჩემდა უნებურად,
ხელი შევახე - გიორგის მახვილს.
წამს შეშფოთებულმა
ხელის შეხებით წმინდანზე ალბათ,
უკან დავიხიე,
ტაძარს, კედელზე მივეყრდნე მაგრად.
გაოცებული
შევყურებდი მოხატულ ფრესკებს და
ამ ქვეყნიურს,
ვერ ვხედავდი, ტაძარში ფერებს.
და ცის ტატნობზე,
გაიელვა მნათობმა მკრთალად
და უკუნეთში,
შავი ჭინკები გაფანტა სადღაც...
და ღამის ცაზე,
გამობრჭყინდა მნათობი სვეტად,
დაბლა დაეშვა,
ტაძარს, გუმბათზე დაედგა სვეტად...
და რა ვიხილე,
გამობრწყინდა ცით ანგელოზი,
შეიძრა -ცა
და დედამიწა, იგრგვინა ზეცამ.
კიდით - კიდემდა
გაიელვა მნათობმა ყველგან და
სულიწმინდა,
გადმოეშვა ტაძარზე მტრედად.
და თეთრი იყო,
იმ საღამოს, მიდამო ტაძრის,
ისმოდა ირგვლივ
ბუკის ცემა, გალობა, ლოცვა...
შვება ვიგრძენი,
დამიამდა მტკივანი გული,
უძლეველის წინ
მოვიყარე ცოდვილმა მუხლი.
ყოველი გაჰქრა...
თენდებოდა ნელ-ნელა ღამე,
სვეტიცხოვლიდან,
არ მინდოდა გამოსვლა გარეთ.
გაოცებული,
შევყურებდი მოხატულ ფრესკებს და
ამ ქვეყნიურს,
ვერ ვხედავდი - ტაძარში ფერებს.

## დაე, აიჭრას ცად ჩემი სული...

ერთ დღეს, საშინლად ამტკივდა სული
და სასწაული ვიგრძენი სევდა.
ვინატრე გვერდით მე მეგობარი,
რომ, ჩემი სულის ნადები მეთქვა...
მარტო აღმოვჩნდი, კვლავ ჩემს ფიქრებთან,
რა ძნელი იყო ის წუთი მაშინ,
მე არ მქონია ასეთი განცდა
და წავიშინე ხელები თავში.
გარეთ გავვარდი, რომ დაენამა
მტირალა წვიმას - შეშლილი სახე,
ზეცას ავხედე და შორით, ნისლში,
ვიღაცის ურჩი თვალები ვნახე.
მე არ მქონია ასეთი განცდა -
უსასრულობის და მარტო შთენის.
თვალწინ გაშლილა ,ეს ცა და მიწა,
სადღაც სამოთხე და ჯოჯოხეთი.
საიდან! რატომ! როდის! ან რისთვის!
რად გამაჩინა ამ ქვეყნად ღმერთმა?!
ან, როგორ ვზიდო, ეს მძიმე ტვირთი,
ამ პაწაწინა მხრებით, მე - ერთმა.
როგორ წამოვდგე ფეხზე გაშლილი,
საყრდენად - ცოდვის ჭაობში ვდგავართ.
იქნებ, ვიპოვო მე ოაზოსი...
იქნებ, ნათელთან სულ ახლოსა ვართ...
იქნებ, ახლოა ზეცისკენ კიბე,
რად ვსაყვედურობთ ამისთვის უფალს?!
სულის გაწმენდას, გლოვა კი არა -
ქრისტეს ნავალი გზის პოვნა უნდა.
ხელი გამიშვით! მე ამ ჭაობში,
ვერ გავჩერდები ვერც ერთი წამით.
დაე, ვიპოვო ის გზა, რომელიც,
მე ამისრულებს დიდი ხნის წადილს.
დაე, აიჭრას ცად ჩემი სული,
რამ დამაბრკოლა ანდაც აქამდე,
რის მაქნისია "ეს გზა", რომელსაც,
მართლაც ვერ მიჰყავს კაცი ტაძრამდე.
თუკი, დამლოცავს ზეცად - უფალი
და თუ გამიგო, რაც უნდა მეთქვა...
მაშ, რად არ ვზიდო - ეს მძიმე ტვირთი,
თუნდ პაწაწინა მხრებით, მეც, ერთმა.

ოხ, ორგულობავ, რა სისწრაფით მიაგელვებ
შეკაზმულ ცხენებს,
რა დაუნდობლად არტყამ ზურგზე რისხვის ქარტეხილს.
წამით შესდექი! შეანელე ეს შმაგი სრბოლვა!
ან განერიდე ამ კაეშანს, თავზე დატეხილს.
თორემ, შენივე უმიზნო სრბოლვა შეგაგდებს ბზარზე,
შმაგი გულისთქმა დაგიკარგავს რიდს და კაეშანს...
და თუ, ნათელ აზრს შეეჩეხები გზის დასალიერს,
ღვთის სამართალი, მწევრებს ისევ შენსკენ დაგეშავს.

## როგორ ვილოცო მე უცხო ცის ქვეშ...

ოღონდ, შენი სუნთქვა ვიგრძნო ყვრიმალთან
და ნაზი თრთოლვა,
სხეულზე შენი ნიავი ფრთებად შემომეხვიოს,
ოღონდ, თუნდ, ერთხელ დამანახვა სახება შენი,
თუნდ სიზმარეთში, ფარდაგად შენი მიწა მეფინოს...
ოღონდ, თუნდ ერთხელ მაამბორა შენს წმინდა ტაძრებს
და "იავნანა"-ს ტკბილი ჰანგი ჩამესმას ლოცვად,
ოღონდ, თუნდ ერთხელ - შემახედა ბედნიერ ქართველს
და ხატთან კდემა-მოსილებით მუხლმოყრილ მლოცავს...
ოხ, ნეტავ ერთხელ ჩამესმას ყურში შენი "ლაშქრული",
"მრავალჟამიერ" - აზანზარებდეს მთების ქარაფებს
და თუნდ ხსენება დავითის ხმლისა სერავდეს მომხვდურთ,
თამარის დროშის ფრიალება - კეტდეს დარაბებს...
მე, საქართველოვ, ნატრული ვარ, კვლავ შენი ხილვის,
შენგან შორს შთენილს ნოსტალგიად ჩამსახლებიხარ,
რაღად ვილოცო მე, უცხო ცის ქვეშ, უცხო ხატებთან,
თუკი შენ ჩემს სულს - სულიწმინდად ჩამსახლებიხარ
როგორ ვილოცო მე, უცხო ცის ქვეშ... უცხო ხატებთან...

## მონოლოგი საკუთარ თავთან...

ავწონ - დავწონავ, ყველას ნათქვამს და გავიაზრებ,
როგორც, ნათქვამს - ბრძენი კაცისაც.
თმენით მოვისმენ მათ საუბარს, თუნდაც - ავისას.
მაგრამ, თუ ვიცი, რა გზით ვაკეთო რაიმე კარგი,
მე ავასრულებ ჩემს არსებაში განზრახულ წადილს.
რადგან მე "მე" ვარ, განგებამ ჩემი მიბოძა ჭკუა
და სადაც წავალ, ამ ნაბოძებით უნდა ვიარო.
რადგან, მე "მე" ვარ და არ მჩვევია, სხვების ენაზე -
წაღმა - უკუღმა, რომ გავიარო.
და თუ, ჩემს ჭკუით წავაგებ რამეს
და ეკალ - ბარდებს დავიგებ გზაზე...
ბედის უკუღმა დატრიალებას ჩემს თავს ვაბრალებ.
მან, ამირია ჭკვა - გონებაო, არ ვიტყვი სხვაზე.



## სიყვარული ასე მწამს

თუნდ, პასუხი ვერ მოვძებნო,
სიყვარული - ღმერთსა ჰგავს.
იდუმალი ღვთაებაა,
ასე მჯერა, ასე მწამს.
ფაფარ-აშლილ რაშს მაგონებს,
მძვინვარებით - მუსონს ჰგავს,
ფსკერზე ითრევს გზაზე შემხვდურს,
ასე მჯერა, ასე მწამს.
თუნდ, ჩიტს ჰგავდეს ფრთა მოტეხილს,
სათნოებით - მტრედსა ჰგავს,
სულს სიმშვიდეს მოანიჭებს,
ასე მჯერა, ასე მწამს.
ზოგჯერ, ტკბილი მაჭარია,
ზედაშეა, წყურვილს კლავს,
თილისმაა, დაგატყვევებს,
ასე მჯერა, ასე მწამს.
ზოგი მისით იბადება,
სიცოცხლეა, ზღაპარს ჰგავს,
ზოგში სახლობს ვით დემონი,
ასე მჯერა, ასე მწამს.
ვერ გავიგე რა ყოფილა,
აცოცხლებს თუ კაცსა კლავს...
ალბად, თავად ბედი არის...
თვით უხილავ ღმერთსა ჰგავს...
ჩემში - სულიწმინდით სახლობს,
ასე მჯერა, ასე მწამს.




## ყურადღება

*Kavkas Dance Ensemble*

**კავკასიურ ცეკვათა ანსამბლი**

სამუშაოდ იწვევს ბრუკლინში (და მის გარშემო) მცხოვრებ ქართული ხალხური ცეკვების პროფესიონალ მოცეკვავეებს!

მსურველები უნდა დაგვიკავშირდნენ შემდეგ ნომერზე: 1-718-668-1086

იკითხეთ: ედამ დაღესტანი




## მილოცვები



ქართულ საქრისტიანოს კიდევ ერთი მართლმადიდებელი ქრისტიანი შეემატა

**სოფო მოდებაძე**

გფარავდეს უფლის მადლი, ღვთისმშობლის კალთა;
ღმერთმა გაგაძლიეროს და დაგლოცოს.

ბიძა: ნუკრი კოჭლამაზაშვილი

## განცხადება


ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. ცნობებისათვის დარეკეთ:
**718-784-6627** ლელა

ვეძებთ ქართველ ადვოკატებს ამერიკაში, დარეკეთ რედაქციაში, **347-724-0770**


## სამძიმარი

გაზეთ „მამულის“ რედაქცია იუწყება ლეგენდარული „ოსტაპ-ბენდერის“ **არჩილ გომიაშვილის** გარდაცვალებას.






# ექსკურსია ვაშინგტონში









– გთავაზობთ სატრანსპორტო და საექსკურსიო მომსახურეობას შეერთებული შტატების დედაქალაქში 4-კაციანი ჯგუფებისათვის;

– მგზავრთა გადაყვანა ხდება ჯიპის მარკის ავტომანქანებით;

– მგზავრებს მოემსახურებათ თარჯიმანი და ფოტო-კორესპონდენტი;

– ექსკურსია ერთდღიანია და ამ პერიოდში თქვენ შეგეძლებათ ისეირნოთ ვაშინგტონის ქუჩებში, დაათვალიეროთ ლინკოლნის მემორიალი, ვაშინგტონის მონუმენტი, მეორე მსოფლიო ომის ახალგახსნილი მემორიალი, ჯეფერსონის მემორიალი, გარედან ნახოთ თეთრი სახლი, კაპიტოლიუმის შენობა (11 სექტემბრის შემდეგ თეთრ სახლში ტურისტების შესვლა აკრძალულია).

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: **347-724-0770**



## გამოიწერეთ მამული



**სურვილი მაქვს გამოვიწერო გაზეთის:**

☐ 12 ნომერი საერთო ღირებულებით **20** დოლარი

______________________________
(სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით)

______________________________
(ქუჩის დასახელება, აპარტამენტის N)

______________________________
(ქალაქი ZIP-CODE და ტელეფონი)

ჩეკი ან მანი ორდერები **M. KATCHAKHIDZE Co** სახელზე გაფორმებული უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

P.O. BOX 13121, JERSEY CITY, NJ 07303

მისამართის შეცვლის შემთხვევაში საჭიროა უზრალოდ დაგვიკავშირდეთ რედაქციის ტელეფონზე 1-347-724-0770 და გვაცნობოთ, რათა შევძლოთ თქვენი გაზეთის შეყოვნება ან გადამისამართება.

13

**MAMULI მამული МАМУЛИ**

რედაქტორ-გამომცემელი **მანუჩარ კაჭახიძე**
Editor & Publisher **Manuchar KATCHAKHIDZE**

**ეკა მაისურაძე, ნინო ხაბელაშვილი** (რედ. გერმანიაში), **ქეთი ყარალაშვილი, გიორგი ბაქრაძე** (რედ. კანადაში).
**EKA MAISURADZE, NINO KHABELASHVILI** (Editor in Germany), **KATE KARALASHVILI, GEORGE BAKRADZE** (Editor in Canada).

P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07109
Phone: 347-724-0770
mamuli@comcast.net

მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ. რედაქციას უფლება აქვს უარი განაცხადოს მასალის დაბეჭდვაზე ყოველგვარი კომენტარის გარეშე.

გაზეთის ეს ნომერი ხელმოწერილია დასაბეჭდად 3 ივნისს, დილის 10 საათზე

www.open.ge/mamuli